



მასწავლებელი



დირექტორის
სტანდარტი

საერთაშორისო
საგანმანათლებლო
პროექტები

განათლება და
ტოლერანტობა



საერთაშორისო
საგანმანათლებლო
პროექტების
საერთაშორისო
სტანდარტი



განსაკუთრებული
პროექტების
განხორციელების
პროექტი
საგანმანათლებლო
სტანდარტი

N6, 2010





მასწავლებელი ^{ჟურნალი}

ახსნავს კონკურსს მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივ პროექტზე

„სკოლა ჩემი სხლია“


ჩაერთეთ კონკურსში!

გაბვიწიარეთ თქვენი გამოცდილება!

გამოგვიგზავნეთ პროექტის გეგმა

საუკეთესო პროექტის ავტორები საჩუქრად მიიღებენ ჟურნალ „მასწავლებლის“ ერთწლიან ხელმოწერას და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემების სრულ კომპლექტს!

კონკურსის დასკვნით ეტაპზე სამი საუკეთესო პროექტი გამოვლინდება. პროექტის გეგმები ჟურნალ „მასწავლებლის“ მომდევნო ნომრებში დაიბეჭდება!



საკონკურსო მასალა მოგვანოდეთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან გამოგზავნეთ ელ.ფოსტის საშუალებით:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95, ფაქსი: (+995 32) 95 58 36

ელ. ფოსტით: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

რედაქტორისგან



მასწავლებლებს ორი ახალი წელი გვაქვს: როცა სასწავლო წელს ვიწყებთ და როცა ნამდვილი ახალი წელი დგება.

ჟურნალი „მასწავლებელი“ არსებობის კიდევ ერთ ახალ წელს დაითვის 2011 წლიდან.

ჩვენ ისევ გვინდა, მკითხველისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ვიყოთ. განათლება ისეთი სფეროა, სადაც ყოველ საათში რაღაც საინტერესო ხდება. ვცდილობთ, ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს ის, რაც

მასწავლებლისთვის ყველაზე აუცილებელია.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად, რომელიც მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს, ვცდილობთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ მასწავლებლისთვის შესაბამისი პირობების შექმნაში. ეს აუცილებელია, რათა მან ისეთი მოსწავლეები აღზარდოს, რომლებსაც შეეძლება სახელმწიფო და სხვა ენებზე კომუნიკაცია, არ გაუჭირდებათ ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, ექნებათ ნაყოფიერი ურთიერთობა სოციალურ და ინფორმაციულ გარემოსთან. მათმა აღზრდილებმა გადაწყვეტილებების გონივრულად და დამოუკიდებლად მიღება უნდა შეძლონ. ისინი ტოლერანტი, კანონმორჩილი, თვითკრიტიკული და შემოქმედებითი მოქალაქეები უნდა იყვნენ, რომლებიც ქვეყნის პრიორიტეტების განსაზღვრას, სამშობლოს საკეთილდღეოდ მოღვაწეობას, საკუთარი შესაძლებლობების მუდმივად განვითარებას შეძლებენ.

მასწავლებლები ყოველდღიურად უნდა ვსწავლობდეთ და ვასწავლიდეთ, უწყვეტად ვზრუნავდეთ ჩვენს პროფესიულ განვითარებაზე.

ჟურნალი „მასწავლებელი“ ისევ გაგაცნობთ განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებსა და იმ ინოვაციურ მიდგომებს, რომლებიც განათლების სისტემის მართვას აიოლებს, ასევე, სწავლების მეთოდებს, განვითარებისა და სწავლის თეორიებს, სწავლების ეფექტურ გზებს და სხვა საკითხებს, რაც მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას ხელს შეუწყობს. ისევ ვიტოვებთ სურვილს და იმედს, რომ თქვენთან ვითანამშრომლებთ.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი



ჩვენი მიზანია მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა ინფორმირების, დისკუსიის ნახალისებისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ჟურნალი ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას.

მასწავლებელი N6(12), 2010

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის
გამოცემა

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ჟურნალი „მასწავლებელი“
საქართველოს ყველა სკოლაში
უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია
თითოეული მასწავლებლისთვის!

მოიკითხეთ ჟურნალი თქვენს სკოლაში.

რედაქციის მისამართი:

ბიკა მამულაშვილი, ნინო რევიშვილი,
თეა კვინიტაძე, ნათია ნაცვლიშვილი,
ეკა ჯილაძე

მთავარი რედაქტორი:

ნატო ინგოროყვა

რედაქტორი: ირაკლი კახაბაძე

სტილისტი: ირმა ტაყაიძე

დიზაინი: პატიკ დანელია

ფოტო: ბელა ბედიანაშვილი

ფოტო გარეკანზე: ირმა შურაბაძე

მხატვარი: მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი: მანია მინაგაძე

ჟურნალის ტიპი:

ბელა ჩიქურიშვილი, ირმა კახუაშვილი,
თამარ კაციტაძე, მანია რაზმაძე,
თამარ შველიძე

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და „მასწავლებლის“ რედაქციის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: თბილისი, 0102
დიმიტრი უზნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 13 95
ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ISSN 1987-6149

UDC 371.1
8-374

გამოიწერეთ პროფესიული ჟურნალი

მასწავლებელი

ღარაკაძე:

„ქვე-საპრისი“: 38 26 73, 28 26 74

ექსპერტი

4 ანა ჯანელიძე კითხვის მნიშვნელობა

წიგნის და ზოგადად, კითხვის მიმართ ადამიანის დამოკიდებულება ხშირად განპირობებულია იმით, თუ რამდენად ინტენსიურად და რა სიტუაციებში ჰქონდა ბავშვს, სკოლამდელ ასაკში, ნაბეჭდ მასალებთან შეხება (მაგალითად, რამდენად ხშირად უკითხავდნენ წიგნებს, ან რამდენად უკავშირდებოდა წიგნის კითხვა სხვა სასიამოვნო პროცესებს).

8 მერაბ ლაბაძე თანამშრომლობითი საგანმანათლებლო ინტერნეტ-პროექტები

საგანმანათლებლო პროცესში პროექტების გამოყენება თანდათან მკვიდრდება სამასწავლებლო პრაქტიკაში. საგანმანათლებლო პროექტი შეიძლება განვმარტოთ, როგორც გარკვეული მიზნით განხორციელებული საკლასო ან გუნდური აქტივობების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ერთი ან რამდენიმე სასწავლო ამოცანის შესრულებას.

11 თეო ნეფარიძე კლასგარეშე პროგრამები გაკვეთილების შემდეგ

კლასგარეშე პროგრამები გაკვეთილების შემდეგ ბავშვების დროის უსაფრთხოდ, ორგანიზებულად და ნაყოფიერად გატარებას უზრუნველყოფს, მათ ენერჯის პოზიტიური მიმართულებით წარმართავს, გარდა ამისა, სპეციფიკური ინტერესების დაკმაყოფილებასა და განსაკუთრებული ტალანტის გამოვლენასაც უწყობს ხელს.

15 ბაია ახალაია შეუძლებელია ალზრდის პრობლემების ოჯახში და ალზრდის პრობლემების სკოლაში ცალ-ცალკე განხილვა და გადწყვეტა, რადგან ორივე ვარიანტში ერთ პიროვნებასთან გვაქვს საქმე და პრობლემის გამომწვევი მიზეზიც ერთია.

შეუძლებელია ალზრდის პრობლემების ოჯახში და ალზრდის პრობლემების სკოლაში ცალ-ცალკე განხილვა და გადწყვეტა, რადგან ორივე ვარიანტში ერთ პიროვნებასთან გვაქვს საქმე და პრობლემის გამომწვევი მიზეზიც ერთია.

35 მაია უთურგაიძე შფოთის გამომწვევი სიზუსტის 12-14 წლის მოზარდებში

ადრე სკოლის მთავარი ამოცანა მხოლოდ სწავლება, ანუ ცოდნის გადაცემა და დისციპლინის მოყვარული მოზარდის აღზრდა იყო. დღეს ბავშვის პიროვნების სრულყოფილი განვითარების უპირატესობას აღიარებენ. ამიტომ ყურადღება მიმართულია არა მხოლოდ აკადემიურ მოსწრებასა და ყოფაქცევაზე, არამედ ბავშვის განცდებზე, ფიზიკურ, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.



მრგვალი მაგილა

19 ირმა კახურაშვილი ტოლარანობა საგანმანათლებლო პროგრამებში

როგორ ვისწავლოთ მულტიკულტურულ გარემოში ცხოვრება და როგორ ავამაღლოთ ტოლერანტობა ისტორიის სწავლების გზით? შესაძლებელია თუ არა, რომ მასწავლებლები იმ სიძნელეებს გაუმკლავდნენ, რომლებიც ისტორიის სწავლების დროს წარმოიქმნება და საერთოდ, როგორ უნდა ინერგოდეს თანამედროვე ისტორია ისეთ მულტირელიგიურ გარემოში, როგორც საქართველოშია?

განათლების ისტორია

38 ბიორგი ალივაშვილი აპირუსიდან ქალაქამდე

დღევანდელი მოთხოვნა – მოსწავლემ არა მხოლოდ ცოდნა შეიძინოს, არამედ მისი გამოყენება პრაქტიკაშიც შეძლოს, უპირველეს ყოვლისა, მოზარდის მიერ საკუთარი თავის შეცნობას გულისხმობს. ნებისმიერი ასაკის ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ ის არა მხოლოდ ერთი კერძო პირია, განუმეორებელი სულიერად და ფიზიკურად, არამედ თავისი ერის შვილიცაა და, ამასთანავე, მთლიანად კაცობრიობის წევრიც.

გამოცდილება

23 ნინო რევიშვილი, პაატა პაპავა პროფესიონალი მასწავლებელი განათლების სიკლიარა

ეს ჩემი მესამე ვიზიტია საქართველოში და სიხარულით აღვნიშნავ, რომ ყოველი წინამორბედი ვიზიტის შემდეგ ვამჩნევ: ქართველი მასწავლებლები უფრო და უფრო მოტივირებულები არიან. მათ სურთ, გაეცნონ ახალ მიდგომებსა და სტრატეგიებს, ისწავლონ და გაიგონ, რისი გაკეთება შეიძლება ამ მიმართულებით. საქართველოს განათლების სისტემის ყველაზე დიდი სიძლიერე სწორედ ასეთი მონდომებული მასწავლებლებია – ამბობს ალან კროუფორდი.

პესტალოცი

32 აზა მდინარაძე, ზაქარია ქარსაულიძე საქართველო და პროგრამა „პესტალოცი“

საქართველო პროგრამა „პესტალოცი“ 2009 წლიდან ჩაერთო. 2009-2010 წლის განმავლობაში „პესტალოცის“ პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ სხვადასხვა სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა ქართველმა პედაგოგმა, პედაგოგთა ტრენინგმა და განათლების ექსპერტმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

რესურსი

41

ბელა ჩეკურიშვილი
„არქეოლოგოვანა“ - საინჟინერო
გაყვითილი და სასწავლო რესურსი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლებს საგანმანათლებლო პროგრამა შესთავაზა, რომელიც პრაქტიკულ, არქეოლოგიურ აქტივობას გულისხმობს.

პრობლემა

43

თათია ვაჭკორია
სწავლის უნარის დარღვევა

არ არის ცნობილი წამალი ან საშუალება, რომელიც სწავლის უნარის დარღვევას კურნავს, თუმცა მისი შემსუბუქება შესაძლებელია მართებული სასწავლო სტრატეგიების, სასწავლო მასალის წარდგენის ან სასწავლო აქტივობების განხორციელების სხვადასხვა გზისა და ხერხის გამოყენებით.

რესურსი

45

თამუნა კაციტაძე
გასოციალური ქართული თეატრი. კინოს,
მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუშაობა

ჩვენი სურვილია, ნებისმიერ დამთვალიერებელს, განსაკუთრებით, ახალგაზრდობას მიუწვდებოდეს ხელი ამ სიმდიდრეზე. წარსულის ფასეულობები, რომლებზეც მომავალი თაობა უნდა აღიზარდოს, მათ მხოლოდ და მხოლოდ მუზეუმში შეიძლება ნახონ. სწორედ მუზეუმია არა უბრალოდ ნივთების, არამედ ტრადიციებისა და ფასეულობების შემნახველი და გადამრჩენი ადგილი

ერთი სკოლის ისტორია

47

ბელა ჩეკურიშვილი
უკრაინული სკოლა თბილისში

„ყველას საქართველოს სიყვარული გვეერთიანებს. ჩვენი ამოცანაა, ამ ქვეყანას სრულფასოვანი მოქალაქეები გავუზარდოთ“, – ამბობს თბილისის 41-ე უკრაინული საჯარო სკოლის დირექტორი ანა მატვეევა. სკოლა უკრაინის პირველი პრეზიდენტის, მიხეილ გრუშევსკის სახელს ატარებს, რომელმაც მე-19 საუკუნის ბოლოს განათლება თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო.

რეგიონი

50

თამარ შველიძე
მოსწავლეები წიგნებს უნდა დაუბრუნონ

სკოლაში სტუმრობისას პირველად სკოლის ბიბლიოთეკა დავათვალიერეთ – ნაჩუქარი წიგნების უმრავლესობა მოსწავლეებს გაეტანათ. ბიბლიოთეკის შესასვლელშივე დეკურსელის ციტატა შევნიშნეთ: „წიგნი არის ჭურჭელი, რომელიც ჩვენ გვავსებს, მაგრამ თვითონ არ იცლება“. როგორც ბავშვებმა აღნიშნეს, მას შემდეგ, რაც ახალ წიგნებს ეზიარნენ, მიხვდნენ, რომ ეს „სავსე ჭურჭელი“ მათ ოჯახებში მნიშვნელოვანი ნივთია.

კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

სკოლის დირექტორის სტანდარტი

25-28

მოსაზრება

54

მარი გირკაძე
შემოქმედებითი აზროვნება მოსწავლეებში

საგანმანათლებლო სისტემა განსაკუთრებულ როლს ასრულებს კრეატიულობის განვითარებაში. მოსწავლე არ არის ცარიელი ჭურჭელი, რომელიც ცოდნით უნდა გაივსოს. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პრობლემებზე ფოკუსირება სტიმულს აძლევს მოსწავლის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას და მას შემოქმედებითი აზროვნებისთვის განაწყობს.

პროფესია მასწავლებელი

52

მანა რაზმაძე
სარტიფიკატი უმაღლესი კვალით
- ნინო ქავშირიანი

სასკოლო რეფორმების მიზნები იმდენად დადებითია, რომ არა მგონია, მათ ვინმე ეწინააღმდეგებოდეს. მათი განხორციელების გზებს რაც შეეხება, საჭიროა აზრთა მუდმივი გაცვლა-გამოცვლა, დაზუსტება. ბევრი კოლეგისგან მომისმენია და მეც არაერთხელ მიფიქრია, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლის აზრი მეტად არის გასათვალისწინებელი.

„პესტალოცი“

29

ირმა კახურაშვილი
პროფესიული განვითარების სქემა -
სარტიფიკირებული მასწავლებლის
კონსტიტუცია

სახელმწიფომ უკვე აამუშავა მასწავლებლის პროფესიის რეგულირების პირველი მექანიზმი – სერტიფიცირება. სერტიფიცირებული მასწავლებლის შემდგომი საქმიანობა სპეციალურ სქემამია ასახული, რომელზე მუშაობაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა სამი წლის წინ დაიწყო. დოკუმენტმა საბოლოო სახე ახლახან მიიღო და ნოემბრის ბოლოს პროგრამა „პესტალოცის“ ფარგლებში ჩატარებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საერთაშორისო სემინარის ერთ-ერთ ძირითად თემადაც იქცა.

რესურსი

56

მანა რაზმაძე
„მასწავლებელი“ ყველასათვის
ganatleba.ge – ეს იმ საიტის მისამართია, რომელსაც ხშირად სტუმრობენ როგორც ქართული, ისე საქართველოში არსებული აზერბაიჯანული და სომხური სკოლების მასწავლებლები.



ანა ჯანელიძე



ის მოსწავლეები, რომლებიც თავიდანვე სწავლად და ეფექტურად სწავლობენ კითხვას, მომდევნო წლებში უფრო მეტს კითხულობენ. გარდა ამისა, ხშირმა კითხვამ შესაძლოა, შედარებით დაბალი კოგნიტიური შესაძლებლობების კომპენსირებაც მოახდინოს ბავშვის ლექსიკისა და ზოგადი ცოდნის განვითარების გზით.



კითხვის მნიშვნელობა

კითხვის მნიშვნელობა მხოლოდ მოცემული ტექსტის გააზრებით არ შემოიფარგლება. კითხვა, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, დიდ ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა კოგნიტიური უნარის განვითარებაზე. აღნიშნული ზეგავლენის ხარისხი დამოკიდებულია კითხვის მოცულობაზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად ბევრს კითხულობს ბავშვი.


მასწავლებელმა კარგად იცის, რომ ბავშვები ერთმანეთისგან განსხვავდებიან კითხვის უნარის ფლობის მიხედვით. მკვლევარები ხაზს უსვამენ ბექდურ მედიასთან ურთიერთობის მნიშვნელობას ადრეულ ასაკში. ნიგნის და ზოგადად, კითხვის მიმართ ადამიანის დამოკიდებულება ხშირად განპირობებულია იმით, თუ რამდენად ინტენსიურად და რა სიტუაციებში ჰქონდა ბავშვს, სკოლამდელ ასაკში, ნაბეჭდ მასალებთან შეხება (მაგალითად, რამდენად ხშირად უკითხავდნენ ნიგნებს, ან რამდენად უკავშირდებოდა ნიგნის კითხვა სხვა სასიამოვნო პროცესებს). კითხვის უნარის დაუფლების პროცესში მნიშვნელოვანია მიბაძვის ფაქტორი: ბავშვის გარშემო მკითხველების არსებობა ხშირად აისახება კითხვის მიმართ მის დამოკიდებულებაზე მომდევნო წლებში.

კითხვის უნარის განვითარების შეფერხების მიზეზი, რიგ შემთხვევებში, არასაკმარისი და არასათანადო სწავლებაა. აქედან გამომდინარე, განათლების მიღების საწყის ეტაპზე მასწავლებლის როლი ძალიან მნიშვნელოვანია,

განსაკუთრებით სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან მიმართებაში.

ბავშვებს კითხვას იმისთვის ვასწავლით, რომ მათ ცოდნის მიღება შეძლონ. საწყის ეტაპზე კითხვა ბავშვის მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ნელ-ნელა კი ის ავტომატურ პროცესად ყალიბდება. ადრეულ ასაკში კითხვის უნარის განვითარების შეფერხება და სიტყვის აღქმისა და გაშიფვრის სირთულე ბავშვს კითხვის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას უჩენს, რის გამოც კითხვის ავტომატიზაციის პროცესი ფერხდება.

განათლების სპეციალისტები თანხმდებიან, რომ ბავშვის ლექსიკის ძირითადი ნაწილის განვითარება სწავლების პროცესში არ ხდება. ბევრი მკვლევარი დარწმუნებულია, რომ სწორედ კითხვა და არა ზეპირი მეტყველება ახდენს ზეგავლენას ლექსიკურ სიმდიდრეზე. ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში მეცნიერებმა სხვადასხვა ტექსტის ლექსიკური სიმდიდრე გააანალიზეს. ეს მახასიათებელი იმის მიხედვით



განისაზღვრა, თუ რამდენად იშვიათი სიტყვები იყო მოცემული თითოეულ ტექსტში. სიტყვის „იშვიათობა“ ინგლისური სიტყვების სტანდარტული სიხშირეების მიხედვით დადგინდა. მაგალითად, ხშირად გამოყენების თვალსაზრისით, სიაში პირველ ადგილზეა სიტყვა „the“ (არტიკლი ინგლისურ ენაში), მე-100 ადგილზე არის სიტყვა „ცოდნა“, მე-16000 ადგილზე კი – სიტყვა „გამაძლიერებელი“. მკვლევარებმა ტექსტის ლექსიკური სიმდიდრე ზემოაღნიშნულ სიაში მისი სიტყვების ადგილმდებარეობის საშუალო მაჩვენებლის საფუძველზე შეაფასეს. ანალიზის შედეგების განხილვისას ცხადი გახდა, რომ ზეპირი მეტყველება (სატელევიზიო გადაცემები, ზრდასრულთა საუბარი) ბევრად უფრო ღარიბია ლექსიკური თვალსაზრისით, ვიდრე ნაბეჭდი ტექსტები (ყურნალ-გაზეთების სტატიები, ზრდასრულთა და საბავშვო წიგნები, სამეცნიერო სტატიები და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ საბავშვო წიგნებშიც კი უფრო იშვიათი სიტყვები გვხვდება, ვიდრე ზეპირ მეტყველებაში (პოპულარული სატელევიზიო გადაცემები, საბავშვო გადაცემები და ა.შ.).

სხვადასხვა ტექსტს შორის განსხვავება, იშვიათი სიტყვების გამოყენების კუთხით, სავარაუდოდ, ზეგავლენას ახდენს ბავშვის ლექსიკის განვითარებაზე. თუ ძირითადი ლექსიკური მარაგის შევსება ფორმალური სწავლების პროცესის მიღმა ხდება, მაშინ ახალი სიტყვების სწავლის საშუალებად ზეპირი მეტყველება და წერილობითი ტექსტები რჩება. ვინაიდან იშვიათი სიტყვები უფრო ხშირად წერილობით ტექსტებშია გამოყენებული, კითხვა ბავშვს მათი ათვისების მეტ შესაძლებლობას აძლევს. ამ შემთხვევაში, იშვიათ სიტყვად ითვლება ყველა ის სიტყვა, რომელთა ადგილი ინგლისური სიტყვების სტანდარტულ სიხშირეთა ჩამონათვალში 10 000-ზე ზემოთ არის; ანუ ეს ის სიტყვებია, რომლებიც მე-4-მე-6 კლასელის ლექსიკური მარაგის მიღმაა. პოპულარული ჟურნალიც კი, სატელევიზიო გადაცემასა და ზრდასრულთა საუბართან შედარებით, სამჯერ მეტ „იშვიათ“ სიტყვას იყენებს. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამ კუთხით,

ბეჭდური ტექსტის მნიშვნელობა გაზვიადებულია და მათში გამოყენებული „იშვიათი“ სიტყვები აკადემიური, ან კონკრეტული სფეროსთვის დამახასიათებელი ტერმინებია, ან ისეთ სიტყვებია, რომლებსაც რეალური ფუნქციური დანიშნულება არა აქვთ. აღნიშნული არგუმენტის მცდარობას ადვილად შევამჩნევთ, თუ „იშვიათ“ სიტყვებს დავაკვირდებით. მათ კატეგორიაში ხვდება: „მონანილეობა“, „ფუფუნება“, „გამონვევა“, „მანევრი“, „გათანაბრება“, „უსასრულო“ და ა.შ. ეს ის სიტყვებია, რომელთა ცოდნაც საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენს გარშემო არსებული ფიზიკური და სოციალური სამყაროს აღქმა და კრიტიკული შეფასება მოვახდინოთ. „ადამიანი, რომელიც ცხადად ვერ ხედავს განსხვავებას განზრახვის გამოხატვასა და დაპირებას, შეცდომასა და გაუგებრობას, მცდარი შეხედულების ქონასა და ტყუილს შორის, უნდა ერიდოს იურისტის ან თუნდაც თეოლოგის კარიერას“, –





აღნიშნავს წიგნიერების სფეროს მკვლევარი დ. ოლსონი.

ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში, რამდენიმე მკვლევარმა (ანდერსონი, უილსონი და ფილდინგი) მე-5 კლასის მოსწავლეთა მიერ, რამდენიმე თვის მანძილზე, კლასგარეშე მასალების ყოველდღიური კითხვის ხანგრძლივობა გააანალიზა. ანალიზის შედეგები განსაცვიფრებელია: კითხვის მოყვარული ბავშვები, რომლებიც, კითხვის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, ზედა 10%-ს შეადგენენ, წელიწადში, საშუალოდ, 200-ჯერ მეტ სიტყვას კითხულობენ, ვიდრე ისინი, რომლებიც კითხვას ყველაზე ნაკლებდროს უთმობენ (ქვედა 10%). მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სწორედ ბავშვებს შორის კითხვაზე დახარჯულ დროში ასეთი დიდი განსხვავება და ბეჭდური ტექსტის ლექსიკური სიმდიდრე იწვევს მათ შორის, ლექსიკის ფლობის


თვალსაზრისით, მნიშვნელოვან განსხვავებას.

მიუხედავად აღნიშნული დასკვნისა, რთულია ამ ფაქტორის როლის საბოლოოდ განსაზღვრა. მკვლევარები ქანიგემი და სტანოვიჩი შეეცადნენ, გამოეკვლიათ და შეეფასებინათ კლასგარეშე კითხვის მოცულობის უნიკალური როლი კითხვის უნარის, ვერბალური ინტელექტისა და ზოგადი ცოდნის განვითარებაში მე-3-მე-5 კლასების მოსწავლეებს შორის. მკვლევარები უშვებდნენ, რომ იმ ბავშვებს, რომლებიც ბევრს კითხულობენ, ტექსტის გაგების უკეთესი უნარი აქვთ, რაც თავისთავად ხელს უწყობს ლექსიკის განვითარებას. ამ შემთხვევაში კი, რთულია, ცალკე გამოიყოს მხოლოდ კითხვის მოცულობის ეფექტი. სხვადასხვა კვლევისა და სტატისტიკური მეთოდის გამოყენების შედეგად, მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, კითხვის მოცულობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვების ლექსიკურ მარაგსა და ზოგად ცოდნაზე. ტექსტის გაგების ერთნაირად სუსტი უნარისა და ერთნაირად სუსტი ზოგადი უნარების მქონე ბავშვებს შორის განსხვავება, ლექსიკური მარაგისა და ზოგადი ცოდნის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენს კითხულობს ბავშვი. რაც უფრო მეტს კითხულობს ის, მით უფრო მდიდარია მისი ლექსიკა და ფართოა ზოგადი ცოდნა, მიუხედავად ისეთი შემაფერხებელი ფაქტორებისა, როგორიცაა: შედარებით დაბალი ინტელექტის კოეფიციენტი, სისუსტეები ზოგადი უნარებისა და ტექსტის გაგების უნარის კუთხით. ერთ-ერთი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ზრდასრული ადამიანების ზოგადი

ცოდნა, მიუხედავად მათი ზოგადი უნარებისა, უფრო ფართო იყო აქტიური მკითხველების შემთხვევაში და უფრო ვიწრო – სატელევიზიო გადაცემის აქტიურ მაყურებელთა შორის. ამრიგად, ყველაზე მეტად ინფორმირებულია ის, ვინც ყველაზე მეტს კითხულობს და ყველაზე ნაკლებად უყურებს სატელევიზიო გადაცემებს.

როგორც აღვნიშნეთ, მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ კითხვის მოცულობა სხვადასხვა კოგნიტური უნარის განვითარებაზე ახდენს ზეგავლენას. საინტერესოა, რა ფაქტორები განაპირობებს ბავშვის აქტიურ მკითხველად ჩამოყალიბებას. მრავალწლიანი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ, ამ მხრივ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს კითხვის უნარის ადრეულ ასაკში დაუფლება წარმოადგენს. პირველ კლასში სიტყვის ცნობისა და ტექსტის გაგების უნარი მნიშვნელოვნად განაპირობებს ამავე ბავშვების მიერ მე-11 კლასში წაკითხული მასალის მოცულობას. საინტერესოა, რომ, ამ თვალსაზრისით, პირველკლასელთა ინტელექტის კოეფიციენტი ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა. როგორც აღვნიშნული შედეგი მიანიშნებს, ის მოსწავლეები, რომლებიც თავიდანვე სწრაფად და ეფექტურად სწავლობენ კითხვას, მომდევნო წლებში უფრო მეტს კითხულობენ. გარდა ამისა, ხშირმა კითხვამ შესაძლოა, შედარებით დაბალი კოგნიტური შესაძლებლობების კომპენსირებაც მოახდინოს ბავშვის ლექსიკისა და ზოგადი ცოდნის განვითარების გზით.





თანამშრომლობითი საგანმანათლებლო ინტერნეტ-პროექტები

საგანმანათლებლო პროცესში პროექტების გამოყენება თანდათან მკვიდრდება სამასწავლებლო პრაქტიკაში. საგანმანათლებლო პროექტი შეიძლება განვმარტოთ, როგორც გარკვეული მიზნით განხორციელებული საკლასო ან გუნდური აქტივობების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ერთი ან რამდენიმე სასწავლო ამოცანის შესრულებას.

სასწავლო პროექტის ხანგრძლივობა, მონაწილეთა რაოდენობა და თემატიკა მრავალფეროვანია. მას ნებისმიერი პროექტის მახასიათებლები აღენიშნება: **გამოკვეთილი მიზანი, დროში განწერილი აქტივობები და ეტაპები, შედეგები, პასუხისმგებლობებისა და ამოცანების გადანაწილება პროექტში ჩართულ პირებს შორის და სხვ.** პროექტი კარგი საშუალებაა მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, მათი უნარებისა და მიდრეკილებების წარმოსაჩენად.

ინტერნეტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ პროექტების გამოყენების არეალი მნიშვნელოვნად გააფართოვა. გაადვილდა საერთაშორისო პროექტების შესრულებაც. მათი წამოწყება შესაძლებელი გახდა როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების თუ სამთავრობო სტრუქტურების, ასევე საინიციატივო ჯგუფების, მასწავლებლებისა და უშუალოდ სასწავლო დაწესებულებების მიერ. პროექტი შეიძლება იყოს: თანამშრომლობითი, საერთაშორისო, თემატური, საგნობრივი, ინტერდისციპლინური, სასკოლო, თემური და სხვ. ისინი სირთულის დონითაც განსხვავდება. ინტერნეტის განვითარებასთან ერთად პროექტებიც უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი ხდება.

ამჟამად ექსპერტები განასხვავებენ ინტერნეტ-პროექტების შემდეგ ტიპებს:

- **ინტერნეტ-მოკვლევა, ანუ ვებ-მოძიება:** ინტერნეტში არატრიალური და ძნელად მოპოვებადი სასწავლო მასალების ძებნა;
- **მიმონერითი პროექტები –** სხვადასხვა ხასიათის საგანმანათლებლო ინფორმაციის გაცვლა ელექტრონული ფოსტით ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით;
- **ვირტუალური მოგზაურობა:** რომელიმე ქვეყნის, ქალაქის თუ ისტორიულ-გეოგრაფიული ადგილის შესწავლა ინტერნეტის საშუალებით;
- **ენ. „მოსწავლეთა ფაბრიკები“, რომელთა ფარგლებშიც მოსწავლეები ქმნიან სასწავლო ელექტრონულ რესურსებს;**
- **კვლევითი პროექტები გულისხმობს მონაცემთა მოგროვებას და დამუშავებას მათი სასწავლო ან სამეცნიერო მიზნით გამოყენებისათვის;**
- **სიმულაციური და როლური თამაშები:** სასწავლო პროექტის ნაწილი;
- **„ჰკითხეთ ექსპერტს“ – ერთ ან რამდენიმე საინტერესო საკითხზე ექსპერტის მოსაზრების მიღება;**
- **სასკოლო საპროექტო დღეები.**



მერაბ ლაბაძე



ინტერნეტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ პროექტების გამოყენების არეალი მნიშვნელოვნად გააფართოვა. გაადვილდა საერთაშორისო პროექტების შესრულებაც. მათი წამოწყება შესაძლებელი გახდა როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების თუ სამთავრობო სტრუქტურების, ასევე საინიციატივო ჯგუფების, მასწავლებლებისა და უშუალოდ სასწავლო დაწესებულებების მიერ.



სულ უფრო პოპულარული ხდება ვებ 2.0 ტექნოლოგიებით გამდიდრებული პროექტები, მაგალითად: გარკვეული თემის გარშემო ვიკიპედიის ტიპის თანამეგობრობის შექმნა; მობილური ტელეფონების გამოყენებით ურბანული სივრცის შესწავლა, ფოტო-ვიდეო გადაღება და მასალების გაზიარება-ანალიზი; დამალული განძის მოძიება GPS ხელსაწყოების მეშვეობით და სხვ.

ქართველ მასწავლებლებს სასწავლო პროექტის დაგეგმვისა და ორგანიზების საფუძვლების გაცნობა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ისტრუქციული კურსის მეშვეობითაც შეუძლიათ.

ამჯერად იმ საგანმანათლებლო პროექტებზე ვისაუბრებთ, რომლებიც უკვე დამკვიდრდა საერთაშორისო პრაქტიკაში და თანამშრომლობით ან საკონკურსო ხასიათს ატარებს. ზოგიერთ მათგანში მონაწილეობა საქართველოს სკოლებსა და დაინტერესებულ მასწავლებლებსაც შეუძლიათ.

ოფისიალური საპროექტო ქსელები და პროგრამები

ზოგიერთი პროექტი სპეციალურად იგეგმება სხვადასხვა ოფიციალური სტრუქტურისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ევროკავშირის ქვეყნების სასკოლო ქსელი EUN (www.eun.org) ევროპის ქვეყნებში ისტ განათლების პოლიტიკის განმახორციელებელ სტრუქტურებს აერთიანებს. EUN ქსელი კვლევების, საგანმანათლებლო რესურსების შექმნის, სასწავლო პორტალებისა თუ პლატფორმების შემუშავების გარდა, ორგანიზებას უწევს საპროექტო ხასიათის აქტივობებსაც, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია eTwinning პროექტები. პორტალზე (www.etwinning.net) რეგისტრაციის შემდეგ დაინტერესებული სკოლა, სულ ცოტა, ერთ პარტნიორს

მაინც ეძებს ევროპის რომელიმე ქვეყანაში და მასთან ერთად ახორციელებს პროექტს, რომლის მიმდინარეობასაც გამოყოფილ თანამშრომლობით სივრცეში ასახავს. პორტალზე განთავსებულია მეთოდური რეკომენდაციები, სანიმუშო პროექტების აღწერები და ის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებამ კარგი შედეგი მოიტანა. ამჟამად 3 ათასზე მეტი პროექტია აქტიური, 18 ათასი კი – დამთავრებული.

EUN ევროპული სასკოლო ქსელის ეგიდით იმართება ისტ სასწავლო რესურსებისა და ევროპულ სკოლებში განხორციელებული პროექტების ყოველწლიური კონკურსი. ის რამდენიმე კატეგორიაში ტარდება, რომლებსაც სხვადასხვა კერძო და სამთავრობო ორგანიზაცია აფინანსებს. საკონკურსო კატეგორიებია: საუკეთესო პროექტი ახალგაზრდობის ელ. უნარების გასაუმჯობესებლად, სოციალური ქსელების ინსტრუმენტებისა და მობილური მონყობილობების გამოყენება საგანმანათლებლო პროექტებში, საუკეთესო საერთაშორისო პროექტი. კონკურსში მონაწილეობა საქართველოს სკოლებსაც შეუძლიათ, თუმცა, პირობების თანახმად, საპროექტო აქტივობა რომელიმე ევროპულ ენაზე უნდა განხორციელდეს.


www.globalgateway.org – ეს არის პორტალი, რომელსაც ბრიტანეთის მთავრობა უჭერს მხარს. ის ხელს უწყობს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სკოლების თანამშრომლობას ბრიტანეთის სკოლებთან და ამდენად, ქართული სკოლებისთვისაც ხელმისაწვდომია. ბრიტანულ სკოლასთან პარტნიორული პროექტის

განხორციელებისათვის შესაძლებელია შეზღუდული დაფინანსების მოპოვებაც სხვადასხვა წყაროდან. ზოგიერთი მათგანი პორტალზეა მითითებული.

პროგრამა გლობუსს (www.globe.gov) მხარს აშშ მთავრობა უჭერს. ის კვლევითი ხასიათის პროექტების განხორციელებას გულისხმობს. პროექტების ფარგლებში, პროგრამაში მონაწილე სკოლების მოსწავლეები გარემოს შესახებ მონაცემებს აგროვებენ და სპეციალური სტანდარტული პროტოკოლების მეშვეობით მეცნიერულად ამუშავებენ. კვლევის სფეროებია: ატმოსფერო, ჰიდროლოგია, ნიადაგი, ბიოლოგია, ფენოლოგია. მიღებული შედეგები იმ რეალურ მეცნიერულ კვლევებში გამოიყენება, რომლებიც სხვადასხვა ადგილიდან მონაცემთა მიღებასა და ანალიზს ითხოვს.

საერთაშორისო საპროექტო ქსელები

საერთაშორისო ქსელები ხშირად მასწავლებელთა მონდომებასა და ენთუზიაზმზეა დაფუძნებული. ასეთი თანამშრომლობითი ინტერნეტ-სივრცის მაგალითია iEarn – საერთაშორისო განათლებისა და რესურსების ქსელი (www.iearn.org). ქსელის საერთო კოორდინაციას არასამთავრობო ორგანიზაცია ახდენს. მას კოორდინატორი ასზე მეტ ქვეყანაში ჰყავს, მათ შორის საქართველოშიც. აიერნი კარგად ჩამოყალიბებული და სტრუქტურირებული ქსელია, რომელიც დაინტერესებულ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სთავაზობს 150 თემატურ




პროექტს, ატარებს სემინარებსა და ყოველწლიურ კონფერენციას.

აიერნის პროექტების შეჯერება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან სავსებით შესაძლებელია. კონკრეტული პროექტის არჩევისა და რეგისტრაციის შემდეგ მონაწილე გუნდი ინფორმაციასა და მასალებს გამოყოფილ ინტერნეტ-სივრცეში ათავსებს. აქვე, ფორუმზე შეიძლება ურთიერთობის დამყარება პროექტის კოორდინატორთან და ყველა იმ ჯგუფთან, რომელიც არჩეულ პროექტზე მუშაობს სხვადასხვა ქვეყანაში. შემოთავაზებული პროექტები პერიოდულად იცვლება. თემები კურიკულუმის საგნების შესაბამისია და განკუთვნილია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის, მაგალითად: „ეროვნული ტანსაცმელი“, „ჩემი სახელი“, „ჩემი ქალაქი და მე“, „იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობა“, „გაიცანით სხვები“,

ინფორმაციის ნახვა შეგიძლიათ აქ: <http://gearn.blogspot.com>

ევროპული სკოლების საპროექტო ასოციაცია ESP საკუთარ ქსელში არა მარტო ევროპული ქვეყნების მასწავლებლებს ერთიანებს: მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მასწავლებლებიც არიან განევრინებული. ეს ასოციაცია ისტ-ზე დაფუძნებული ინოვაციური განათლების მხარდაჭერას ისახავს მიზნად (www.espnet.eu). ქსელში შემოთავაზებული პროექტები ინტერნეტით თანამშრომლობაზეა გათვლილი და ორ კონცეფციას გვთავაზობს: ტელეპროექტსა და ელექტრონულ ჟურნალს. ტელეპროექტის კონცეფცია გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეთა შორის დიალოგის წარმართვას რომელიმე საინტერესო თემაზე, მის აქტიურ შესწავლასა და შესაბამისი მასალების ურთიერთგაზიარებას ელექტრონული

უცხო ენების შესწავლაზეა ორიენტირებული. პროექტს აქვს პორტალი (www.espnet.eu/image), სადაც პარტნიორის მოსაძიებლად, პროექტის დასაგეგმად და შესასრულებლად საჭირო ინფორმაციაა განთავსებული. პროექტის ძირითადი იდეაა მოსწავლეების მიერ უცხო ენაზე ინდივიდუალური წერილების მომზადება და ელექტრონული ფოსტით გადაგზავნა პარტნიორი კლასის მენეჯერს მოსწავლესთან, ასევე პარტნიორის მიერ მომზადებული წერილების მიღება და განხილვა. პორტალი მოსწავლეებს სთავაზობს 10 სტანდარტული წერილის მომზადებას, შემდეგ თემებზე: „გაცნობა“, „ჩემი სახელი“, „ჩემი სკოლა“, „ჩემი ჰობი“, „დეტალები“, „ჩემი დღიური“, „მართლა ვიცნობთ ერთმანეთს?“, „ჩემი მშობლიური ქალაქი და ჩემი რეგიონი“, „ჩემი ქვეყანა“, „გინებთ ტურისტულ გიდობას“. თითოეულ წერილში პასუხი უნდა გაეცეს შესაბამის კითხვებს, რის დროსაც ენის ლექსიკისა და გრამატიკის ათვისება ხდება. მაგალითად, მშობლიური ქალაქისა თუ სოფლის წარდგენისას მოსწავლეებმა უნდა უპასუხოთ კითხვებს: რა ღირშესანიშნავი ადგილები აქვთ? რა არის ლამაზი და რა არ მოსწონთ? რას სთავაზობს ქალაქი მის მკვიდრებს? იცხოვრებდნენ თუ არა სხვა ქალაქში? რას ფიქრობენ სტუმრები მათ მშობლიურ ქალაქზე? როგორ წარმოუდგენით პარტნიორი სკოლის მშობლიური ქალაქი? და ა.შ. წერილების მომზადების პარალელურად რეკომენდებულია მშობლიურ ქალაქზე ფოტო და ვიდეო ინფორმაციის, ინტერნეტ-ბმულების მოგროვება და პარტნიორისთვის გადაგზავნა, ან ვებ-გვერდზე განთავსება. მოსწავლეები ასევე ეძებენ ინფორმაციას პარტნიორის ქალაქზე და ქმნიან საკუთარ რესურსს. ისინი ადარებენ თავის წარმოდგენებს თანატოლებისგან მიღებულ პასუხებს და თანდათან სხვის „სახეს“ (იმიჯს) ქმნიან. პროექტის მიმდინარეობისას მოსწავლეები უცხო ენის ლექსიკურ



„მათემატიკის კავშირი ჩვენს ცხოვრებასთან“, „ადრეული ხალხების სიმბოლოები“, „ჩვენი მდინარეები – ჩვენი სამყარო“, „კალიგრაფიის ხელოვნება“ და სხვ.

მიუხედავად თემატური მრავალფეროვნებისა, ყველა პროექტს ერთი დევიზი აერთიანებს: როგორ გააუმჯობესებს ის ცხოვრების დონეს პლანეტაზე.

აიერნის ქსელი საქართველოშიც ფუნქციონირებს. მის შესახებ მეტი

ფოსტით, ან ვირტუალურ საგანმანათლებლო გარემოში. ელექტრონული ჟურნალი წარმოადგენს თანამშრომლობით ინტერნეტ-პლატფორმას, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა პროექტი ხორციელდება.

თანამშრომლობითი პროექტის მაგალითები

„სხვის სახე“ (The Image of the Other) ESP ქსელის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროექტია, რომელიც

მარაგს საგრძნობლად იმდიდრებენ და გრამატიკასაც უკეთ ითვისებენ.

პორტალზე განთავსებულია დამხმარე მასალები მოსწავლეთათვის, რაც მათ წერილების მომზადებაში ეხმარება. აქვეა მასწავლებლის მეგზურიც, დეტალური ინსტრუქციებით, რაც უკეთესად პროექტის თითოეული ეტაპის წარმატებით წარმართვაში უწყობს ხელს.

თითოეულ შემთხვევაში ხდება პროექტის მოდიფიკაცია და თემების შერჩევა მასწავლებლის მიერ კლასის ინტერესებისა და ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით. პროექტის მიმდინარეობისას შესაძლებელია დამატებითი აქტივობების ჩატარებაც: პრეზენტაციების, ფოტო-კოლაჟების, ვიდეოფილმების მომზადება, სიმღერების ჩანერა, კითხვარების გაცვლა, ესეებისა და ტურისტული მეგზურების მომზადება და სხვ.

პროექტი საკმაოდ პოპულარულია. თხუთმეტი წლის მანძილზე მან ათასობით კლასი და მოსწავლე დააკავშირა ერთმანეთს.

ESP ქსელი კიდევ ერთ საინტერესო პროექტს „კულტურის ძებნას“ (CultureQuest) ახორციელებს. აშშ-ში წამოწყებული პროექტი განსხვავებული კულტურის შესახებ ინფორმაციის მოძიებას და შესაბამისი ვებ-გვერდის შექმნას ემსახურება. პროექტის ფარგლებში ხდება სხვა კულტურის ისეთი ასპექტების შესწავლა, როგორცაა: რელიგია, რიტუალები, ცერემონიები, დასვენება, ჩაცმულობა, საკვები, კულინარია, მუსიკა, ხელოვნება, ცეკვა და თეატრი, ლიტერატურა, ყოველდღიური ცხოვრება, მუშაობა, სკოლა და განათლება. ვებ-გვერდების მომზადებისას მოსწავლეები ასაკის შესაბამისად ითვისებენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტებს და ეუფლებიან გარკვეულ პროგრამებს. პროექტის ფარგლებში შექმნილი ვებ-გვერდები სასწავლო რესურსად გამოიყენება.

ESP ქსელის მიერ ორგანიზებული სხვა პროექტებიდან აღსანიშნავია: „ჩემი სათამაშოები“, „ზღვა – შენი მომავალი“, „ენერგია მოძრაობაში“, „ვიმღეროთ ერთად“ და სხვ.

„საპროექტო ფაბრიკის“ ტიპის პროექტებიდან აღსანიშნავია ThinkQuest (www.thinkquest.org), რომლის ფარგლებშიც, გარკვეული საკონკურსო პირობებით, მოსწავლეთა გუნდები, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საგანმანათლებლო ხასიათის ვებ-გვერდებს ქმნიან. პროგრამაში მონაწილეობა ქართულ სკოლებსაც შეუძლიათ.

აღსანიშნავია ესტონური პროექტი „გამარჯობა, გაზაფხულო“. მონაწილე სკოლების დანყებითი კლასების მოსწავლეები სწავლობენ ბუნებაზე დაკვირვებას და მათ საცხოვრებელ ადგილთან გავრცელებული მცენარეების, ფრინველებისა და ცხოველების მახასიათებლებს. პროექტის ძირითადი აქტივობაა გაზაფხულის დადგომის მანიშნებელი სახეობების შემჩნევა, ფოტოგადაღება და მასალების ინტერნეტ-პორტალზე (<http://tere.kevad.edu.ee>) ატვირთვა. მოსწავლეები წინასწარ სწავლობენ აღნიშნულ სახეობებს, ინტერნეტის მეშვეობით ეცნობიან მცენარეთა იერსახესა და ფრინველებისა თუ ცხოველების მიერ გამოცემულ სპეციფიკურ ხმებს, შემდეგ კი ცდილობენ, ბუნებაში აღმოაჩინონ ისინი.


წარმატებული დაკვირვების ამსახველი მასალები საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. პროექტში ყოველწლიურად ესტონური სკოლების მესამე დია ჩართული, ხოლო ინტერნეტ-პორტალის დამთვალიერებელთა რიცხვი მილიონს აღწევს. საერთაშორისო თანამშრომლობითი ბლიც-პროექტები ქართულ და ესტონურ სკოლებს შორის 2007 წელს განხორციელდა. სპეციალურად შექმნილ ბლოგ-სივრცეში განთავსდა მოსწავლეთა მიერ მომზადებული მასალები წინასწარ შერჩეულ საპროექტო თემაზე.

ეროვნული სამზარეულოებისადმი მიძღვნილ ბლოგზე აიტვირთა შესაბამისი რეცეპტები და ზოგიერთი კერძის დამზადების ამსახველი ვიდეოებიც, რომლებიც თავად მოსწავლეებმა შექმნეს.

დაფინანსება და მხარდაჭერა

ინტერნეტზე დაფუძნებული, თანამშრომლობითი პროექტები, ზოგადად, დიდ დაფინანსებას არ მოითხოვს. ის აქტივობები, რომლებიც პროექტის ფარგლებში ხორციელდება, სასწავლო ხასიათისაა და საგაკვეთილო პროცესშიც შეიძლება იყოს ინტეგრირებული. ზოგ შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდური რესურსები თუ საუკეთესო გამოცდილების ამსახველი მასალები მოხალისეობრივ საწყისებზე იქმნება ენთუზიასტი მასწავლებლების მიერ. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამთავრობო სტრუქტურების მიერ ინიცირებული პროექტები, ზოგჯერ, მონაწილეებს გარკვეულ დაფინანსებას სთავაზობს. მაგალითად, ევროპის ქვეყნების სკოლებისთვის ხელმისაწვდომია ევროკავშირის კომენიუსის პროგრამის დაფინანსება, რომელიც გამოიყენება მოსწავლეთა გაცვლისა და მასწავლებელთა ტრენინგების ხარჯების დასაფარად, სასწავლო მასალების გასავრცელებლად, საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად, სკოლებს შორის პარტნიორობის გასაფართოებლად. უფრო ხშირია შემთხვევები, როცა კონკრეტულ პროექტსა თუ კონკურსს რომელიმე კომპანია ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება აფინანსებს. ნებისმიერ შემთხვევაში, კარგი პროექტი და ინოვაციური წამოწყება უყურადღებოდ არ რჩება. მთავარია, რომ მასში ჩართული მასწავლებლები და მოსწავლეები უფრო მეტ ცოდნასა და გამოცდილებას იძენენ.





კლასგარეშე აქტივობები და პრობლემები




თეო ნაწარძიძე

თანამედროვე მსოფლიოს შრომითი ბაზრის თავისებურებებისა და მოთხოვნების გამო, დღეს, სასკოლო პროცესის დასრულების შემდეგ სახლში მისული უფრო და უფრო მეტი ბავშვი რჩება უფროსების ყურადღების გარეშე. დასაქმებული მშობლების უმრავლესობას გვიან ღამემდე უწევს სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულება და სახლში დაბრუნების შემდეგ შვილებისთვის სათანადო დროის დათმობის საშუალება აღარ აქვს. არადა, სკოლის გარეთ, ოჯახსა თუ სოციალურ გარემოში მიღებული გამოცდილება უზარმაზარ გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მის აკადემიურ პროგრესს. მშობლების ყურადღების გარეშე, ან მინიმალური ყურადღების პირობებში დარჩენილ ბავშვებში, ერთი მხრივ, აკადემიური პრობლემები იჩენს თავს, ხოლო მეორე მხრივ, სარისკო ქცევის ჩამოყალიბების ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარდატეხის ასაკში მყოფ ბავშვებში ხშირად მშობლების მითითებები პროტესტის გრძნობას იწვევს. ამდენად, მოსწავლეთა აკადემიური წინსვლის უზრუნველყოფა და დადებითი სოციალური მიმართულებით განვითარება დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემების და მრავალი ოჯახის ამოცანას წარმოადგენს.

ზემოაღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, თანამედროვე მსოფლიოში კლასგარეშე აქტივობების და პროგრამების საჭიროება დღითი დღე იზრდება. კლასგარეშე პროგრამები გაკვეთილების შემდეგ ბავშვების დროის უსაფრთხოდ, ორგანიზებულად და ნაყოფიერად გატარებას უზრუნველყოფს, მათ ენერჯის პოზიტიური მიმართულებით წარმართავს, გარდა ამისა, სპეციფიკური ინტერესების დაკმაყოფილებასა და განსაკუთრებული ტალანტის გამოვლენასაც უწყობს ხელს. კლასგარეშე პროგრამების საჭიროება და სარგებლიანობა იმდენად დიდია განვითარებულ ქვეყნებში, რომ განათლების სფეროსთვის გამოყოფილი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი წილი სწორედ ასეთი ტიპის პროგრამების და ღონისძიებების დაფინანსებაზე მოდის. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურის ფედერალური დაფინანსების დაახლოებით 10% კლასგარეშე აქტივობებისა და პროგრამების დაფინანსებას ეთმობა.



სკოლის გარეთ, ოჯახსა თუ სოციალურ გარემოში მიღებული გამოცდილება უზარმაზარ გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მის აკადემიურ პროგრესს. მშობლების ყურადღების გარეშე, ან მინიმალური ყურადღების პირობებში დარჩენილ ბავშვებში, ერთი მხრივ, აკადემიური პრობლემები იჩენს თავს, ხოლო მეორე მხრივ, სარისკო ქცევის ჩამოყალიბების ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება.



კლასგარეშე პროგრამების შეფასებითი კვლევების დასკვნებში, წლების განმავლობაში, განსაკუთრებით აღნიშნავდნენ მათ აკადემიურ შედეგებსა და სარგებლიანობას. თუმცა, დღეს, არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევა კლასგარეშე აქტივობებისა და პროგრამების პიროვნული და სოციალური სარგებელი. სწავლისა და სწავლების სფეროში ჩატარებული კვლევები გვაჩვენებს, რომ შესაძლებელია ბავშვს პიროვნული და სოციალური უნარ-ჩვევები ვასწავლოთ. კლასგარეშე პროგრამების შეფასებებში კი დასტურდება, რომ ბავშვების ჩართულობა აღნიშნულ პროგრამებში პირდაპირ კავშირშია, ერთი მხრივ, მათ სტაბილურ ემოციურ მდგომარეობასა და დადებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასთან, ხოლო, მეორე მხრივ, დადებით ქცევასთან.

ბავშვებისა და მოზარდების განვითარების თეორიების თანახმად კი, სწავლება მაშინ არის განსაკუთრებით ეფექტური, როცა პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება. ამდენად, კლასგარეშე პროგრამების ფარგლებში, პიროვნული და სოციალური განვითარების ასპექტები ისეთი უნარ-ჩვევების სწავლებას მოიცავს, როგორცაა: პრობლემების

გადაჭრა, კონფლიქტების მართვა, თვითკონტროლი, გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის აღება, თვითეფექტურობის გაზრდა, ობიექტური თვითშეფასება და ა.შ.

კლასგარეშე პროგრამების ძირითადი მიმართულებები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფექტური კლასგარეშე პროგრამები პრაქტიკულ მომზადებას ეფუძნება. ეს უკანასკნელი კი სასურველია, მოიცავდეს როგორც ტრენინგის, ისე პროგრამულ კომპონენტებს. ტრენინგის კუთხით პროგრამები უნდა იყოს თანმიმდევრული და ინტერაქტიული ფორმატის, ხოლო პროგრამული თვალსაზრისით – თემატურად დალაგებული და ნათლად ჩამოყალიბებული. აღნიშნული კომპონენტების მქონე პროგრამები სამი მიმართულებით გვაძლევს შედეგს: ისინი გავლენას ახდენს ბავშვების გრძნობებსა და შეხედულებებზე, განაპირობებს ქცევის დადებითად მოდიფიცირებასა და აკადემიურ წარმატებას.


კლასგარეშე პროგრამა შეიძლება იყოს აკადემიური ან შემეცნებითი მიმართულების. ამ დროს მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, მოამზადონ საშინაო დავალებები და დახმარება მიიღონ ისეთ უნარ-ჩვევებში, როგორცაა: კითხვა, არითმეტიკა,

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ა.შ. ამავე კატეგორიას განეკუთვნება საუნივერსიტეტო გამოცდებისთვის მოსამზადებელი პროგრამები, კომპიუტერული კურსები, უცხო ენის კურსები, მომზადება დასაქმებისთვის და ა.შ. სოციალური მიმართულების პროგრამებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში ლიდერული თვისებების ხელშემწყობი პროგრამები (სკაუტები, აკადემიური კლუბები და ა.შ.), ჯანსაღი ცხოვრების წესის გამავრცელებელი პროგრამები (ნარკომანიის პრევენციის პროგრამა), მოხალისეობრივი აქტივობის ხელშემწყობი პროგრამები, დებატკლუბები და ა.შ. ბავშვის ფიზიკური და პიროვნული განვითარების მიმართულებით კი წარმატებით მუშაობს ისეთი პროგრამები, როგორცაა: დრამისა და ხელოვნების, მუსიკისა და ხელსაქმის შემსწავლელი წრეები, კულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

კლასგარეშე პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა

კლასგარეშე პროგრამების ფინანსური მხარდაჭერისთვის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფსა თუ ინსტიტუციას სხვადასხვა მოტივაცია აქვს. სამთავრობო ინსტიტუტებისთვის კლასგარეშე პროგრამების განხორციელება და შესაბამისად, მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის გაუმჯობესება სკოლებისა და საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის ამაღლების გარანტიას წარმოადგენს. მშობლებისთვის კლასგარეშე პროგრამები შვილების უსაფრთხო გარემოსა და მათი დროის ნაყოფიერად გატარებას უზრუნველყოფს. საზოგადოებისთვის ახალგაზრდების კლასგარეშე პროგრამებით დაკავება დანაშაულის შემცირებასა და უსაფრთხო სამეზობლოს ნიშნავს, ხოლო ბიზნესისთვის – შრომისმოყვარე, ორგანიზებული და სპეციალური უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კადრების მომზადებას.





დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში საზოგადოების ყველა ზემოჩამოთვლილი სექტორი სოლიდურ ფინანსურ მხარდაჭერას უცხადებს სხვადასხვა კლასგარეშე პროგრამას. ბუნებრივია, იმისათვის, რომ პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა მოიპოვოს, ის ხარისხის გარკვეულ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. ქვემოთ განვიხილავთ, თუ როგორ უნდა შევქმნათ ეფექტური კლასგარეშე პროგრამები და მივიღოთ სამთავრობო თუ ბიზნეს-სექტორის, მშობლების, თემის მხარდაჭერა.

ეფექტური კლასგარეშე პროგრამების შექმნა

აკადემიური, სოციალური თუ პიროვნული განვითარებისკენ მიმართული კლასგარეშე პროგრამების შექმნისას რეკომენდებულია რამდენიმე საერთო სტანდარტის დაცვა. ქვემოთ მოცემული მახასიათებლების გათვალისწინება სხვადასხვა საჭიროებისა და გამოცდილების მქონე ბავშვების სტაბილური განვითარებისა და ზრდის წინაპირობას წარმოადგენს.

1. მიზნების დასახვა და ძლიერი მენეჯმენტი

კლასგარეშე პროგრამების მიზნები, საჭიროებათა კვლევის საფუძველზე, თემის ლიდერებისა და წევრების, მშობლებისა და მოსწავლეების

აზრების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. რეალისტური და რელევანტური მიზნების დასახვის შემდეგ სწორი და ძლიერი მენეჯმენტის საჭიროება ჩნდება, რათა ისინი წარმატებით შესრულდეს. კარგი კლასგარეშე პროგრამა უნარშეზღუდული ბავშვების ინტეგრირებასაც უზრუნველყოფს. გასათვალისწინებელია, რომ პროგრამების დაფინანსება, სტრუქტურა და აქტივობები, თანამშრომელთა რაოდენობა სწორედ მის მიზნებზეა დამოკიდებული.

2. კვალიფიციური თანამშრომლების დაქირავება

თანამშრომლების დაქირავება პროგრამის მასშტაბზე, მენეჯმენტის სტრუქტურასა და პროგრამის მიზნებზეა დამოკიდებული. გარდა იმისა, რომ კლასგარეშე პროგრამების განხორციელებით დაკავებული თანამშრომლები კვალიფიციური, გამოცდილი და მოტივირებული უნდა იყვნენ, მათ აუცილებლად უნდა შეეძლოთ სკოლის მასწავლებლებთან ნაყოფიერი კომუნიკაცია და კოორდინაცია. მათი სპეციფიკური უნარ-ჩვევები უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ასაკის, ეროვნებისა და კულტურის ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებისა და უნარშეზღუდულ ბავშვებთან მუშაობის უნარ-ჩვევებს. სასკოლო სასწავლო გეგმისა და შეფასების სისტემის ცოდნა მათ მოსწავლეების აკადემიური კუთხით დახმარების საშუალებას მისცემს. კლასგარეშე პროგრამებში ჩართული ბავშვების არაერთი გამოკითხვით დადასტურდა, რომ უფროსების მხრიდან მათ სითბო და მზრუნველობა სჭირდებათ, რაც კლასგარეშე პროგრამების თანამშრომლებმა უნდა გაითვალისწინონ.

3. უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო

სასურველია, კლასგარეშე პროგრამები ქალაქის ყველა რაიონში, სოფლად კი ყველა თემში ხორციელდებოდეს, რათა თითოეულ მოსწავლეს შეეძლოს საცხოვრებელ

ადგილთან ახლოს სასურველ პროგრამაში ჩართვა. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული აქტივობები მოსწავლის ასაკის შესაბამისი უნდა იყოს და ჯანსაღი ქცევის მოტივირებას უნდა ახდენდეს. საუკეთესო კლასგარეშე პროგრამები მოსწავლეებს სოციალიზაციის მრავალფეროვან ფორმებს სთავაზობს.

4. პარტნიორობა თემთან, ორგანიზაციებთან, სამართლებრივ ორგანოებთან, ახალგაზრდულ ჯგუფებთან

კლასგარეშე პროგრამების განხორციელება დამოკიდებულია მშობლების, განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანებისა და თემის წევრების მხარდაჭერაზე. წარმატებული პროგრამები მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებს ისეთი ორგანოებიდანაც, როგორცაა: სკოლის სამეთვალყურეო საბჭო, თემის საკრებულო, ადგილობრივი პოლიცია და ა.შ. ეფექტური პროგრამები ზემოჩამოთვლილ ერთეულებს, ახალგაზრდობასთან ერთად, აქტიურად აბამს პროგრამის დაგეგმვაში, რათა მთლიანად თემის საჭიროებების გათვალისწინება მოხდეს. წარმატებული პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია სკოლისა და თემის საჭიროებებისა და რესურსების შესწავლა-შეფასება, ლოჯისტიკური საკითხების დასმა, პროგრამის ერთობლივად დაგეგმვა და ა.შ.



5. ოჯახების ჩართულობა

ცალკე გამოვყოფთ ოჯახების როლს კლასგარეშე პროგრამებში, რადგან ისინი პირდაპირ კავშირში არიან და გავლენას ახდენენ ბავშვებზე. ეფექტური პროგრამები რეგულარულ სამუშაო შეხვედრებს, საორიენტაციო სესიებსა და მშობლების მრჩეველთა საბჭოს შეკრებებს ითვალისწინებს. გარდა ამისა, აუცილებელია დასაქმებული მშობლების საჭიროებების გათვალისწინება, მათთან რეგულარული ურთიერთობა წერილობითი ფორმით, საინფორმაციო ცენტრის ან ვებგვერდის გახსნა, საინფორმაციო ბროშურების შექმნა, სოციალური საღამოების მოწყობა.

6. სასწავლო შესაძლებლობების გამრავალფეროვნება

კლასგარეშე პროგრამებს ბავშვის აკადემიური მოსწრების, ემოციური და ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. ეფექტური პროგრამები მოსწავლეებს მათი ინტერესის სფეროში მუშაობის საშუალებას აძლევს, ცნობისმოყვარეობას უკმაყოფილებს, ეხმარება საყვარელი საქმიანობის შეძენასა და სხვადასხვა სტილით (ვიზუალური, აუდიო და კინესთეტიკური) სწავლაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლასგარეშე პროგრამების კურიკულუმი გარკვეული სირთულის შემცველი, თუმცა დაუძლეველი არ უნდა იყოს.

7. კავშირი სასკოლო პროგრამასთან

იმისათვის, რომ სასკოლო პროგრამასა და კლასგარეშე აქტივობებს შორის ნაყოფიერი კავშირი არსებობდეს, აუცილებელია კლასგარეშე პროგრამებში დასაქმებული მასწავლებლების მიერ სასწავლო პროგრამის ზედმიწევნით კარგად ცოდნა, მოსწავლეთა შეფასებების გაცვლა-გამოცვლა სხვა მასწავლებლებთან და ა.შ. ზოგიერთი კლასგარეშე პროგრამა წარმატებით ახორციელებს ინტერდისციპლინურ და თემატურ ჯგუფურ პროექტებს. მაგალითად, თუ მოსწავლეები მათემატიკაში გამრავლების ტაბულას სწავლობენ, აღნიშნული ცოდნის გამოყენება, კლასგარეშე პროგრამის ფარგლებში, „ჩეჩოტკას“ ტიპის ცეკვითაც კი შეიძლება; ან თუ საბუნებისმეტყველო საგნებში ღრუბლების ფორმირებას სწავლობენ, ხელოვნების კლასგარეშე პროგრამის ფარგლებში, მათ შეუძლიათ დახატონ წრიული, ფენა-ფენა ან აკუმულირებული ღრუბლები.

8. პროგრამის ეფექტურობის შეფასება

რადგან კლასგარეშე პროგრამები მრავალფეროვანი და კომპლექსურია, მათი შეფასების სტანდარტული ფორმის შემუშავება შეუძლებელია. ერთი რამ კი ცხადია: თითოეულმა კლასგარეშე პროგრამამ საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით უნდა გააუმჯობესოს ხარისხი.

ზოგადად, ეფექტური პროგრამები შეფასების კომპონენტსაც მოიცავს. მაგალითად, იმ პროგრამებმა, რომლებიც უსაფრთხო გარემოს შექმნას ისახავს მიზნად, უნდა შეაფასონ უსაფრთხოების, დანაშაულის, ნარკოტიკის გამოყენების ინდიკატორები. პროგრამები როგორც თვითშეფასებას, ისე გარე შეფასებას უნდა ახორციელებდეს და საკონტროლო


ჯგუფის დაკვირვებასა და შედეგების შედარებას უნდა ახდენდეს.

დამატებითი უაქტორები

კლასგარეშე პროგრამების შექმნისას, ზემოაღნიშნული კრიტერიუმებისა და სტანდარტების დაცვის შემთხვევაშიც კი, ხშირად თავს იჩენს ისეთი ბარიერები, რომელთა გათვალისწინება რთულია, თუმცა რეკომენდებულია პროგრამის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. ზოგჯერ კლასგარეშე პროგრამები სასურველ შედეგს ვერ აღწევს ადეკვატური რესურსების ნაკლებობის გამო. ზოგჯერ პროგრამა უშედეგოა, თუ მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა მაღალია, ან მასწავლებლები ხშირად იცვლებიან, ვთქვათ, დაბალი ხელფასის გამო.

კლასგარეშე პროგრამების ზოგიერთი კვლევა კიდევ ერთ პრობლემას წარმოაჩენს, რომლის წარმატებით გადაჭრა მხოლოდ მასწავლებლებისა და მშობლების ეფექტური კოორდინაციის მეშვეობითა და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებითაა შესაძლებელი. აღნიშნული კვლევების შედეგები გვჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის შემდეგ მოსწავლის სხვადასხვა აკადემიურ პროგრამაში ჩართვა, ზოგჯერ, მის ზედმეტად დატვირთვას იწვევს და შედეგად, სწავლის ხარისხს ამცირებს, ხოლო ემოციურ მდგომარეობას დაძაბულობას მატებს. ბავშვებს თავისუფალი დრო აღარ რჩებათ და ისინი სტრესულ მდგომარეობაში ვარდებიან. მსგავსი შემთხვევების იდენტიფიცირებას მშობლებისა და მასწავლებლების დაკვირვებითი თვალი და ბავშვთან აქტიური კომუნიკაცია სჭირდება. აუცილებელია, მშობელმა და მასწავლებელმა ერთობლივად განიხილონ მოსწავლის შესაძლებლობები და მიდრეკილებები, რათა სათანადო დატვირთვის გრაფიკი და აქტივობები შეარჩიონ.





გუგულისათვის გუგულის ინოვაციური ფორმატი

ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა, სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, კითხვაზე თუ ვინ არის პასუხისმგებელი ახალგაზრდა თაობის აღზრდაზე, პასუხობს – ოჯახი და სკოლა. დიდი წილი ამ პასუხისმგებლობისა, რა თქმა უნდა, ოჯახზეა, თუმცა, უმნიშვნელოვანესი როლი ბავშვის აღზრდისა და პიროვნებად ჩამოყალიბების საკითხში სკოლას აკისრია. არადა, სკოლასა და ოჯახს შორის ურთიერთობა ფორმალურ ხასიათს არ ცდებდა და უმრავლეს შემთხვევაში ღრმა კრიზისშია შესული.

შეუძლებელია აღზრდის პრობლემების ოჯახში და აღზრდის პრობლემების სკოლაში ცალ-ცალკე განხილვა და გადაწყვეტა, რადგან ორივე შემთხვევაში ერთ პიროვნებასთან გვაქვს საქმე და პრობლემის გამომწვევი მიზეზიც ერთია.

თანამედროვე სკოლას, რომელსაც უამრავი გამოწვევა აქვს, როგორც განათლების პოლიტიკის, ორგანიზაციული თუ პროფესიული განვითარების კუთხით, აუცილებელია ქონდეს სოციალურ პროექტები და აქტიურად მუშაობდეს მასზე, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი ადგილი, მოსწავლესთან ერთად, მშობელთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას უნდა ეკავოს. მშობლის გარეშე, ამ შემთხვევაში, პარტნიორის გარეშე, რომელიც დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს, ვერ მიიღწევა სათანადო შედეგი, რადგან მისი ინტერესების გათვალისწინების გარეშე, წარმოუდგენელია ჩვენი ინტერესების რეალიზაცია და სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა.

აღზრდის საკითხებში თანამედროვე სკოლასა და ოჯახს შორის ბევრი საპირისპირო შეხედულებები არსებობს; მასწავლებლები უკმაყოფი-

ლოები არიან ოჯახის პედაგოგიური კულტურის დაბალი ხარისხითა და უყურადღებობით ბავშვის აღზრდისა და განათლების მიმართ. თავის მხრივ, მშობლები, მასწავლებელთა პროფესიონალიზმს უჩივიან, ხშირად კი გადამეტებულ აღზრდელობით იდეალიზმს, რაც მათი აზრით, რეალურ ცხოვრებასა და ყოფას უპირისპირდება. ასეთი ტიპის დამოკიდებულებებს, იქამდე მივყავართ, როცა მშობელი და სკოლა პარტნიორები კი არა ოპონენტები და კონკურენტები არიან, ეს კი ძალიან ცუდ ზეგავლენას ახდენს მოსწავლის აღზრდის პროცესზე.

სოციალური აღზრდის აუსილუბლობა სასკოლო პროცესში

სკოლაში ბავშვის აღზრდა და მოქალაქედ ჩამოყალიბება სამ ძირითად პროცესში ხდება:

1. საგაკვეთილო პროცესის დროს – გაკვეთილზე, წრეებზე, სექციებზე და ა.შ.
2. სკოლის საზოგადოებრივი ცხოვრების დროს – სკოლის თვითმართველობასა და



ბანია ახალაია



თანამედროვე სკოლას, რომელსაც უამრავი გამოწვევა აქვს, როგორც განათლების პოლიტიკის, ორგანიზაციული თუ პროფესიული განვითარების კუთხით, აუცილებელია ქონდეს სოციალურ პროექტები და აქტიურად მუშაობდეს მასზე, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი ადგილი, მოსწავლესთან ერთად, მშობელთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას უნდა ეკავოს.



სამეურვეო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის დროს, სკოლის კლუბებში განვეერიანების დროს და ა.შ.

3. არასასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში – ოლიმპიადებში, კონკურსებში, გაცვლით პროგრამებში, საქველმოქმედო აქციებში და ა.შ. ასეთ ვითარებებსა და სიტუაციებში მოსწავლე ყველაზე მეტად აღიქვამს საკუთარ თავს საზოგადოების ნაწილად.

ჩვენს შემთხვევაში, უპირატესობას ყოველთვის საგაკვეთილო პროცესს ანიჭებენ და თან ყურადღება მხოლოდ საგანმანათლებლო ასპექტებზე მახვილდება.

საგაკვეთილო დომინირების დაძლევის სკოლაში და აღმზრდელობითი პროცესის სოციალური ასპექტი დაბალანსებას, უპირველესად სკოლაში პოზიტიური სამოქალაქო მაგალითების განმეორება უწყობს ხელს, რაშიც დემოკრატიული

ინსტიტუტების ანალოგიების არსებობა იგულისხმება. სამწუხაროდ, მასწავლებლები ასეთ პროექტებს უნდობლობით ეკიდებიან და დროის ფუჭ ხარჯვად აღიქვამენ.

ფაქტია, თუ სკოლა პრობლემების მოგვარებას სოციალური აღზრდის პრინციპებით გადანყვეტს, ის ყოველთვის მოქმედის აღზრდისა და განათლების ნამდვილ ამოცანებს, აუცილებელ რესურსებსა და პარტნიორებს. ხოლო, ასეთი ფორმის ურთიერთობებსა თუ დამოკიდებულებებში, რა თქმა უნდა, ყველაზე ახლო პარტნიორი ყოველთვის ოჯახი იქნება.

თანამშრომლობა


ჩვენი დაკვირვებით, მშობლებს აღმზრდელობით სფეროში სკოლასთან თანამშრომლობა რამოდენიმე ასპექტით აინტერესებთ:

- შეიძინონ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ცოდნა და უნარები („ცოცხალი“ და არა წიგნებით ან სახელმძღვანელოებით);
- გააუმჯობესონ ურთიერთობა შვილთან;
- გაამყარონ საკუთარი ავტორიტეტი.

ნაცოფიერი და წარმატებული თანამშრომლობისთვის კი აუცილებელია:

- საინტერესო და კომფორტული გარემოს შექმნა, დიალოგისა და დისკუსიისთვის;
- თანამშრომლობის ძირითად საკითხებსა და ინტერესებზე შეთანხმება;
- იურიდიული და ნორმატიული ბაზის შექმნა საგანმანათლებლო ორგანიზაციის დონეზე (ეთიკის კოდექსებსა და შინაგანანესზე დაყრდნობით);
- სოციალური თანამშრომლობის მმართველობითი სისტემის ფორმირება;





პარტნიორული პროექტებისა და პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება.

ურთიერთობების ახალი ფორმები

განვიხილავთ მშობლებთან მუშაობისა და ურთიერთობის ერთ მაგალითს, რომელიც არ არის ადაპტირებული ჩვენს სკოლებში:

პედაგოგიური განათლების კურსები მშობლებისთვის

ასეთი ფორმის თანამშრომლობა ემსახურება მშობელთა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ განათლებას. კურსების ორგანიზება სკოლის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს და მასში უნდა ჩართოს წარმატებული, გამოცდილი და აქტიური მასწავლებლები. კურსების მეშვეობით მშობლები აუცილებელი აღმზრდელობითი უნარ-ჩვევებით აღიჭურვებიან, მიეცემათ ინფორმაცია ასაკობრივ და სხვა ფიზიოლოგიური პრობლემების, ასევე, ელემენტარული პედაგოგიური მიდგომების, მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ.

მოსწავლეთა ასაკის მიხედვით კურსების პროგრამას შეიმუშავებენ პედაგოგები, სასურველია, თუ დაგეგმვაში გამოცდილ ექსპერტებსაც დავიხმართ. კურსის ფარგლებში შესაძლებელია სხვადასხვა სახის ფორმატის გამოყენება, როგორცაა: ლექცია, საუბრები, კონფერენცია, პრაქტიკული სამუშაო და დისკუსია.

ლექცია

მასწავლებელი /აღმზრდელი / დამრიგებელი მშობლებთან შეხვედრისას ანალიზებს და განიხილავს ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ პრობლემებსა და საკითხებს,

მიზეზებს სხვადასხვა გამოვლინებებისა, პრობლემების მოგვარებისა და პრევენციის ხერხებს, ოჯახური აღზრდის შესაძლებლობებსა და წესებს.

ლექციის მოსამზადებლად გასათვალისწინებელია მისი სტრუქტურა, მიზანი და დანიშნულება. უნდა შედგეს გეგმა, სადაც ჩამოვაყალიბებთ იდეებს, ფაქტებს და სტატისტიკას. ლექციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა აქცენტი გაკეთდეს ოჯახურ აღზრდაზე. ლექციის წარმართვის მეთოდი დიალოგია, ხოლო თემატიკა უნდა იყოს მრავალფეროვანი და მშობლებისთვის აქტუალური, მაგალითად:

„ასაკობრივი თავისებურებანი“;

„რა არის თვითშეფასება და თვითაღზრდა“;

„ინდივიდუალური მიდგომები და მეთოდები ოჯახურ აღზრდაში“;

„ფიზიოლოგიური მომნიშვნის ასაკი“ და ა.შ.

დისკუსია

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფორმა პედაგოგიური კულტურის ასამაღლებლად. დისკუსიას ის განმასხვავებელი ნიშანი აქვს, მრავალი სხვა სამუშაოსგან განსხვავებით, რომ იძლევა საშუალებას, პრობლემის განხილვაში ყველა მხარე ერთნაირად იყოს ჩართული. ხდება იდეათა გენერირება და ყველა აქტიურად მონაწილეობს ფაქტებისა და ინფორმაციის ანალიზში.

დისკუსიის წარმატება დიდ წილად დამოკიდებულია მის მომზადებასა და სწორ დაგეგმვაზე. დაახლოებით ერთი თვის წინ მონაწილეებმა უკვე

უნდა იცოდნენ დისკუსიის თემა და საჭირო ლიტერატურის დასახელება, რომლებიც დისკუსიაში მონაწილეობის დროს დაეხმარებათ.

დისკუსიის დროს ყველაზე საპასუხისმგებლო ნაწილია დავის სწორად წარმართვა, ამ ტიპის სამუშაოს დროს, ბევრ რამეს განაპირობებს წამყვანი (ფასილიტატორი). ფასილიტატორი შეიძლება იყოს პედაგოგიც, მშობელიც ან მონვეული ექსპერტი.

აუცილებელია, რომ რეგლამენტი წინასწარ იყოს დათქმული და გათვლილი. ყურადღებით უნდა მოვუსმინოთ ყველა მონაწილეს, შევთავაზოთ და დავუსაბუთოთ საკუთარი პოზიცია. ბოლოს დისკუსია უნდა შეჯამდეს და გაკეთდეს ანალიზი. ასეთი შეხვედრის მთავარი პრინციპია – მოვუსმინოთ და პატივი ვცეთ ყველა მონაწილის შეხედულებებსა და აზრს.

დისკუსიის თემა შეიძლება იყოს ოჯახური და სასკოლო აღზრდის ყველა სადავო საკითხი, მაგალითად:


„ვის მეტი პასუხისმგებლობა აკისრია- ოჯახს თუ სკოლას?“;

„მოსწავლის მშობლისა და სკოლის განსხვავებული შეფასება“;

„სწავლის ხელისშემშლელი მიზეზები“. და ა.შ.

კონფერენცია

პედაგოგიური განათლების ფორმა, რომლის დროსაც განვიხილავთ, ვაჯამებთ და ვიღრმავებთ ცოდნას ბავშვის აღზრდის შესახებ. კონფერენცია შეიძლება იყოს სამეცნიერო ან პრაქტიკული ხასიათის, ასეთი ტიპის ღონისძიება ტარდება წელიწადში ერთხელ, რადგან მას



რთული მოსამზადებელი სამუშაოები უძღვის წინ და მშობლების აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს, ხოლო მშობლებს ხშირად აქვთ დროის დეფიციტი.

ძალიან ნარმატებული და ნაყოფიერია, თუ სკოლა კონფერენციის პარალელურად ორგანიზებას გაუწევს სხვა ტიპის ღონისძიებებსაც (გამოფენებს, წარმოდგენებს, საზოგადოებრივ და სოციალურ აქციებს და ა.შ.), რაც კვირეულის ფორმატივით შეიძლება განხორციელდეს. მომხსენებლები შეიძლება იყვნენ მშობლები, მოსწავლეები, მასწავლებლები და მონვეული ექსპერტები.

კონფერენციის თემატიკა უნდა იყოს კონკრეტული და მიმართული ამა თუ იმ აქტიური პრობლემის განსახილველად, ყურადღების გასამახვილებლად ან გადასაჭრელად, მაგალითად:

„თამაში ბავშვის ცხოვრებაში“;

„მორალური აღზრდის ასპექტები“;

„ეკოლოგია და ბავშვის გარემო“;

„ბავშვთა ჯანმრთელობის პრობლემები“;

„ტექნოლოგიები ბავშვის ცხოვრებაში“ და ა.შ.

ასევე, საინტერესო იქნება, კონფერენციის ჩატარების წინ მშობელთა გამოკითხვა ჩავატაროთ და გავიგოთ ის საკითხები, რომელთა განხილვის შემთხვევაში მშობლები ინტერესით ჩაებმებიან ასეთი ტიპის ღონისძიებაში.


პრაქტიკული სამუშაო

ასეთი ფორმის სამუშაო ხელს უწყობს მშობლების პედაგოგიური

უნარ-ჩვევების გამომუშავებას, და რთული სიტუაციების დროს სწორი პედაგოგიური გადაწყვეტილების მიღებას, და მოქმედებას. პედაგოგიურ-პრაქტიკული სამუშაოს ფარგლებში, მასწავლებელი ურჩევს მშობელს რთული სიტუაციებიდან ან აღზრდის დროს წარმოქმნილი პრობლემების დროს გამოსავლის გზებსა და გადაწყვეტის ხერხებს, რამაც უნდა განავითაროს და დადებითი ზემოქმედება მოახდინოს მშობელსა და ბავშვს შორის, სკოლასა და ბავშვსა თუ მშობელსა და სკოლას შორის ურთიერთობებს.

პრაქტიკული სამუშაოს ფარგლებში შესაძლებელია, მშობელი დავისწრით გაკვეთილებზე, ჩავატაროთ მასთან ინდივიდუალური შეხვედრები ან ვენციოთ შინ.





ტოლერანტობა საგანმანათლებლო პროგრამებში

ახლახანს პრეზიდენტთან არსებულმა სპეციალურმა საბჭომ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია მოამზადა, რომელშიც ტოლერანტობის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო. ტოლერანტობის თემა აქტიური განხილვის საგნად იქცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროშიც. როგორ ვისწავლოთ მულტიკულტურულ გარემოში ცხოვრება და როგორ ავამაღლოთ ტოლერანტობა ისტორიის სწავლების გზით? შესაძლებელია თუ არა, რომ მასწავლებლები იმ სიძნელეებს გაუმკლავდნენ, რომლებიც ისტორიის სწავლების დროს წარმოიქმნება და საერთოდ, როგორ უნდა ინერებოდეს თანამედროვე ისტორია ისეთ მულტირელიგიურ გარემოში, როგორც საქართველოშია?

ამ საკითხებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში ჩატარებული მორიგი შეხვედრა მიეძღვნა, რომელსაც ჟურნალი „მასწავლებელი“ მასპინძლობდა. მასში მონაწილეობდნენ როგორც უცხოელი სპეციალისტები, ისე სამთავრობო და არასამთავრობო (ისტორიის მასწავლებელთა ასოციაცია საქართველოში) სექტორის წარმომადგენლები.

ირაკლი კაკაბაძე: ევროსაბჭოს კვლევების მიხედვით, ბევრ სახელმწიფოში და მათ შორის, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მრავალი პრობლემაა დაგროვილი საგანმანათლებლო პროგრამებსა და სისტემებში ტოლერანტობის კუთხით. სამხრეთ კავკასიაში, ძირითადად, ყველა ეს პრობლემა ისტორიის სწავლებაში იჩენს თავს. ამიტომაც, დღევანდელი შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობა ისტორიკოსია. საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში და რა პროექტები ან პროგრამები ხორციელდება.

ისტორიის სწავლების გზით“ ფინალურ ფაზაში გახლავთ. მისი საბოლოო სახელწოდება იქნება „როგორ ვიცხოვრეთ ერთად საქართველოში XX საუკუნის განმავლობაში“. ასეთი სახის პროექტი საქართველოში პირველად, ჩვენი ასოციაციის მიერ ხორციელდება და ისტორიის სწავლებაში ტოლერანტობის თემის წამოწვევას გულისხმობს.

პროექტის მსვლელობისას ჩამოვყალიბეთ ოთხი სამოქმედო ჯგუფი: „ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება“, „რელიგია“, „მიგრაცია“ და „მულტიეთნიკური საქართველო“. შევუთანხმდით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ვიფიქრეთ იმაზე, თუ რისი დამატება დაგვჭირდებოდა, რათა უფრო მრავალფეროვანი

ნანა ციხისთავი: ჩვენი პროექტი „ტოლერანტობის მშენებლობა

ირმა კახურაშვილი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

თეა კვინიტრაქაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

თეონა კუპატაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

ნანა ციხისთავი

ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი

ელენე მიქაბერიავილი

პროექტის „ტოლერანტობის მშენებლობა ისტორიის სწავლების გზით“ კოორდინატორი

მანანა შეყილაძე

ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

პარინე მანუკიანი

104-ე საჯარო სკოლის დირექტორი

ამირან ჯამაზიძე

1 საჯარო სკოლის დირექტორი

მაკო ჭილაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეთნიკური უმცირესობების კოორდინატორი

პატრიკ პარკერი

ისტორიის მასწავლებელთა ევროპული ასოციაციის „ევროკოლის“ წარმომადგენელი

შეხვედრას უძღვებოდა ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქტორი ირაკლი კაკაბაძე



ნანა ცინისთავი

წარმოდგენა გვექონოდა XX საუკუნის საქართველოზე.

პროექტის მიზანია ჩვენ მიერ მოპოვებული და დამუშავებული მასალის არა მხოლოდ ქართულენოვან, არამედ ქვეყნის სხვადასხვაენოვან სკოლებში წარდგენა. გაზაფხულზე გვექნება ჩვენი პროექტის პროდუქტი – წიგნი, რომელიც ქართულიდან რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ვიმედოვნებთ, ინგლისურ ენებზე ითარგმნება. ზოგადად, ეს პროექტი ხელს უწყობს კულტურათა შორის დიალოგს ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტერესის გათვალისწინებით.

ელენე მექმარიაშვილი: პროექტის განხორციელებაში ჩავრთეთ საქართველოში დასახლებული ყველა ეთნიკური ჯგუფის ისტორიის პედაგოგი. სწორედ ისინი იყვნენ ე.წ. სამუშაო ფურცლების ავტორები. ეს გახლავთ დამატებითი მასალა არსებულ ისტორიის სახელმძღვანელოებთან ერთად.

მანანა შეყილაძე: პროექტში ჩართული მასწავლებლები რეგიონებში გასვლების დროს ავლმოვაჩინეთ. მაგალითად, კახეთში ფილიალის დაარსებისას გავიცანით დუისელი ისტორიის მასწავლებელი ლამარა მარგოშვი-

ლი, ყვარლის რაიონიდან – უდი მასწავლებელი ნანა აგასაშვილი, რომელმაც დაგვინერა გაკვეთილი უდიების თვითმყოფადობასა და ყოფაზე საქართველოში. ეს გახლავთ სრულიად უნიკალური გაკვეთილი, რომელსაც არაჩვეულებრივი გამოხმაურება მოჰყვა სხვა რეგიონებში. პროექტზე აქტიურად ვიმუშავებთ ორი წელი. სამ თვეში ერთხელ გვექონდა შეხვედრები, ტრენინგები, გაკვეთილებს გვიტარებდნენ ცნობილი უცხოელი მეთოდისტები. ამ ხნის განმავლობაში შევექმენით 28 საგანმანათლებლო მასალა, სექტემბრიდან კი სკოლაში მისი პილოტირება დავიწყეთ. სწორედ აქ გამოჩნდა ჩვენი მასწავლებლების სახელმწიფოებრივი ხედვა, პასუხისმგებლობა. ისინი უშურველად და თავგანწირვით აკეთებენ ამ საქმეს.

ირაკლი კაკაბაძე: ეთნიკური უმცირესობებისთვის განკუთვნილი პროგრამა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრსაც აქვს. საუბარია სახელმწიფო ენის სწავლებასთან დაკავშირებულ პროექტზე, რომელიც პრეზიდენტის მიერაა ინიცირებული.




მანანა შეყილაძე

მაკო ჭილაშვილი: ეს არის სახელმწიფო პროგრამა „კვალიფიციური მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“, რომელშიც ჩართულია ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონის ყველაზე დიდი სკოლები. პროგრამის დაწყებამდე ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ არაქართული სკოლების ქართულის მასწავლებელთა დაახლოებით 30% ქართულ ენას ელემენტარულ დონეზეც ვერ ფლობდა. პრეზიდენტის ინიციატივით, შარშან და წელს გამართული კონკურსების შედეგად, რეგიონში გასამგზავრებლად შეირჩა 69 მასწავლებელი, რომლებსაც სტიპენდია დაენიშნათ.


სკოლაში გაკვეთილების ჩატარებისა და ღონისძიებების ორგანიზების გარდა, ისინი ადგილობრივ მასწავლებლებსაც უტარებენ ტრენინგებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ პროცესში თემის ჩართულობა, რაც ამ ეტაპზე ძალიან დაბალია. უნდა აღინიშნოს, რომ შარშან ამ სკოლებში ქართული ენის სწავლებას მხოლოდ 3 საათი ეთმობოდა, ახლა კი 5 საათი ეთმობა.

თეა კვინტრაძე: დავამატებ, რომ არსებობს ჟურნალ „მასწავლებლის“ რუსულ ენაზე თარგმნის მოთხოვნა მასწავლებელთა მხრიდან. ის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ელექტრონული ვერსიის სახით არსებობს და მხოლოდ ინტერნეტშია ხელმისაწვდომი. ვმუშაობთ იმ მიმართულებითაც, რომ მასწავლებლებისთვის განკუთვნილი, ჩვენ მიერ გამოცემული სხვადასხვა საგანმანათლებლო ლიტერატურის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმნა გაგრძელდეს. არსებობს მსოფლიო ბანკის ვაუჩერული დაფინანსების პროგრამა „წიგნიერება და ქართული, როგორც მეორე ენა“. „ქართულის, როგორც მეორე ენის“



კომპონენტს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი ხელმძღვანელობს.

ბოლო დროს ჩვენი ცენტრის მიერ შემუშავდა მასწავლებლის, დირექტორისა და მოსწავლის ეთიკის კოდექსები, რომლებიც ამ ენებზე გადაითარგმნება. მათში ტოლერანტობის თემას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, ოღონდ ირიბად – არა როგორც ეთნიკურ და რელიგიურ დისკრიმინაციასთან კავშირში, არამედ როგორც მოსწავლეებს, მასწავლებელსა და მოსწავლეებს, დირექტორსა და მოსწავლე-მასწავლებელს შორის ურთიერთობებში.



პატრიკ ბარკაპი

ირაკლი კაკაბაძე: საგანმანათლებლო სივრცესა და სწავლებაში, ტოლერანტობის კუთხით, როგორ უნდა წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა?

ელენე მექმარიაშვილი: აქამდე საქართველოს ისტორიის სწავლება ეთნოცენტრისტული ხასიათის გახლდათ. ეს იყო ქართველების ისტორია, რომელშიც სხვა ხალხების მონაწილეობა ნაკლებად ჩანდა, თუმცა კი ვამაყობდით, რომ მრავალკულტურულ ქვეყანას წარმოვადგენთ. სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი ეთნიკური ჯგუფების როლის გამოჩენა ისტორიაში.



თაა კვინტრაძე

კარინე მანუკიანი: ბედნიერი ვარ იმით, რომ ტოლერანტობის კუთხით ჩვენს სკოლას ნაკლები პრობლემა აქვს. ბავშვებს ქართულად მეტყველება არ უჭირთ. მესამე წელია, ვმეგობრობთ თბილისის 24-ე ქართულენოვან საჯარო სკოლასთან და ახლახანს ერთობლივი ღონისძიებაც გვქონდა აკაკი წერეთლის 170-ე წლისთავთან დაკავშირებით.

მაკო ჭილაშვილი: საერთოდ, დედაქალაქში განსხვავებული სიტუაციაა, ვიდრე რეგიონებში. წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საზაფხულო სკოლების პროექტი მოამზადა, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა. ამ პროექტში აზერბაიჯანელი და სომეხი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ. ბავშვებმა ერთი თვე ერთად იცხოვრეს, ახლოს გაიცნეს ერთმანეთის ტრადიციები და კულტურა.


ამირან ჯამაგიაძე: დაგეთანხმებით, რომ რაიონებში განსხვავებული მდგომარეობაა. პროექტის „ტოლერანტობის მშენებლობა ისტორიის სწავლების გზით“ ფარგლებში სხვადასხვა ადგილას ვიმუშავე. სახელმწიფო ენის ცოდნის მხრივ კარგი სურათი არ არის. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირება სწორედ ქართული ენის ცოდნაზე დამოკიდებული. ქართული ენის

ცოდნა ის ძირითადი ხიდია, რითიც ისინი ქვეყნის მშენებლობაში მიიღებენ მონაწილეობას. რაც შეეხება ტოლერანტობას, ამ მხრივ პრობლემები ბევრ წარმატებულ ქვეყანას აქვს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთს.

ამ წლის დასაწყისში შედეგიანი შეხვედრა შედგა ახალქალაქის პირველი სკოლისა და მე-60 სკოლის მეთორმეტეკლასელებს შორის. მათ ერთად განიხილეს, თუ რა უშლიდათ ხელს ურთიერთობაში, რა უნდა გაეკეთებინათ მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის.

ახალგაზრდებმა დასკვნები გამოიტანეს – საჭიროა ერთ ენაზე საუბარი, საერთო ღირებულებებისა და პრიორიტეტების ქონა – სახელმწიფო აზროვნება. გაზაფხულზე ისინი ერთმანეთს კვლავ შეხვდებიან. ასეთი ღონისძიებები ყველაზე კარგი შედეგის მომტანია.

ელენე მექმარიაშვილი: ისტორიის სწავლება სათუთი საკითხია. უპირველესად ერთმანეთის ღირებულებები, ტრადიციები უნდა ვიცოდეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ტოლერანტული საზოგადოების აშენება. განსხვავებული ღირებულებები არ უნდა გახდეს დაპირისპირების მიზეზი.



ამირან ჯამაგიაძე

ირაკლი კაკაბაძე: როგორია მასწავლებლის როლი სწავლების დროს? რომელ ელემენტარულ კომპეტენციებს უნდა ფლობდეს ის იმისათვის, რომ იყოს ამ ღირებულებების არა მხოლოდ მქადაგებელი, არამედ მატარებელიც?

თეონა კუპატაძე: მასწავლებელი პიროვნების ჩამოყალიბებაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს. ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

როგორც რელიგიის, ასევე ეთნიკური წარმოშობის მიმართ.

თეა კვინტრაძე: ჩვენმა ცენტრმა თარგმნა და უფასოდ დაურიგა სკოლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო „ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში“. გამოცემა ევროსაბჭოს მიერ იყო მომზადებული ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის. მასში როგორც მეთოდური საშუალებები, ისე სიტუაციური ამოცანებია მოცემული. მსგავსი ტიპის ლიტერატურაზე მასწავლე-

რომ ისევე, როგორც საქართველომ შეიძლება ისწავლოს ბრიტანეთისგან, ასევე ბრიტანეთმაც შეიძლება გაიზიაროს საქართველოს გამოცდილება. გაზიარებისას კი საინტერესო იდეები ჩნდება.

ვეთანხმები ყველას, რომ ენის არცოდნის პრობლემა ბევრ გაუგებრობას იწვევს. თუმცა ტოლერანტობა იწყება იმით, რომ უნდა ვალიაროთ და მივიღოთ სხვა, იმის მიუხედავად, ჩვენს ენას ფლობს თუ არა, ჩვენთვის მისაღები ღირებულებები აქვს თუ




მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ტრენინგზე. როდესაც მასწავლებლების გადამზადებაზე ვმუშაობთ, ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ მათზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოქალაქეებად ჩამოყალიბდებიან მათი აღსაზრდელები. მასწავლებლის მოვალეობაა, შეაყვაროს მოსწავლეს საკუთარი სახელმწიფო, ჩამოუყალიბოს ტოლერანტული დამოკიდებულება

ბელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახლაც მუშაობს.

პატრიკ ბარკერი: ისტორიის კუთხით მრავალი პროექტი ხორციელდება და ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, ყველა კითხვას გავცეთ პასუხი. აქ უკვე აღინიშნა, რომ ტოლერანტობის პრობლემა იმ ქვეყანაშიც არის, საიდანაც მე ვარ წარმოშობით – დიდ ბრიტანეთში. უნდა გვახსოვდეს,

არა. მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ ეთნიკურმა უმცირესობებმა იცოდნენ საქართველოს ისტორია და მისი ტრადიციები, არამედ ქართველებმაც შეისწავლონ ეთნიკური უმცირესობების კულტურა.





პროფესიონალი მასწავლებელი განათლების სიძლიერა

ნიგნიერებისა და ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს, მიმდინარე წლის 22-30 სექტემბერს კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ალან კროუფორდმა სპეციალური ტრენინგი ჩაატარა. მრავალი წელია, ალან კროუფორდი მულტილინგვური სწავლებისა და მოსწავლეების ნიგნიერების საკითხებზე მუშაობს. ის არაერთი პუბლიკაციის ავტორია. ნიგნიერებისა და მეორე ენის სწავლების პროექტებს ალან კროუფორდი კოორდინაციას უწევდა ბალტიისპირეთში, ცენტრალურ აზიაში, ბალკანეთში, აღმოსავლეთ ევროპასა და ლათინურ ამერიკაში.

ბატონო ალან, როგორ შეაფასებდით ნიგნიერებისა და ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის მნიშვნელობას? როგორია ნიგნიერებისა და მეორე ენის სწავლების დონე საქართველოში, იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც ამ მიმართულებით გიმუშავიათ?

– ეს ჩემი მესამე ვიზიტია საქართველოში და სიხარულით აღვნიშნავ, რომ ყოველი წინამორბედი ვიზიტის შემდეგ ვამჩნევ: ქართველი მასწავლებლები უფრო და უფრო მოტივირებულნი არიან. მათ სურთ, გაეცნონ ახალ მიდგომებსა და სტრატეგიებს, ისწავლონ და გაიგონ, რისი გაკეთება შეიძლება ამ მიმართულებით. საქართველოს განათლების სისტემის ყველაზე დიდი სიძლიერე სწორედ ასეთი მონდომებული მასწავლებლებია. საქართველოში, ისევე როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, არაერთი ეთნოსის წარმომადგენელი ცხოვრობს. თუმცა, საქართველოსაგან განსხვავებით, ბევრი ქვეყანა სათანადო ყურადღებას არ უთმობს

უმცირესობათა განათლების საკითხებს. იქ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამები არსებობს, მაგრამ მოსწავლეები ხშირად მშობლიურ ენას არ სწავლობენ. შესაბამისად, მათ დანყებით საფეხურზევე უჭირთ სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევა, რადგან იმ სახელმწიფო ენას არ ფლობენ, რომელზეც სკოლაში სწავლება ხორციელდება. საქართველო, ამ მხრივ, ბევრ ქვეყანაზე წინ არის, რადგან აქ აზერბაიჯანელი და სომეხი მოსწავლეები დანყებითი კლასებიდანვე მშობლიურ ენაზე სწავლობენ წერასა და კითხვას, მშობლიურ ენაზე ეუფლებიან სხვა საგნებს, ამასთანავე, სწავლობენ ქართულს, როგორც მეორე ენას. იმისათვის, რომ მეორე ენის სწავლება სკოლებში უფრო ეფექტური გახდეს, აუცილებელია, მასწავლებლებმა გამოიყენონ არა მხოლოდ ტრადიციული, გრამატიკის სწავლებაზე ორიენტირებული მეთოდი, არამედ ენის სწავლების კომუნიკაციური მიდგომა. კომუნიკაციური მიდგომის მთავარი მიზანი და საშუალება მასწავლებლისა და მოსწავლის აქტიური ინტერაქციაა. 2007-2008 წლებიდან ქართველი მასწავლებლები მეტ

ნინო რევიშვილი
პაატა პაპავა



უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რა სჭირდებათ მათ მოსწავლეებს, რა სასწავლო მასალისა და სტრატეგიების გამოყენებით შეიძლება ნიგნიერებისა თუ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების უფრო ეფექტურად განხორციელება. “



ინტერეს იჩენენ მეორე ენის სწავლების კომუნიკაციური მიდგომის მიმართ და შესაბამის მეთოდებსა და სტრატეგიებს აქტიურად იყენებენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასწავლებლები ინოვაციური მეთოდების ინტეგრირებას ახერხებენ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისას.

რაც შეეხება კითხვის სწავლებას, როგორც ჩანს, პედაგოგები ყურადღებას უმთავრესად ასო-ბგერების დეკოდირების სწავლებას უთმობენ. ქართულ ენაში, მოსწავლეების საბედნიეროდ, თითოეულ ბგერას შესაბამისი გრაფიკული გამოსახულება შეესაბამება, რითიც ის, მაგალითად, ინგლისური ენისგან განსხვავდება. მიუხედავად ამისა, ანბანის სწავლების გარდა, აუცილებელია, არსებობდეს ერთიანი ხედვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს გააზრებული კითხვის სწავლება. ჩვენი ტრენინგის დროსაც, ტრენერებისა და მასწავლებლების უმრავლესობა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სწორედ გააზრებული კითხვის ინოვაციური მეთოდებისა და სტრატეგიების სწავლების მიმართ, რაც თავისთავად ძალიან დადებითი მოვლენაა.

რა სახის ცვლილებები უნდა განხორციელდეს სკოლებში, რათა ქართულის, როგორც მეორე ენისა და გააზრებული კითხვის სწავლება უფრო ეფექტური გახდეს?

– ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის მზადყოფნაა. განათლების სისტემა უნდა მიესაღებოდეს ახალი და უფრო ეფექტური მეთოდების დანერგვას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებლებმა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნები უგულვებელყონ. თუ ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო გეგმა მოითხოვს, რომ მოსწავლემ გრამატიკა იცოდეს, ცხადია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ის აუცილებლად უნდა შეასწავლოს. თუმცა ენის ცოდნა მხოლოდ გრამატიკით არ განისაზღვრება. შეიძლება მოსწავლემ გრამატიკის წესები ისწავლოს, მაგრამ ვერ გაიგოს, რას ეუბნება მასწავლებელი და საკუთარი სათქმელი თავისუფლად ვერ გამოხატოს. მარტივი მაგალითი განვიხილოთ: ყველაზე ადვილად მშობლიურ ენას პატარები სწავლობენ. მათ გრამატიკულ კატეგორიებს არაფერს ახსნავს, არც მათი მშობლები არიან ენის სწავლების სპეციალისტები. მიუხედავად ამისა, ბავშვები მშობლიურ ენაზე საუბარს მარტივად იწყებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ უფროსები მათ მუდმივად ესაუბრებიან.

რაც შეეხება წიგნიერების სწავლებას, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, მასწავლებლებმა მოსწავლეებს მრავალფეროვანი და საინტერესო საკითხავი მასალა მიანოდონ. ეს უნდა იყოს როგორც მხატვრული ნაწარმოებები (მოთხრობები, ქართული და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ზღაპრები), ასევე ინფორმაციული ტექსტები ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოებიდან, სადაც ტექსტუალური მასალა უფრო მცირეა, ვიდრე მხატვრულ ლიტერა-

ტურაში, მაგრამ მისი გაგება უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს. ის ქვეყნები, რომლებიც საერთაშორისო შეფასებებში უმაღლეს შედეგებს იღებენ, სწორედ ამ გზით ასწავლიან კითხვას დაწყებით კლასებში: მათ საკლასო ოთახებში ბავშვებს საშუალება აქვთ, მრავალფეროვანი და საინტერესო ტექსტები წაიკითხონ და ერთად განიხილონ.

აუცილებელია, მასწავლებელმა ისიც გაითვალისწინოს, რომ გააზრებული კითხვის სწავლება ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც სწორად დაგეგმვა და განხორციელება სჭირდება. დაწყებით კლასებში შეძენილი უნარები მხოლოდ ბაზისია, რის საფუძველზეც მოსწავლეს კრიტიკული აზროვნების უნარი უყალიბდება.

რა უნდა გაითვალისწინონ განათლების სპეციალისტებმა და პედაგოგებმა ამ მიმართულებით და რა ტიპის რესურსების მოძიებაა აუცილებელი?

– უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რა სჭირდებათ მათ მოსწავლეებს, რა სასწავლო მასალისა და სტრატეგიების გამოყენებით შეიძლება წიგნიერებისა თუ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების უფრო ეფექტურად განხორციელება. აუცილებელია, მასწავლებლები მუდმივად ზრუნავდნენ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, ეცნობოდნენ ახალ მასალას, ესწრებოდნენ შესაბამის ტრენინგებს. ამ გზით ისინი შეძლებენ, გაიგონ, რა მეთოდების გამოყენებაა აუცილებელი სასწავლო პროცესში იმისათვის, რომ ქართველმა მოსწავლეებმა სამაგალითო შედეგები აჩვენონ საერთაშორისო PISA, PIRLS და TIMMS შეფასებებში.



კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლისათვის

სკოლის დირექტორის სტანდარტი

თავი I. ზოგადი დავულება

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტი (შემდგომში – სტანდარტი) განსაზღვრავს საჯარო სკოლის დირექტორის ცოდნასა და უნარებს, პროფესიულ ღირებულებებსა და ვალდებულებებს. წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ წარმატებული საჯარო სკოლის დირექტორის საქმიანობას.

მუხლი 2. სტანდარტის სტრუქტურა:

სტანდარტი აქვს შემდეგი სტრუქტურა:

- ა) საჯარო სკოლის განვითარება;
- ბ) სასწავლო პროცესის მართვა;
- გ) პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- დ) ანგარიშვალდებულების სისტემა;
- ე) მშობლებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

თავი II. საჯარო სკოლის განვითარება და სასწავლო პროცესის მართვა

მუხლი 3. საჯარო სკოლის განვითარება

1. საჯარო სკოლის დირექტორი არის ძლიერი და მოტივირებული ლიდერი, რომელიც ხელს უწყობს

საჯარო სკოლის უწყვეტ განვითარებას მოსწავლეთა მიღწევების ამაღლების მიზნით

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულება განისაზღვრება შემდეგი ინდიკატორებით:

ა) საჯარო სკოლაში შესწავლილია საჯარო სკოლის საჭიროებები, ჩამოყალიბებულია საჯარო სკოლის მისია და ხედვა;

ბ) პედაგოგიურ საბჭოსთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით შემუშავებულია და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებულია საჯარო სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა დროში მიღწევადი ამოცანებით;

გ) დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შემუშავებულია საჯარო სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა;

დ) საჯარო სკოლის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელებისა და საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.

3. საჯარო სკოლის დირექტორი არის ეფექტური მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო სკოლის ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზებასა და ეფექტიანად განკარგვას დასახული საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულება განისაზღვრება შემდეგი ინდიკატორებით:
- ა) მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შექმნილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესაბამისი წლიური ბიუჯეტი;
 - ბ) საჯარო სკოლის ფინანსები იმართება ეფექტიანად, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო სკოლის განვითარების მიზნით მოძიებულია დამატებითი ფინანსური და მატერიალური რესურსები;
 - დ) შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციების მიხედვით შერჩეულია ადამიანური რესურსები, ფუნქციები და პასუხისმგებლობები რაციონალურად და სამართლიანად არის გადანაწილებული.

მუხლი 4. სასწავლო პროცესის მართვა

1. საჯარო სკოლის დირექტორი ზრუნავს მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაზე და ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების სრულფასოვან რეალიზებას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულება განისაზღვრება შემდეგი ინდიკატორებით:
 - ა) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად შემუშავებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებული სასკოლო სასწავლო გეგმა;
 - ბ) სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები და მათი შესაძლო გავლენა მოსწავლეთა მიღწევებზე;
 - გ) საჯარო სკოლაში დასახულია თითოეული მოსწავლის მაღალი კადემიური მოსწრების მოლოდინი და გამოიყენება მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების სტრატეგიები;
 - დ) საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევების მუდმივი შეფასება მათი გაუმჯობესების მიზნით;

- ე) საჯარო სკოლაში გამოიყენება სწავლების თანამედროვე სტრატეგიები, მეთოდები და რესურსები;
 - ვ) საჯარო სკოლის დირექციასა და მასწავლებლებს გაზიარებული აქვთ მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ხედვა და პასუხისმგებლობა.
3. საჯარო სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს უსაფრთხო და ნამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნას.
 4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულება განისაზღვრება შემდეგი ინდიკატორების დაკმაყოფილებით:
 - ა) საჯარო სკოლაში დაცულია უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
 - ბ) საჯარო სკოლაში არსებობს ეფექტური, მზრუნველი და მოსწავლეთაათვის მასტიმულირებელი სასწავლო გარემო;
 - გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებულია საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

თავი III. პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

მუხლი 5. მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

1. საჯარო სკოლის დირექტორი ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, ქმნის ხელსაყრელ, კონსტრუქციულ და ნამახალისებელ გარემოს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულება განისაზღვრება შემდეგი ინდიკატორებით:
 - ა) საჯარო სკოლაში შემუშავებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა, რომელიც შეესაბამება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემას და პასუხობს საჯარო სკოლის საჭიროებებს;



- ბ) საჯარო სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული შიდა სასკოლო შეფასების სისტემა;
- გ) საჯარო სკოლაში მოქმედებს მენტორ-მადიებლობის პროგრამა; მასწავლებლებს შორის გამოცდილების, ცოდნისა და უნარების ურთიერთგაზიარება.

მუხლი 6. საჯარო სკოლის დირექტორის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

1. საჯარო სკოლის დირექტორი ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულება განისაზღვრება შემდეგი ინდიკატორებით:
 - ა) საჯარო სკოლის დირექტორს შემუშავებული აქვს თვითშეფასების ფორმა;
 - ბ) საჯარო სკოლის დირექტორს შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმა.

თავი IV. ანგარიშვალდებულება

მუხლი 7. ანგარიშვალდებულების წარმოება

1. საჯარო სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს საჯარო სკოლაში კანონის შესაბამისი, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებზე დაფუძნებული ანგარიშვალდებულების სისტემის არსებობას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულება განისაზღვრება შემდეგი ინდიკატორებით:
 - ა) საჯარო სკოლის დირექტორი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ანგარიშვალდებულებას მაკონტროლებელ ორგანოებთან;

- ბ) საჯარო სკოლის დირექტორი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ანგარიშვალდებულებას საჯარო სკოლის უმაღლეს არჩევით ორგანოსთან;
- გ) საჯარო სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს საჯარო სკოლის ანგარიშვალდებულების სისტემის გამჭვირვალობას, საჯაროობასა და ადვილად ხელმისაწვდომობას;
- დ) საჯარო სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს საჯარო სკოლის ანგარიშვალდებულების წარმოებას ხარისხიანად, წინასწარ დადგენილ ვადებში.

თავი V. მშობლებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობა

მუხლი 8. მშობლებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფა

1. საჯარო სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს მშობლებისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულება განისაზღვრება შემდეგი ინდიკატორებით:
 - ა) მშობლები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები ეფექტურად და კონსტრუქციულად არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში;
 - ბ) საზოგადოების მრავალფეროვანი რესურსი ეფექტიანად გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.
 - გ) საჯარო სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან საჯარო სკოლის ინტერესების სასარგებლოდ;
 - დ) საჯარო სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა სკოლასთან გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარების მიზნით.

თავი VI. საჯარო სკოლის დირექტორის საქმიანობის შესრულებისათვის საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები

მუხლი 9. საჯარო სკოლის დირექტორის საქმიანობის შესრულებისათვის საჭირო თეორიული ცოდნა

საჯარო სკოლის დირექტორის საქმიანობის შესრულებისათვის საჭირო თეორიული ცოდნა მოიცავს:


- ა) საჯარო სკოლის დირექტორის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზას;
- ბ) სკოლებს შორის კონკურენტული გარემოს შექმნასა და მათ წახალისებას (სკოლების ბრენდირება);
- გ) ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს;
- დ) ლიდერობის თანამედროვე თეორიებს;
- ე) ორგანიზაციული ქცევის თეორიულ საფუძვლებს;
- ვ) სტრატეგიული გეგმის შემუშავების, განხორციელების და შეფასების პრინციპებსა და მეთოდებს, მათ გავლენას სწავლების ხარისხსა და მოსწავლეთა მიღწევებზე;
- ზ) განათლების ძირითად თეორიებს;
- თ) კვლევის მეთოდებს განათლებაში;
- ი) ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის პრინციპებს;
- კ) ეფექტური კომუნიკაციის მეთოდებს.

მუხლი 10. საჯარო სკოლის დირექტორის საქმიანობის შესრულებისათვის საჭირო პრაქტიკული უნარები

საჯარო სკოლის დირექტორის საქმიანობის შესრულებისათვის საჭირო პრაქტიკული უნარები მოიცავს:

- ა) საჯარო სკოლის მისიისა და ხედვის ჩამოყალიბების სამუშაო პროცესის ხელმძღვანელობას;
- ბ) საჯარო სკოლის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის ხელმძღვანელობას;

- გ) მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ხელმძღვანელობას;
- დ) თანამედროვე გლობალური, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ტექნოლოგიური ცვლილებების ანალიზსა და მათ დაკავშირებას საჯარო სკოლის სასწავლო გეგმასთან;
- ე) კვლევის ჩატარების ორგანიზებას, მონაცემთა შეგროვებასა და მათი შედეგების ანალიზს;
- ვ) უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო და სამუშაო გარემოს ხელშეწყობას;
- ზ) მასწავლებელთა შრომის აღიარებასა და დაფასებას მათი მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისათვის;
- თ) საჯარო სკოლის ბიუჯეტის მართვას;
- ი) ადამიანური რესურსების მართვასა და განვითარებას; საჯარო სკოლაში დასაქმებულ პირთა უფლებების დელეგირებას და პასუხისმგებლობათა გადანაწილებას;
- კ) საჯარო სკოლის მატერიალური რესურსების (მათ შორის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის, ლაბორატორიის და სხვ.) მოვლა-პატრონობის, შენახვის უზრუნველყოფას, განახლებაზე ზრუნვას;
- ლ) დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებასა და მათ მიერ შემოთავაზებული კონსტრუქციული მოსაზრებების გათვალისწინებას;
- მ) მშობელთა ინტერესებისა და საჭიროებების შესწავლასა და გათვალისწინებას სასწავლო პროცესში;
- ნ) ეფექტური და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დანერგვას საჯარო სკოლაში;
- ო) საზოგადოებაში არსებული რესურსების შესწავლას, მოძიებასა და გამოყენებას საჯარო სკოლის სასარგებლოდ;
- პ) ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საჯარო სკოლისათვის საჭირო რესურსების მოძიებას;
- ჟ) საჯარო სკოლის დირექტორის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზის გამოყენებას საჯარო სკოლის მართვის პროცესში;
- რ) ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას საჯარო სკოლის მართვის პროცესში.



პროფესიული განვითარების სქემა

- სერტიფიცირებული მასწავლებლის კონსტიტუცია

სახელმწიფომ უკვე აამუშავა მასწავლებლის პროფესიის რეგულირების პირველი მექანიზმი – სერტიფიცირება. სერტიფიცირებული მასწავლებლის შემდგომი საქმიანობა სპეციალურ სქემაშია ასახული, რომელზე მუშაობაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა სამი წლის წინ დაიწყო. დოკუმენტმა საბოლოო სახე ახლახან მიიღო და ნოემბრის ბოლოს პროგრამა „პესტალოცის“ ფარგლებში ჩატარებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საერთაშორისო სემინარის ერთ-ერთ ძირითად თემადაც იქცა.

„პესტალოცი“ განათლების პროფესიონალთა ტრენინგების პროგრამაა, რომელიც ევროსაბჭოს კულტურის კონვენციის ფარგლებში ხორციელდება. მისი თემატიკა ევროსაბჭოს პრიორიტეტული

პროექტების მიხედვით განისაზღვრება. საქართველო „პესტალოცის“ სასემინარო პროცესში 2008 წელს ჩაერთო. პირველი სემინარი მასწავლებლის ეთიკის კოდექსს დაეთმო, შარშანდელი – მენტორო-

ირმა კახურაშვილი



მასწავლებელი ხელს უწყობს სკოლაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას, სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბებასა და ადამიანის უფლებების პატივისცემას.



ბისა და მაძიებლობის საკითხებს, ნლევანდელი კი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ინიცირებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემას.

სქემის განსახილველად სემინარზე მონაწილემა ქართველმა და უცხოელმა განათლების სისტემის წარმომადგენლებმა – უცხოელმა და ადგილობრივმა ექსპერტებმა და მასწავლებლებმა – ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს და სქემის დანერგვის

თქმით, სქემა პირდაპირ უკავშირდება „პესტალოცის“ საერთაშორისო პროგრამას, რომლის პრიორიტეტებია: დემოკრატიული საზოგადოების განვითარება სკოლაში, ადამიანთა უფლებები და კანონის უზენაესობა.

ნინო რევიშვილი: „მასწავლებელი ხელს უწყობს სკოლაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას, სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბებასა და ადამიანის უფლებების პატივისცემას. მასწავლებელთა პროფესიულ ზრდასთან დაკავშირ-

უმცირესობებით დასახლებული რეგიონიდან და სხვ. ამ სემინარზე ძალიან საინტერესო რეკომენდაციები მივიღეთ. მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა ინოვაციური დოკუმენტია არა მხოლოდ ქართველებისთვის, არამედ ბევრი უცხოელისთვისაც და ეს სხვა ქვეყნების მასწავლებლების პროფესიული განვითარების სისტემების მიმოხილვამაც დაადასტურა“.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა და მისი




სტრატეგიებსა და ევროპულ მოდელებზე ისაუბრეს. საერთაშორისო სემინარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინიც დაესწრო. მან აღნიშნა, რომ განათლების სისტემის წარმატება მთლიანად მასწავლებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფინანსური პროგრამის კოორდინატორის, ნინო რევიშვილის

რებით საკუთარი გამოცდილება გაავიზიარეს ბრიტანელმა, ფრანგმა, პოლონელმა, კვიპროსელმა, ლიტველმა, ესპანელმა ექსპერტებმა, კერძო და სახელმწიფო სკოლების პედაგოგებმა, სამინისტროსა და რეგიონული საგანმანათლებლო უწყებების წარმომადგენლებმა. საქართველოს მხრიდან აქტიურობდნენ სერტიფიცირებული მასწავლებლები, რომლებმაც, სხვათა შორის, ამ სტატუსით პირველად მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო სემინარში. მოწვეული გვყავდა ჩვენი ცენტრის სხვადასხვა პროგრამის მონაწილე, მაგალითად, ეროვნული

დანერგვის სტრატეგიები ქართული სინამდვილის გათვალისწინებით მომზადდა, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა კატეგორიებად დაყოფის პრეცედენტი სხვა ქვეყნებშიც არსებობს.

მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და განვითარების სქემაში მთავარი ადგილი ერთიან ეროვნულ სასერტიფიკაციო გამოცდებს უჭირავს. ყველამ, ვისაც მასწავლებლობა სურს, სკოლაში ერთნაირი მუშაობის შემდეგ, ერთიანი სასერტიფიკაციო გამოცდები უნდა ჩააბაროს. მათი წარმა-



ტებით დაძლევის შემთხვევაში, ისინი მასწავლებლობის უფლებას მოიპოვებენ. მასწავლებლობის მსურველთათვის ამ გამოცდების ჩაბარება სავალდებულო მხოლოდ ერთხელ იქნება, მაგრამ ყოველ რვა წელიწადში ამ გამოცდის ხელახლა ჩაბარება მათ კარიერულ ზრდასა და ანაზღაურებაზე იმოქმედებს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, თეა კვინტრადის განმარტებით, პირველი სასერტიფიკაციო გამოცდები 1300 მასწავლებელმა ჩააბარა. იმისათვის, რომ სერტიფიცირებულ მასწავლებლებს სტიმული ჰქონოდათ, პროფესიულ განვითარებაზე უფრო მეტი ემუშავათ, აქტიურები და სხვა პედაგოგებისთვის სამაგალითონი ყოფილიყვნენ, შეიქმნა მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა.

თეა კვინტრადი: „სქემა კრედიტების მიღებისა და აღიარების მექანიზმებს განსაზღვრავს და ამავდროულად, გამოყოფს მასწავლებელთა კატეგორიებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. დოკუმენტი ასახავს მასწავლებლის პროფესიული განვითარების მთლიან პროცესს – სქემაში ჩართვიდან დაწყებული სერტიფიცირებისა თუ კატეგორიის მინიჭება/არმინიჭებით დამთავრებული, ასევე, მათ მონიტორინგსა და აღიარების სისტემებს.“

სქემაში ჩართვა მხოლოდ სერტიფიცირებულ მასწავლებელს შეუძლია (ეს ნებაყოფილობითია). ჩვენ მივესალმებით მასწავლებელთა აქტიურობას, მათ სურვილს, მიიღონ უახლესი ინფორმაცია, გაეცნონ თანამედროვე მეთოდებს, მუდმივად იზრუნონ უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე. სქემაში ჩართვის შედეგი სწავლების ხარისხის გაზრდაა. ეს კი ჩვენი ცენტრის ძირითადი ამოცანა გახლავთ“.

ერთიანი ეროვნული სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მასწავლებელმა წლიდან წლამდე კრედიტების გარკვეული რაოდენობა უნდა მოაგროვოს. კრედიტების დაგროვება პროფესიული განვითარებისა და წვრთნის სხვადასხვა პროგრამაში მონაწილეობით ხდება. ამდენად, მასწავლებელი არჩევანის წინაშე დგება: მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განვითარების პროგრამებში, დააგროვოს კრედიტები, ან გამოცდის ჩაბარებიდან 8 წლის შემდეგ გადააბაროს ის და მასწავლებლობის გაგრძელებისთვის საჭირო ქულები მიიღოს. მარტივად რომ ვთქვათ, მას შეუძლია აღარ გაიაროს რესერტიფიცირება და ავტომატურად მიიღოს მეორე კატეგორიის სტატუსი, აქტიურობის შემთხვევაში კი, დააგროვოს დამატებითი კრედიტები და უფრო მაღალ პროფესიულ საფეხურზე გადაინაცვლოს.

სერტიფიცირების კოორდინატორი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ერთ-ერთი თანაავტორი დავით კვინიკაძე აღნიშნავს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში განათლების ექსპერტებმა სქემის 12 სამუშაო ვერსია შეიმუშავეს და მხოლოდ ეს უკანასკნელი დოკუმენტი აღმოჩნდა სრულყოფილთან მიახლოებული. მისი აზრით, სქემის ძირითადი მიზანი სერტიფიცირებული მასწავლებლის საქმიანობის სწორად დაგეგმვა და ორგანიზებაა.

საინტერესოა ისიც, რომ სქემა ერთნაირ მოთხოვნებს უყენებს ქალაქსა და სოფელში მომუშავე პედაგოგებს. ის, ძირითადად, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს ეფუძნება.

დავით კვინიკაძე: „პროფესიის რეგულირება კრედიტების დაგროვებას გულისხმობს, ანუ სანამ მასწავლებელი რომელიმე კატეგორიაში

რამდე მივა, მან კრედიტების გარკვეული რაოდენობა უნდა დააგროვოს. სერტიფიცირებულ მასწავლებელს პედაგოგობის უფლება და 21 კრედიტი ავტომატურად ენიჭება. სერტიფიცირება ორი ნაწილისგან შედგება და თითოეული ნაწილი 10.5 კრედიტს მოიცავს. პროფესიული განვითარებისთვის მასწავლებელს გარკვეული დრო – დაახლოებით რვა წელი სჭირდება. რამდენადაც სერტიფიცირებულ მასწავლებელს კანონი არჩევანის საშუალებას აძლევს: კრედიტები დააგროვოს, ან გამოცდიდან გამოცდამდე „იმოდროს“, მისი ნებაა, მეორე კატეგორიის მასწავლებლად დარჩება თუ კარიერულ ზრდაზე იზრუნებს. იმ შემთხვევაში, თუ საიდენტიფიკაციო კომისია დაადგენს, რომ მასწავლებელი სასტარტო კრედიტს ვერ აგროვებს, ის მასწავლებლობის უფლების დაკარგვის საშიშროების ქვეშ აღმოჩნდება“.

საყურადღებოა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარმომადგენლებმა „პესტალოცის“ სემინარზე პირველად ისაუბრეს მასწავლებლის პორტფოლიოზე, მისი შექმნის წესებსა და რეგულაციებზე. მასწავლებლის პორტფოლიოს მომზადების წესი და მისი შინაარსი ჩანერილია კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“. განათლების ექსპერტთა თქმით, სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით შეფასდება მასწავლებლის პროფესიონალიზმი.

მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის მიერ მოწვეული სპეციალისტები სქემაში ჩართულ მასწავლებლებს სამ თვეში ერთხელ მონიტორინგს ჩაუტარებენ: დაესწრებიან გაკვეთილებს, დააკვირდებიან მათ სასკოლო გარემოში და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს დასკვნებს წარუდგენენ.



საქართველო და პროგრამა „პესტალოცი“

პროგრამა „პესტალოცი“ განათლების პროფესიონალთა ტრენინგების პროგრამას წარმოადგენს, რომელსაც ევროსაბჭო ევროპის კულტურის კონვენციის ფარგლებში ახორციელებს. მასწავლებლებსა და განათლების სექტორის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ პროგრამა „პესტალოცის“ ფარგლებში ორგანიზებულ სემინარებში. პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სემინარები მონაწილეებს საგანმანათლებლო ინიციატივებში ევროსაბჭოს სამუშაო გამოცდილების გაცნობას, ინტერკულტურული გამოცდილების, კოლეგებთან ინფორმაციის, მასალებისა და ინოვაციური პრაქტიკის გაზიარებას სთავაზობს. შესაბამისად, სემინარების თემატიკაც ევროსაბჭოს პრიორიტეტული პროექტების მიხედვით განისაზღვრება. ეს პრიორიტეტებია: განათლების როლი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში და ადამიანთა უფლებები; ინტერკულტურული დიალოგი და კონფლიქტების გადაწყვეტა; გენდერული თანასწორობა სკოლის გარემოში და ა.შ.

საქართველო პროგრამა „პესტალოცი“ 2009 წლიდან ჩაერთო. 2009-2010 წლის განმავლობაში „პესტალოცის“ პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ სხვადასხვა სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა ქართველმა პედაგოგმა, პედაგოგთა ტრენინგმა და განათლების ექსპერტმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

აზა მდინარაძე



პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სემინარები მონაწილეებს საგანმანათლებლო ინიციატივებში ევროსაბჭოს სამუშაო გამოცდილების გაცნობას, ინტერკულტურული გამოცდილების, კოლეგებთან ინფორმაციის, მასალებისა და ინოვაციური პრაქტიკის გაზიარებას სთავაზობს. შესაბამისად, სემინარების თემატიკაც ევროსაბჭოს პრიორიტეტული პროექტების მიხედვით განისაზღვრება. ეს პრიორიტეტებია: განათლების როლი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში და ადამიანთა უფლებები; ინტერკულტურული დიალოგი და კონფლიქტების გადაწყვეტა; გენდერული თანასწორობა სკოლის გარემოში და ა.შ.


„აუშვიცისა და ჰოლოკოსტის სწავლება ავროპული მემკვიდრეობის კონტექსტში“

ჰოლოკოსტს, როგორც საგანს, ევროპის სკოლებში 16 წლის მოსწავლეებს ასწავლიან. მისი სახლმძღვანელო 2003 წელს გამოვიდა. სწავლების მიზანია, ახალგაზრდებს ხსოვნის კულტურა ჩამოუყალიბდეთ, რათა წარსულის გააზრების შემდეგ მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა იგრძნონ. მოზარდებმა უნდა ისწავლონ, რომ მხოლოდ ტოლერანტობისა და თანასწორობის შედეგად შეძლებენ მსოფლიოს ერები მშვიდობიან თანაცხოვრებას, რაც მათი განვითარების წინაპირობაა.

აღნიშნული სემინარი – „აუშვიცისა და ჰოლოკოსტის სწავლება ევროპული მემკვიდრეობის კონტექსტში“ – ევროსაბჭოს, პოლონეთის განათლების სამინისტროს, აუშვიც-ბურკენაუს მუზეუმისა და კრაკოვის პედაგოგიური უნივერსიტეტის დახმარებით

ჩატარდა. ჩამოთვლილი ინსტიტუტების წარმომადგენლები, სემინარის ორგანიზატორები და ჰოლოკოსტის მკვლევარები ერთი კვირის მანძილზე ჩვენთან ერთად განიხილავდნენ მეორე მსოფლიო ომის ისტორიას, ჰოლოკოსტის ფაქტებსა და შედეგებს, გვაცნობდნენ ბანაკის საშინელებებს გადარჩენილი, ყოფილი ტყვეების შემდგომ საქმიანობასა და შემოქმედებას.

ჰოლოკოსტი მხოლოდ აუშვიცში არ მომხდარა. ბევრგან ხდებოდა ეს უსამართლობა, უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა – ამისათვის კომუნიზმის მსხვერპლთა ბანაკების გახსენებაც საკმარისია. თუმცა აუშვიცი კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ყველაზე დიდი და მასობრივი დანაშაულის ადგილია. ევროსაბჭოს გადაწყვეტილება ჰოლოკოსტის სწავლების ორგანიზების



შესახებ იმის ნიშანია, რომ ასეთ დანაშაულებს მსოფლიო არ დაივინყებს. ნაცისტებისა და კომუნიზმის მსხვერპლთა შედარება და მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულთა კვლევა გაგრძელდება.

ჩვენი ჯგუფი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მასწავლებლებისა და განათლების სპეციალისტებისგან შედგებოდა. საქართველოდან მე და თბილისის მე-10 სკოლის მასწავლებელი მარინე დემეტრაშვილი გახლდით. ჩვენ 10-დან 16 ოქტომბრამდე, 1 კვირის მანძილზე, ჯერ ქალაქ კრაკოვში, შემდეგ კი ოსვენციმში ვსწავლობდით ჰოლოკოსტის – მასობრივი ჟლეტის – ფაქტებსა და უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის ამ ფაქტების იმგვარად გადაცემის მეთოდებს, რომ ბავშვები არ დაიზაფრონ და დაღუპულთა მიმართ თანაგრძობით განეწყონ. ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ, როგორ აღარ უნდა იცხოვროს კაცობრიობამ და სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანები სიძულვილმა.

სემინარის მონაწილეებს აღნიშნული ისტორიული მოვლენების შესახებ



უამრავი ინფორმაცია, ფოტო, ბროშურა და წიგნი დაგვიგროვდა და ვგეგმავთ, რომ ცოდნა ჰოლოკოსტის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს გავუზიაროთ.

შინ დასაბრუნებლად გამზადებულებს ულამაზესი კრაკოვის ძველი უბანი დაგვემშვიდობა – მზიანი ქუჩებით, ლამაზი სახლებით, თეთრი ცხენებითა და ეტლებით...

ეს ყველაფერი მილიონზე მეტ სიცოცხლით სავსე ადამიანს ნაართვეს და მათგან მხოლოდ მუზეუმში ბარგიდან ამოკრეფილი ნივთები, ჩემოდნებზე წარწერილი სახელები და გვარები, შავ სტენდებზე გამოფენილი ძველი, მზიარული ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათები, ფერფლიანი მინდვრები და დიდი ტკივილი დარჩა.



Google თაობა

ნორვეგიის ქალაქ ბერგენში, პესტალოცის პროგრამის ფარგლებში, ევროსაბჭოს 17 ქვეყნის 40 წარმომადგენელი შევიკრიბეთ სემინარზე „ინფორმაციული წიგნიერების ხელშეწყობა ევროპულ საკლასო ოთახებში. როგორ ვასწავლოთ გოგლე თაობას – გამონევეები მასწავლებლებს“.

სემინარის დროს განვიხილეთ ის, თუ როგორ უნდა დავარწმუნოთ

განათლების ექსპერტები და განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმწიფო ხელმძღვანელობა მასწავლებელთა და ბიბლიოთეკართა შორის თანამშრომლობის აუცილებლობაში. ვისაუბრეთ იმაზეც, თუ როგორ უნდა ავირიდოთ თავიდან პლაგიატიზმი. ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორის, სარა ვილენსკის თქმით, „თუ სკოლაში გასწავლიან, როგორ გაიაზროთ

ზაქარია ქარსაშულიძე



სემინარის დროს განვიხილეთ ის, თუ როგორ უნდა დავარწმუნოთ განათლების ექსპერტები და განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმწიფო ხელმძღვანელობა მასწავლებელთა და ბიბლიოთეკართა შორის თანამშრომლობის აუცილებლობაში.

სხვადასხვა ავტორი და მათი ნააზრევის სინთეზირება საკუთარ არგუმენტებში მოახდინოთ, უნივერსიტეტში პლაგიატიზმის სურვილი აღარ გაგიჩნდებათ“. სემინარზე იმის შესახებაც ვიმსჯელებთ, თუ როგორ უნდა

გამოცდილება კი სკოლის ბიბლიოთეკიდან უნდა იწყებოდეს. ახალგაზრდა თაობა უპირატესობას ინტერნეტს ანიჭებს. მარიანა ვულფი წიგნში „პრუსტი და კალმარი“ წერს, რომ ელექტრონული მედიის

პროექტები, რომელთა მომზადებისას აუცილებლად უნდა გამოიყენონ ენციკლოპედიები, ინტერნეტი და ელექტრონული წიგნები. პრეზენტაციის დროს დაუშვებელია ციტატების გაკეთება, მოსწავლემ ყველაფერი საკუთარი სიტყვებით უნდა აღწეროს. ამ დროს ბავშვები სწავლობენ ინფორმაციის გამოყენების ეტიკას და ეჩვევიან საავტორო უფლებების დაცვას.



სამდლიან სემინარზე სასწავლო პროცესში ბლოგერების და სოციალური მედიის როლიც მიმოვიხილეთ. საინტერესო იყო ის ფილმი, რომელიც ბერგენის საუნივერსიტეტო კოლეჯის პროფესორმა ტრიგვე ტოლფესენმა წარმოადგინა. ვიდეოში საგაკვეთილო პროცესია ასახული, რომელიც ბლოგებთან მუშაობას ეძღვნება. ჩანს, რომ ბავშვები ჩართულები არიან გაკვეთილის პროცესში, მათი კომენტარები კი თემატიკით დაინტერესებაზე მეტყველებს. მოსწავლეებს მოსწონთ ციფრული კამერით სურათების გადაღება და ბლოგზე მათი ატვირთვა. ფილმის ჩვენების შემდეგ გამართულ დისკუსიაში ბლოგების მნიშვნელობაზე გამახვილდა ყურადღება. ყველა შეთანხმდა, რომ მოზარდებისთვის აუცილებელია საკუთარი ნაშრომების (ფოტოსურათი, ნახატი, ლექსი, მოთხრობა, თემა და ა.შ.) სხვებისთვის გაცნობა, ბლოგის საშუალებით კი ეს იოლად ხერხდება. ნაშრომებზე გაკეთებული კომენტარები მათ სხვისი აზრის შეტყობის საშუალებას აძლევს, რაც უკეთესი ნამუშევრის შექმნის საწინდარია.

მივაჩვიოთ მოზარდები ბექდურ წყაროებთან მუშაობას, რათა მათ ყველაფერი ელექტრონულ ფორმატში არ იკითხოთ.


საშუალებით კითხვა ჩვენს შემეცნებით უნარებს ცვლის: ზედაპირულ კითხვას ვეჩვევით, რაც ნამდვილ ცოდნას გვაშორებს.

XXI საუკუნეში ინფორმაციული წიგნიერება ადამიანს საჭირო და ღირებული მასალის ამორჩევის უნარს აძლევს. მას შეუძლია განსაზღვროს, როგორ არის ორგანიზებული ინფორმაცია და რომელი წყარო შეიძლება იყოს უფრო სანდო. ამის განსასაზღვრად კვლევითი ხასიათის ტექნიკის, წიგნებისა და ინტერნეტის გამოყენებაა საჭირო. წიგნებსა და ინტერნეტთან მუშაობის

სემინარზე ბერძნულ-ამერიკული საგანმანათლებლო ფონდის ბიბლიოთეკების დირექტორმა, ალექსანდრა პაპაზუგლოუმ ბავშვის წიგნთან დაახლოების მეთოდები განიხილა. მან საბერძნეთის მაგალითი მოიყვანა, სადაც სკოლებში მოზარდები ადრეული ასაკიდან იწყებენ ინფორმაციული წიგნიერების კურსს. მათ ეძლევათ დავალება, რომ გარკვეულ საგნებში მოამზადონ პრეზენტაციები და

სემინარის დასრულების შემდეგ ახალი იდეებითა და ცოდნით დატვირთული მონაწილეები სასწავლო პროცესში სიახლეების შეტანის სურვილით დაებრუნდით საკუთარ ქვეყნებში.





შფოთვის გააოქვავი სიტუაციაში 12-14 წლის მოზარდებში

უკანასკნელ წლებში განათლების სისტემაში პრიორიტეტები გარკვეულწილად შეიცვალა. ადრე სკოლის მთავარი ამოცანა მხოლოდ სწავლება, ანუ ცოდნის გადაცემა და დისციპლინის მოყვარული მოზარდის აღზრდა იყო. დღეს ბავშვის პიროვნების სრულყოფილი განვითარების უპირატესობას აღიარებენ. ამიტომ ყურადღება მიმართულია არა მხოლოდ აკადემიურ მოსწრებასა და ყოფაქცევაზე, არამედ ბავშვის განცდებზე, ფიზიკურ, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.



მანია შუშურბაიძე

თუ შფოთვის მომატებულ დონეს პიროვნული არასტაბილურობის გამოვლენად განვიხილავთ, მნიშვნელოვანი იქნება მისი გავლენა ანალიტიკურ აზროვნებაზე, ინტელექტზე, მეხსიერებაზე.

შფოთვა არასასიამოვნო ემოციური მდგომარეობაა: გაურკვეველობის განცდა, ცუდის მოლოდინი, ძნელად ასახსნელი წინათგრძნობები. შიშისგან განსხვავებით, ის, ძირითადად, უსაგნოა, ირაციონალური. მას არ აქვს კონკრეტული სტიმული. მეორე მხრივ, შფოთვა ადამიანს მოსალოდნელ მაგნე ქცევას არიდებს და ამიტომ, გარკვეულწილად, დაცვით ფუნქციას ასრულებს.

ერიკ მეშისა და დევიდ ვოლფის აზრით, შფოთვა რამდენიმე ემოციის კომბინაციაა: შიშის, წუხილის, სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობის. შფოთვის დროს ადამიანი საკუთარ წარსულში ან გარე სამყაროში ეძებს და პოულობს საშიშ და უსიამოვნო მოვლენათა მაგალითებს, შემდეგ კი მათ პროეცირებას საკუთარ მომავალზე ახდენს.

ყველა ბავშვი განიცდის შიშს, შფოთვას, უხერხულობას. ეს განცდები

ყველა ადამიანს უჩნდება ზრდისა და განვითარების პროცესში. თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვები ზედმეტად წუხდებიან ამ განცდით, მაგალითად, სოციოფობიით, გენერალიზებული შფოთვით და სხვა. ასეთ განცდას მრავალი პრობლემა ახლავს. ხშირად შფოთვითი მოვლენები თვალშისაცემი არ არის და ბავშვები დროულ დახმარებას ვერ იღებენ. თანაც ბევრ სიმპტომს ფარული ხასიათი აქვს (თავის ტკივილი, კუჭის ტკივილი და სხვ.).

წლების მანძილზე ბავშვების შფოთვა ითვლებოდა უმნიშვნელო დარღვევად, რომელიც მაშინვე ქრება, როგორც კი მოზარდი ნორმალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას მიიღებს. თუმცა უკვე ცნობილია, რომ ბევრი ბავშვი, რომელიც განიცდის შფოთვას, მოზარდობასა და მოწიფულობაში მისგან ვერ თავისუფლდება.

ბარიოსისა და ჰარტმანის მიხედვით, შფოთვითი სიმპტომები ვლინდება სამი ურთიერთდაკავშირებული სისტემის სახით: ფიზიკური, კოგნიტური და ქცევითი.



წლების მანძილზე ბავშვების შფოთვა ითვლებოდა უმნიშვნელო დარღვევად, რომელიც მაშინვე ქრება, როგორც კი მოზარდი ნორმალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას მიიღებს. თუმცა უკვე ცნობილია, რომ ბევრი ბავშვი, რომელიც განიცდის შფოთვას, მოზარდობასა და მოწიფულობაში მისგან ვერ თავისუფლდება.



ელისის თეორიაში მომატებული შფოთვა არაადეკვატურ, არასაჭირო ემოციებს განეკუთვნება, რომელიც ხელს უშლის სუბიექტს წონასწორობის მიღწევაში.

ხოლო, ბეკის მიხედვით, შფოთვა სუბიექტის მიერ საკუთარი რესურსებისა და გარემოდან წამოსული მუქარის შეუფასებლობაა, ამიტომ ის განწყობებით არ არის განპირობებული.

ამ სიტუაციების უგულვებელყოფამ შესაძლოა გააღრმავოს მოზარდის შინაგანი კრიზისი და განცდილი მარცხი მუდმივი შფოთვის მიზეზად იქცეს, რასაც შემდგომში უამრავი პრობლემა მოჰყვება. ყოველ ადამიანს მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შემონმეული ხერხების ნაკრები, თავდაცვის განსაკუთრებული მეთოდები აქვს. ამ მექანიზმების შერჩევა კი, უმთავრესად, ბავშვობის გამოცდილებით ხდება.

ამ მოსაზრებებმა განაპირობა ჩვენი კვლევის მიზანიც: იმ სიტუაციების გამოვლენა, რომლებიც 12–14 წლის მოზარდებში შფოთვას იწვევს და გავლენას ახდენს თვითშეფასებასა და ურთიერთობებზე.

გამოკითხვა ჩავატარეთ თბილისის ორ საჯარო სკოლაში („მომავლის სკოლა“ და 64-ე სკოლა) 12, 13, 14 წლის მოზარდებზე. მასში მონაწილეობდა 105 ბავშვი. კვლევაში გამოვიყენეთ კონდაშ-პრიხოჟანის „სოციალურ-სიტუაციური შფოთვის სკალა“. ამ ტიპის სკალების დამახასიათებელია ის, რომ მათში ინდივიდის შფოთვა განისაზღვრება იმის მიხედვით, არის თუ არა სკალაში მითითებული ესა თუ ის სიტუაცია კონკრეტულ ინდივიდში შფოთვის გამომწვევი. კითხვარის გაგება და შეფასება ნაკლებადაა დამოკიდებული მოზარდის უნარზე, ამოიცნოს საკუთარი განცდები და

გრძნობები, აგრეთვე მისი ინტროსპექციის განვითარებაზე და იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მას სიტყვიერად აღწეროს ეს განცდები.

კითხვარი შედგება 4 სუბსკალისგან. 1) სასკოლო შფოთვის სკალა, 2) თვითშეფასებითი შფოთვის სკალა, 3) პიროვნებათაშორისი შფოთვის სკალა, 4) მაგიისადმი შფოთვის სკალა. კვლევა ჩატარდა ჯგუფურად. ბავშვებს კითხვარებს ვურიგებდით და პასუხების შემოხაზვას ვთხოვდით. მათ ევალუბოდან შფოთვის გამომწვევი სიტუაციების საკუთარი თავისათვის მისადაგება და იმის განსაზღვრა, თუ რამდენად უსიამოვნო და შფოთვის გამომწვევი იყო თითოეული გარემოება მათთვის (სრულებით არა, ოდნავ, საკმაოდ, მნიშვნელოვნად, ძალიან). ამჯერად

თვითშეფასებითი შფოთვისა და პიროვნებათაშორისი შფოთვის საკვლევი სკალების გამოყენება ვცადეთ. თითოეული სუბსკალისათვის ცალკე ითვლებოდა ქულების ჯამი, ხოლო სკალებზე მიღებული ქულების ჯამი, მთლიანობაში, შფოთვის ზოგადი დონის მაჩვენებელია.

№1 ცხრილში ნაჩვენებია ის მონაცემები, რომლებშიც მოცემულია თვითშეფასებითი შფოთვის სკალაზე მოსწავლეთა რაოდენობის პროცენტული მაჩვენებლები. I გრაფაში მოცემულია ის სიტუაციები, რომლებიც შეიძლება შფოთვის გამომწვევი იყოს ამა თუ იმ ასაკში, II, III, IV გრაფებში კი – 12, 13, 14 წლის მოზარდების რამდენ პროცენტშია ეს სიტუაციები შფოთვის გამომწვევი.


ცხრილი №1

№	I	II	III	IV
		35 მონაწ. %	35 მონაწ. %	35 მონაწ. %
სიტუაციები		12 წ.	13 წ.	14 წ.
1(2)	მონაწილეობას ვიღებ კონკურსში, შეჯიბრში	45%	14%	28%
2(3)	სხვებს ვადარებ საკუთარ თავს	16%	15%	15%
3(4)	მაკრიტიკებენ, მტუქსავენ	22%	15%	40%
4(6)	რალაც არ გამომდის	38%	40%	53%
5(8)	წარუმატებლობა, ჩავარდნა მემუქრება	22%	48%	43%
6(10)	საკუთარ მომავალზე ვფიქრობ	45%	7%	46%
7(13)	ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტში ვმონაწილეობ	11%	0	9%
8(17)	ახალ საქმეს ვიწყებ	11%	4%	15%
9(20)	სარკეში ვიყურები	11%	4%	12%

ფრჩხილებში მოცემულია სკალაზე ამ სიტუაციის ნომერი

ცხრილი №2. პიროვნებათაშორისი შფოთვის სკალის მონაცემები (%)

№	საქალაქო	I	II	III	IV
			12 წ.	13 წ.	14 წ.
სიტუაციები		12 წ.	13 წ.	14 წ.	
1(1)	საჭიროა, უცნობ ადამიანს მივმართო კითხვით ან თხოვნით	11%	7%	21%	
2(5)	მიყურებენ, როცა რალაცას ვაკეთებ (მითვალთვალენ მუშაობის დროს)	6%	12%	28%	
3(7)	არ მაქცევენ ყურადღებას	11%	20%	44%	
4(9)	ზურგსუკან სიცილი მესმის	11%	7%	26%	
5(11)	დიდი აუდიტორიის წინაშე გამოვდივარ	22%	16%	46%	
6(12)	მშობლებთან უსიამოვნება მაქვს	33%	14%	43%	
7(14)	მიყურებენ, როგორც პატარას	6%	30%	46%	
8(16)	არ ვეთანხმები მშობლებს	16%	14%	12%	
9(18)	ჩემი მიახლოებისთანავე ჩუმდებიან	8%	20%	21%	
10(19)	ვუსმენ, როგორ ჰყვება ვიღაც სასიყვარულო ისტორიებს	11%	7%	12%	



როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, 12 წლის მოზარდების 45%-ში შეჯიბრში მონაწილეობასა და საკუთარ მომავალზე ფიქრი შფოთვის გამომწვევია, 38%-სათვის – როცა რაღაც არ გამოდის, ხოლო 26%-სათვის სანინალმდეგო სქესისთვის მიმზიდველობაზე ფიქრი იწვევს შფოთვას.

13 წლის მოზარდებთან სურათი გარკვეულწილად იცვლება. „ჩავარდნა მემუქრება“ – ამ სიტუაციას 48% თვლის შფოთვის გამომწვევად (8), „რაღაც არ გამოდის“ – 40% (6), დანარჩენი სიტუაციები დაბალი პროცენტული მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი. ამის მიზეზი შესაძლოა ზემოთ ნახსენები ერთ-ერთი გარემოებაა. „თავის დამზღვევის“ პოზიცია ხშირად შფოთვას ეფუძნება. „თავის დამზღვევი“ სუბიექტები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ შესაძლებლობებს ფაქტობრივ დონეზე დაბლა აფასებენ, თავისთვის გარკვეულ „უსაფრთხოების ზონას“ იტოვებენ, თავს დიდი მარცხისათვის „არ სწირავენ“. ჩვენს შემთხვევაში, ვფიქრობთ, მსგავსი მდგომარეობა: ეს სიტუაციები უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს 13-14 წლის მოზარდისთვის, ვიდრე პატარისთვის, რადგანაც მოზრდილობისკენ მის შინაგან სწრაფვას შეესაბამება. ჩვენი აზრით, ამ ასაკში მომატებულია ე.წ. „თავის-დამზღვევა“ რაოდენობა, ანუ ისინი ცდილობენ, ბევრ სიტუაციას შეგნებულად არ მიანიჭონ დიდი მნიშვნელობა, რადგან მარცხი საკმაოდ მაღლა სწევს შფოთვის დონეს, ეს კი მათ სიფრთხილისკენ უბიძგებს. შესაძლებელია, მოზარდებს ძლიერი მოტივაცია ჰქონდეთ, რისი გამომჟღავნებაც არ სურთ და ამის გამო მაღავენ ნამდვილ სურვილებს (შფოთვის დასაწევად).

რაც შეეხება 14 წლის მოზარდებს, მათი მონაცემები (3) „მაკრიტიკებენ“ სიტუაციასთან მიმართებაში ახლოსაა მე-7, მე-8 კლასელების მონაცემებთან. (6) „რაღაც არ გამოდის“ – მაჩვენებლები საგრძობლადაა მომატებული, (8) „წარუმატებლობა მემუქრება“ – ისინი ამ შემთხვევაშიც საკმაოდ მომატებულია. როგორც ვხედავთ, მე-9 კლასში საკმაოდ

გამოიკვეთა შფოთვის გამომწვევი სიტუაციები. მე-8 კლასი საგრძობლად განსხვავდება მე-7 და მე-9 კლასებისგან. მიზეზების შემდგომი კვლევა საინტერესო იქნება.

რაც შეეხება №2 ცხრილს, აქ მოცემულია პიროვნებათშორისი შფოთვის მაჩვენებლები: მოზარდების რამდენ პროცენტში იწვევს შფოთვას თითოეული გარემოება. გამოვყავით სიტუაციები, რომლებიც ყველაზე მეტ ბავშვს აქვს აღნიშნული, როგორც ძლიერი შფოთვის გამომწვევი. (14) „მიყურებენ, როგორც პატარას“ – 12 წლის ბავშვებში საკმაოდ დაბალი პროცენტითაა წარმოდგენილი – 6%, 13 წლიანებში – 30%, 14 წლიანებში – 46%. (12) „მშობლებთან უსიამოვნება მაქვს“ – 14 წლიანების მონაცემები მკვეთრად გაზრდილია – 43% (რაც ალბათ იმის ნიშანია, რომ ასეთი შემთხვევები ხშირია). (19) „ვუსმენ სხვის სასიყვარულო ისტორიებს“ – არც ერთ ასაკში არ არის მაღალი მონაცემებით გამოხატული: მე-7 კლასში ჯერ არ აინტერესებთ, მე-8 – მე-9 კლასებში, პირიქით, საკმაოდ აინტერესებთ, ამიტომ, როგორც ჩანს, უსიამოვნო განცდებს არ იწვევს.

მაშასადამე, ის სიტუაციები, რომლებსაც 12, 13, 14 წლის მოზარდების დიდ რაოდენობაში შფოთვა ახლავს, შემდეგია: „რაღაც არ გამოდის“ (12,13,14), „წარუმატებლობა მემუქრება“ (13,14), „მომავალზე ვფიქრობ“ (12,14), „მონაწილეობას ვიღებ კონკურსში“ (12). რაც შეეხება პიროვნებათშორისი სკალის მონაცემებს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს სიტუაციებს: „უსიამოვნება მაქვს მშობლებთან“ (12,14), „დიდი აუდიტორიის წინაშე გამოვდივარ“ (12,14).


ვფიქრობთ, შეგვიძლია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

- 1. კვლევის შედეგად გამოიყო სიტუაციები, რომლებიც მოზარდების საკმაოდ დიდ რაოდენობაში მნიშვნელოვანი შფოთვის გამომწვევია. მონაცემები საინტერესოა სამივე ასაკში.

- 2. შედეგები ასაკობრივ თავისებურებებს შეესაბამება. ჩვენი საკვლევი ასაკი გარდამავალი, კრიტიკული ასაკია. კვლევები გვიჩვენებს, რომ ამ დროს მოზარდების სოციალური აქტივობა მატულობს (განსაკუთრებით 14 წლის ასაკში) – მეგობრებთან ნორმალური ურთიერთობებისკენ, ზოგადი ღირებულების ათვისებისკენ. თუმცა ამ მიმართულებების განვითარება არათანაბრად მიმდინარეობს, რასაც გარკვეულწილად შინაგანი დესტაბილიზაცია ახლავს.
- 3. ზოგჯერ სხვა საფეხურზე გადასვლა ნელი ტემპით ხდება: ბავშვი მოზრდილი ადამიანის ქცევის ფორმებს თანდათან ეუფლება. როდესაც საქმე გვაქვს გადასვლის სხვა ტიპთან, მაშინ ეს კონფლიქტები (შინაგანიც და გარეგანიც) გამძაფრებულია. ეს მონიფულობის როლისადმი მოუზადებლობაა, რაც გარკვეულ სიტუაციებში შფოთვას ზრდის. სწორედ ამ ასაკში უჩნდება მოზარდს ზრდასრული ადამიანების ჯგუფში გადასვლისა და გარკვეული უპირატესობით სარგებლობის მისწრაფება, მაგრამ მას ამ ჯგუფში ჯერ არ იღებენ, ამიტომ იგი ჯგუფთაშორის მდგომარეობაში რჩება. ბავშვის რეალურ შესაძლებლობებს, მის დამოკიდებულებას ამ შესაძლებლობებთან და გარემოს მისეულ აღქმას შორის შეუსაბამობებს ზოგჯერ ის შინაგან კონფლიქტამდეც მიყავს, რაც აგრეთვე მომატებული შფოთვის მიზეზი ხდება.

თუ შფოთვა წარმოადგენს საკუთარი შესაძლებლობებისა და კონკრეტულ სიტუაციაში რაიმე მუქარის არა-ადეკვატურად შეფასებას, რაც კოგნიტურ შეცდომებსა და არაადეკვატურ დასკვნებს ნიშნავს, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იქნება მოზარდებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, კერძოდ, ალტერნატიული ხედვების შემუშავების სტრატეგიების დაუფლება.





გიორგი ალიბეგაშვილი

პაპირუსიდან ქაღალდამდე

დღევანდელი მისი გამოყენება პრაქტიკაშიც შეძლოს, უპირველეს ყოვლისა, მოზარდის მიერ საკუთარი თავის შეცნობას გულისხმობს. ნებისმიერი ასაკის ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ ის არა მხოლოდ ერთი კერძო პირია, განუმეორებელი სულიერად და ფიზიკურად, არამედ თავისი ერის შვილიცაა და, ამასთანავე, მთლიანად კაცობრიობის წევრიც. როდესაც ამ სამი ასპექტით ვინყვებთ მსჯელობას, ბუნებრივია, განსაკუთრებით მასწავლებლის წინაშე დგება ამოცანა, თუ როგორ შეაცნობინოს მომავალ თაობას ამგვარი სამსახურება – პიროვნული, ეროვნული და საკაცობრიო. ამ მიმართულებათა გათვალისწინებით მრავალ პრობლემაზე შეიძლება მსჯელობა, რათა ჩვენმა ახალგაზრდებმა ობიექტურად გაიაზრონ ისტორიული წარსული, საუკუნეების მანძილზე ქვეყნის ადგილი კულტურული მსოფლიოს განვითარებაში.

ამგვარი თემებია ანბანური დამწერლობის ჩამოყალიბების, სანერი მასალისა და ადამიანის ნაფიქრის დაფიქსირების სხვადასხვა საშუალების გამოგონების, ხელნაწერთა შექმნის, მათი შემკობისა და გაფორმების ისტორია და მრავალი სხვა.


შევჩერდეთ ერთ-ერთ მათგანზე: რით, როგორ და რაზე წერდნენ თავიანთ ნააზრევს ადამიანები ათასწლეულების წინ? როგორია

ჩვენი წინაპრების როლი კაცობრიობის ინტელექტუალური განვითარების ამ პროცესში, რამაც, საბოლოოდ, კომპიუტერულ ტექნოლოგიებამდე მიგვიყვანა?

ქაღალდის მსგავსი სანერი მასალის – პაპირუსის შექმნამდე ადამიანები სხვადასხვა ნივთს ხმარობდნენ, კერძოდ: ქვის, მარმარილოს თუ თიხის ფილებს. ანტიკურ ეპოქაში ოქროს, ვერცხლისა და ტყვიის ფირფიტებიც გამოიყენებიათ; ხმარობდნენ ხის დაფებსა და სპილოს ძვალსაც. მათზე სხვადასხვა ქვეყნის მმართველები და „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ აღწერდნენ თავიანთ დიად საქმეებს, რადგან სწამდათ, რომ ამით საკუთარ სახელს უკვდავყოფდნენ.

საქართველოში შემონახული წარწერებიდან ერთ-ერთი უძველესია ქვის ფილაზე ბერძნული და არამეული ასოებით შესრულებული, II საუკუნით დათარიღებული, არმაზის ბილინგვა (ლათ. bi – „ორი“, lingua – „ენა“). ტექსტის შემოკლებული ვერსია ასეთია: „მე ვარ სერაფიტა, ასული ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა... ვაება ვაებისა, ის, ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და მშვენიერი, რომ არავინ იყო (მისი) მსგავსი სილამაზით და გარდაიცვალა 21 წლისა“.





რაც შეეხება პაპირუსს, ქართულად **ჭილს**, მისი გამოგონება ეგვიპტელთა სახელს უკავშირდება. სიტყვა „პაპირუსი“ წარმომდგარია ეგვიპტური პა-პუ-რო-დან და „სამეფოს“ ნიშნავს. პაპირუსი ისლისებრ მცენარეთა ოჯახს განეკუთვნება და მრავლად იზრდება მდინარე ნილოსის დელტაში. მისგან ამზადებდნენ ნავებს, კალათებს, თოკებს, ჭურჭელს, ავეჯს, სამოსს, ფეხსაცმელს, ჭილოფებს. მას დეკორატიულ მცენარედ აშენებდნენ ბაღებში, პარკებსა და ორანჟერეებში, ხმარობდნენ საკვებადაც; პაპირუსის გულს სანათურების პატრუქად იყენებდნენ, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მისმა საწერ მასალად ხმარებამ განსაზღვრა.

პაპირუსს შემდეგნაირად ამზადებდნენ: მის თხელ, ფართო ზოლებს ერთიმეორის მიყოლებით ალაგებდნენ, შემდეგ ზემოდან მეორე, ზოგჯერ მესამე ფენასაც აწყობდნენ, ასხურებდნენ ბლომად ნილოსის წყალს, ბევრად ხის ჩაქუჩით, აშრობდნენ, გვერდებს ჩამოაჭრიდნენ და ნიჟართ ან სპილოს ძვლით აპრიალებდნენ. რომაელი ავტორის, პლინიუს უფროსის (23/24-79 წწ.) თანახმად, პაპირუსს ოთხი თვისება უნდა ჰქონოდა: უნდა ყოფილიყო **თხელი, მკვრივი, პრილა** და **გლუვი**; მაგრამ მას რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაკლიც ჰქონდა – გადაკეცვისას ტყდებოდა, თან მხოლოდ ცალ მხარეს შეიძლებოდა წერა; ამიტომ მას გრაფილად ახვევდნენ, რაკი რვეულად ვერ ლაგდებოდა; ზოგიერთი პაპირუსის გრაფილი წიგნი ორმოც მეტრს აღწევდა და მისი გამოყენება მოუხერხებელი იყო.

რამდენად ფართოდ იყენებდნენ ჭილს საქართველოში, დაუდგენელია. ჩვენამდე მხოლოდ ორმა ხელნაწერმა მოაღწია – ორივე პალესტინური წარმოშობისაა და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში ინახებოდა. ერთია ჭილ-ეტრატის იადგარი, დათარიღებული IX-X საუკუნეებით



და მეორე – IX ს-ში გადანერილი ფსალმუნის ორი ფურცელი.

პაპირუსი შეავიწროვდა და თანდათანობით ხმარებიდან განდევნა პერგამენტმა, თუმცა ის ძველთაგანვე გამოიყენებოდა ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთში. ტერმინი „პერგამენტი“ სემანტიკურად მცირე აზიაში ბერძნების მიერ დაარსებულ ქალაქ პერგამონს უკავშირდება.

პერგამენტი, ქართულად ეტრათი, სხვადასხვა ცხოველის ტყავისგან მზადდებოდა, კერძოდ: თხის, ცხვრის, ხბოს, იშვიათად ანტილოპას ტყავისაგან. ერთ-ერთი ცნობით, ძველად საწერ მასალად „დრაკონის“ (იგულისხმება პითონი) ტყავიც კი გამოუყენებიათ, რომელზეც ოქროს ასოებით ყოფილა დანერილი ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“. განსაკუთრებულად ითვლებოდა ახალშობილი ბატკნისა და ციკნის ტყავი.

ერთ-ერთ ხელნაწერში შემონახულია პერგამენტის დამზადების წესი: ტყავს რეცხავდნენ, გამოჰყავდათ ნაცარტუტში, უმატებდნენ ნახშირ-მჟავა კალიუმს, ასუფთავებდნენ ბენჯისა და მიმხმარი ხორცისაგან, შემდეგ მეორედ რეცხავდნენ, გასაშრობად ჩარჩოზე ჭიმავედნენ, გლისავდნენ ცარცით, რომელიც

ცხიმს იწოვდა და ხეხავდნენ მიწაქაფათი, რათა გლუვი გამხდარიყო.

პაპირუსთან შედარებით პერგამენტი უფრო გამძლე და დრეკადია, არ ტყდება და წერა მეორე მხარეზეც შეიძლება, მაგრამ მისი დამზადება გაცილებით ძვირი ჯდებოდა: ზოგიერთი ხელნაწერის ფასად ქალაქში საცხოვრებელი ბინის შეძენა შეიძლებოდა.

პერგამენტის წიგნებს მარტო შემეცნებითი დანიშნულება არ ჰქონდა. ისინი, ამავდროულად, ხელოვნების ნიმუშები იყო: ხის დაფებისაგან გაკეთებულ ყდაზე ტყავი იჭიმებოდა და ერთმანეთს ტყავისავე თასმებით ან რკინის მავთულებით უკავშირდებოდა. ყდა არცთუ იშვიათად ვერცხლის ჭედურობითა და ძვირფასი ქვებით იყო შემკული; ტექსტებს შორის არაერთ მინიატურას შეხვდებოდა; ამგვარი ხელოვნების ნიმუშებია ქართველი ოქრომქანდაკელების, ბეშქენ და ბექა ოპიზრების (XII ს.) მიერ შესრულებული ბერთისა და წყაროსთავის სახარებათა ვერცხლის ყდების მოჭედილობანი.

ისევე, როგორც პაპირუსი განდევნა ხმარებიდან პერგამენტმა, ამ უკანასკნელის გამოყენება მოგვიანებით შეავიწროვდა მრავალი


ათასწლეულების წინ ჩინეთში გამოგონილმა ქალაქმა. VIII ს-ში მისი დამზადების ტექნოლოგია ქ. სამარყანდში არაბებმა შეისწავლეს. უძველესი არაბული ქალაქის წიგნი 866 წლით თარიღდება.

ქალაქის დამზადების წესი ასეთი იყო: ხის მერქნისაგან მიღებულ მასას მავთულის ბადეზე დებდნენ და აბრტყელებდნენ, ამიტომ ფურცლებს სინათლეზე შესამჩნევი გადამკვეთი ზოლები ატყვია – შვეული და თარაზული. მერქნის მასისთვის წებოდ აღმოსავლეთში კრახმალს იყენებდნენ, დასავლეთში

ხელნაწერი – პომისა, რომელზეც, დღიდან მისი შექმნისა, მრავალი თაობა იზრდებოდა? იქნებ ქალაქზე დაინერა ის და სამწუხაროდ, დროთა ქარტეხილებს ვერ გაუძლო?! ამ კითხვებზე პასუხის მონახვა, ალბათ, მკითხველს უნდა მივანდოთ.

წერისას სხვადასხვა ხელსაწყო გამოიყენებოდა. ტყავის დიდი თხელი ფირფიტა დასახზავად, სვეტებისა და სტრიქონების სწორად ჩასანერად იხმარებოდა. ხაზავდნენ გრიფლით, თიხიანი ფიქალის რბილი ჩხირით; დისტანციის გასაზომად იყენებდნენ ფარგალს. წერდნენ ლექსაში

მელნის დამზადების რამდენიმე წესი არსებობდა. იგი კეთდებოდა მურის, ალუბლის წებოსა და დამწვარი ძვლის, მათ შორის, სპილოს ძვლის ნაზავისაგან; ურევდნენ სხვადასხვა ნაყოფის კურკის, რბილი მერქნის სახეობების ფხვნილს, ზოგჯერ კი მელანთევზას მელნისებრ სითხეს. არაბეთში ჭვარტლს, დამწვარ მცენარეულ ზეთსა და ნავთს გლისავდნენ ერთმანეთში. სამელნეები კეთდებოდა ქვისგან, ცხოველის რქისგან ან ლითონისგან, მათ შორის – ვერცხლისგანაც. ბევრი მათგანი დღემდე შემორჩენილი ჩამხმარი მელნი (IXს.)




– ცხოველთა რქებისა და ჩლიქები-საგან დამზადებულ ჟელატინს.

IX ს-დან ქალაქი ბიზანტიაშიც შემოდის, საიდანაც საქართველოშიც უნდა გავრცელებულიყო. შეიძლება დაისვას კითხვები: რა მასალაზე დაინერა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“? რატომ არ გვაქვს შემონახული დიდი პოეტის

ორმხრივ ნამახვილებული კალმით; იხმარებოდა ფრინველის ფრთაც, რომელიც ასე მზადდებოდა: ბატის, გედის ან ფარშავანგის ფრთას დებდნენ ქვიშაში ან ნაცარში, ამორებდნენ ზედმეტ აკუებს, ასუფთავებდნენ ქონისაგან, ბოლოს კი წვერს უმახვილებდნენ. არაბებმა პირველი ე.წ. მუდმივი კალამიც კი გამოიგონეს, მელნის შიდა რეზერვუარით.

ასე ქმნიდნენ სანერ საშუალებებს შორეულ წარსულში, წერდნენ ტექსტებს, თარგმნიდნენ ნაწარმოებებს, აფორმებდნენ ხელნაწერებს, გადასცემდნენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას თაობებიდან თაობებს.





„არქეოლოგია“

- საინტერესო გაკვეთილი და სასწავლო რესურსი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლებს საგანმანათლებლო პროგრამა შესთავაზა, რომელიც პრაქტიკულ, არქეოლოგიურ აქტივობას გულისხმობს.

წარმოიდგინეთ მცხეთა, სამთავროს არქეოლოგიური ველი და იქ საგანგებოდ მომზადებულ მოედანზე მომუშავე სკოლის მოსწავლეები, რომლებიც სხვადასხვა ეპოქის სამაროვნებს თხრიან. სამაროვნებში წინასწარ ჩალაგებული მასალაა, რომელიც მოსწავლეებმა უნდა „აღმოაჩინონ“ და ნამდვილი არქეოლოგებივით აღწერონ: გაზომონ, აწონონ, ჩაიხატონ, ფოტო გადაუღონ. მათ ზოგიერთ ნივთს იქვე რესტავრაციაც უნდა გაუკეთონ.

ნანა კვიციანი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საგანმანათლებლო და საინფორმაციო სამსახურის უფროსი კოორდინატორი: „აღებული გვაქვს 3 პერიოდი: შუა ბრინჯაოს ხანის მეომრის სახელო-

ბითი სამარხი „კენოლაფი“, სადაც მეომრის ნეშტთან ერთად კერამიკული მასალა და ბრინჯაოს ნივთებია; გვიანი ბრინჯაო – ადრეული რკინის პერიოდის ქალისა და მამაკაცის სამარხები; და ანტიკური ხანის 2 სამარხი. ამ პერიოდის მდიდარი მასალა არსებობს საქართველოში. არჩევანი შევაჩერეთ არმაზისხევის გათხრებისას აღმოჩენილ მასალაზე. ეს არის ასპარუგ პიტიახშის სამარხისა და უშუალოდ სამთავროს ველზე გათხრილი წარჩინებული ქალბატონის მდიდრული სამარხის ექსპონატების მინაბაძები. შევარჩიეთ განსაკუთრებულად სახიერი სამარხები და მინაბაძები რეალურ მასალაზე დაყრდნობით დავამზადეთ“.

ბელა ჩიკურიშვილი



იმიტირებული გათხრების ხანგრძლივობა 120 წუთია. პროგრამას მცხეთის მუზეუმის თანამშრომლები უძღვებიან. დასაწყისში მოსწავლეები ისმენენ ლექციას არქეოლოგიის არსსა და კვლევის მეთოდებზე, იღებენ ინფორმაციას სამთავროს ველის შესახებ, ეცნობიან მცხეთის, როგორც უნიკალური ქალაქის არქეოლოგიის ისტორიას. არქეოლოგები ანზორ სიხარულიძე და ედუარდ გავაშელი მათ დაკრძალვის ქრისტიანობამდელი წესების შესახებ უყვებიან. ისინი საუბრობენ სამთავროს ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზეც, სადაც პურის საცხობი ღუმელები და სამსხვერპლო საკურთხეველია შემორჩენილი. აქვე აღმოჩენილია მზის ტაძრის ნაშთებიც.

შემდეგი ეტაპი, რაც მოსწავლეებს განსაკუთრებით მოსწონთ, უშუალოდ გათხრებია. მათ ურიგდებათ იარაღი – მარტივი ნიჩბები, შპატელები და საზომი ხელსაწყოები. მოსწავლეებს უხსნიან, რომ ჰორიზონტალურად უნდა თხარონ და ორმოები არ გააკეთონ. მათ იმასაც ასწავლიან, რომ ნამდვილ ექსპედიციაში ამოღებულ მინას ცრიან.

შემდეგ მოსწავლეთა თვალწინ თანდათან ჩნდება ჩონჩხები და მათი ყრიაშული მთელ ველს აყრუებს. როგორც ნამდვილ არქეოლოგებს, მათაც ეძლევათ სავსე დღიური, სადაც მონაცემები უნდა შეიტანონ და სამარხის ტიპი აღნიშნონ. როდესაც ისინი აღმოჩენილ ნივთებს მაგიდაზე გადაიტანენ, „ეპოქის განსაზღვრის“ დრო დგება.

პროგრამა 9 ოქტომბერს დაიწყო. ის თვის ბოლოს დასრულდება და საგაზაფხულო სეზონზე ისევ განახლდება. იგი რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფზეა გათვლილი: IV-VI და VII-XI კლასელებზე. გათხრების იმიტაცია ცხესაბამისი სირთულით ხდება.

ნანა კვიციანი: „პროგრამაში ბევრი საგნის ინტერესი იყრის თავს. მოსწავლეები ხედავენ, რომ არქეოლოგია მხოლოდ თხრა არ არის, საჭიროა, იცოდნენ ისტორია, ლიტერატურა, გეოგრაფია, ელემენტარული გეომეტრია, ბიოლოგია.

ბავშვებს ვუხსნით, რომ ამოღებულ მასალას ქიმიური ანალიზი უტარდება. ისინი უფიქრდებიან ყოველ დეტალს და ამით თვალსაწიერს იფართოებენ“.

სკოლებში ამ პროექტის ორგანიზებას საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა ასოციაცია ახორციელებს. როგორც მისი ვიცე-პრეზიდენტი და „ევროპული სკოლის“ პედაგოგი მანანა შეყილაძე გვიხსნის, როდესაც პროგრამის ორგანიზატორები ამ „თამაშს“ იწყებდნენ, იგი უქმე დღეებსა და არდადეგებზე ჰქონდათ გათვლილი. სკოლების მხრიდან მოთხოვნა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ სამთავროს ველის სამაროვანს, ორშაბათის გარდა, ყოველ დღე უნევს მოსწავლეთა მიღება. დღეს „არქეოლოგობანას“ მთელი საქართველო თამაშობს. პირველი, ვინც გათხრებში მონაწილეობა მიიღო, ახალციხის მე-6 და ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლები იყვნენ. სამთავროს ველზე, მცხეთისა და თბილისის სკოლების მოსწავლეების გარდა, აქტიურად დადიან რუსთაველი და თელაველი მოზარდებიც. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო სამაჩაბლოდან დევნილ მოსწავლეთა ჯგუფმაც ნეროვანის სკოლიდან.

გამოცდილ არქეოლოგებს მოსწავლეთა დაკვალიანებაში მუზეუმის თანამშრომლები ეკა კურტანიძე და მაია ნიკლაური ეხმარებიან. მცხეთის მუზეუმის დირექტორს ნიკოლოზ მაისურაშვილს და მის მოადგილეს ბესო გარსევანიშვილს კი ხელში ნიჩბები უჭირავთ და ისინიც ბავშვებთან ერთად თხრიან.

პროგრამის შემდეგი ეტაპი მოსწავლეთა კონფერენციაა: „არქეოლოგობანა“ ხომ მხოლოდ ერთი დღის თამაში არ არის. სააგენტომ მოამზადა სლაიდები, სადაც სამთავროს ველის სამაროვნების შესახებ ყველა მონაცემია. მასალები პედაგოგებს გადაეცემათ შიდა სასკოლო კონფერენციის მოსამზადებლად, რასაც მოჰყვება მოსწავლეთა კონფერენცია საქართველოს მასშტაბით, ხოლო


გამარჯვებული ბავშვები მონაწილეობას მიიღებენ ნამდვილ არქეოლოგიურ ექსპედიციაში გონიოში ან ნოქალაქეში. ისტორიის მასწავლებელთა ასოციაცია ამისათვის ცალკე სასწავლო პროგრამას ამზადებს, სადაც გათვალისწინებულია გაკვეთილები ისტორიაში, გეოგრაფიაში, ფოლკლორში. მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ არქეოლოგიურ გათხრებსა და სახალისო ექსკურსიებში.

მანანა შეყილაძე, საქართველოს

ისტორიკოსთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი:
„პროგრამამ გასვლითი გაკვეთილის ფორმა მიიღო. მე-10 კლასში მოსწავლეები გადიან ისტორიის დამხმარე დიციპლინებს, მათ შორის, არქეოლოგიას და პროგრამით „ნორჩი არქეოლოგი“ ისინი, პრაქტიკულად, პირადად შეეხებიან ამ დარგს. ველზე გაკვეთილების ჩატარებამ დაგვანახა, რა სჭირდებათ ბავშვებს, რა აინტერესებთ. ინტერესი წარმოუდგენლად დიდია. ამ „ექსპედიციის“ მერე ბევრს ამ პროფესიის არჩევის სურვილი გაუჩნდა. ისინი კითხულობენ ლიტერატურას, ეცნობიან მასალებს. დეკემბერში მოხდება პედაგოგების მიერ პროგრამის შეფასება და ამ სეზონის შეჯამება. პროგრამაში დაახლოებით ოცდაათმა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა. შევაფასებთ ასაკობრივად, კლასების მიხედვით: რა მოგვცა ამ პროგრამამ კონკრეტულად. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.

მასწავლებლები აღფრთოვანებით აღნიშნავენ, რომ გათხრებში მონაწილეობის შემდეგ მოსწავლეები ისტორიით უფრო მეტად დაინტერესდნენ. ისინი ზოგიერთი უფროს-კლასელისგან – ე.წ რთული ბავშვებისგან ამას არ ელოდნენ. ვინც ამ „რთულ ბავშვებს“ ინტერესების ნაკლებობასა და კომპიუტერული თამაშებით გატაცებას საყვედურობს, დროა, იმ ალტერნატიულ პროექტებზე დაფიქრდეს, რომლებიც მათ წიგნისა და ფიქრისკენ შემოაბრუნებთ. ფაქტია, „არქეოლოგობანამ“ გაამართლა.





სწავლის უნარის დარღვევა

სწავლის უნარის დარღვევა ნერვული სისტემის დისფუნქციით განპირობებული შეზღუდვაა, რომელიც მოქმედებს ადამიანის ტვინის შესაძლებლობაზე, აღიქვას, გაიაზროს, დაიმახსოვროს და გადასცეს ინფორმაცია. ის შეიძლება განიმარტოს, როგორც სხვაობა პიროვნების ინტელექტსა და მისი ასაკისათვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს შორის.



თათია ვაჭკორია

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეები, ზოგ შემთხვევაში, ამა თუ იმ უნარ-ჩვევას თანდათან გამოიმუშავენ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგჯერ საქმე გვაქვს არა სწავლის უნარის დარღვევასთან, არამედ დაგვიანებულ მომნიჭებასთან. სწავლის უნარის დარღვევა შეიძლება გამოვლინდეს სხვა დარღვევებთან ერთად (ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი, დისლექსია და სხვ.)

არ არის ცნობილი წამალი ან საშუალება, რომელიც სწავლის უნარის დარღვევას კურნავს, თუმცა მისი შემსუბუქება შესაძლებელია მართებული სასწავლო სტრატეგიების, სასწავლო მასალის წარდგენის ან სასწავლო აქტივობების განხორციელების სხვადასხვა გზისა და ხერხის გამოყენებით (იხ. ინკლუზიური განათლება – სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება, 2010. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი).

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებში უმთავრესად კითხვის, წერისა და მათემატიკური

უნარების განვითარება ფერხდება. ინფორმაციის შენახვა, გადამუშავება და ახალი ინფორმაციის წარმოება მათთვის სირთულეს წარმოადგენს. მოსწავლეებს უჭირთ დავალებების თანმიმდევრულად შესრულება და ბოლომდე მიყვანა. მათ, უმეტესწილად, სუსტი ორგანიზაციული უნარ-ჩვევები და აბსტრაქტული აზროვნებისკენ მიდრეკილება აღენიშნებათ. ისინი ვერ ახერხებენ პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრას.

იმპულსური ქცევა, გაუაზრებელი მოქმედება, უყურადღებობა სწავლის უნარის დარღვევის თანმხლები სირთულეებია. ასეთ მოსწავლეებს ხშირად უჭირთ კითხვის სწავლა, მაშინაც კი, როდესაც წინადადებაში ყველა ასოს სცნობენ. მათ წაკითხულის გაგებაც უძნელდებათ. ზოგადად, რაც უფრო მეტად მოტივირებულნი არიან მოსწავლეები, მით უკეთესია მათი სწავლის ხარისხი.

სწავლის უნარის დარღვევის სიმპტომები:

აკადემიური სიმპტომები – სირთულეები კითხვისა და წერის



არ არის ცნობილი წამალი ან საშუალება, რომელიც სწავლის უნარის დარღვევას კურნავს, თუმცა მისი შემსუბუქება შესაძლებელია მართებული სასწავლო სტრატეგიების, სასწავლო მასალის წარდგენის ან სასწავლო აქტივობების განხორციელების სხვადასხვა გზისა და ხერხის გამოყენებით. “



პროცესში, დავალების შესრულების თანმიმდევრობის დაცვასა და სამუშაოს დასრულებაში;

შემეცნებითი სიმპტომები – სირთულეები დროის აღქმაში, სუსტი ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, პრობლემების გადაჭრის სირთულე;

ფიზიკური სიმპტომები – ზოგადი მოუქნელობა, სუსტი ვიზუალურ-მოტორული კოორდინაცია, ჰიპერაქტიურობა, ზედმეტი აღგზნებადობა, ყურადღების კონცენტრაციის ნაკლებობა;


ქცევითი სიმპტომები – იმპულსური ქცევა, გაუაზრებელი მოქმედება, ჯგუფური თამაშის დროს ზედმეტი აღგზნებულობა, გრძნობების გადაჭარბებული გამოვლენა, სიტუაციისათვის შეუფერებელი საქციელი, ზედმეტი მიმნდობლობა, ხასიათის რადიკალური ცვლებადობა, სირთულეები გარემოსთან შეგუებასა და გადანყვეტილების მიღებაში.

რჩევები მასწავლებელს:

- დაეყოთ დავალება სეგმენტებად ან მცირე დავალებებად;
- გაკვეთილის დაწყებამდე ზოგადად მიმოვიხილოთ გაკვეთილის თემა;
- ახალ მასალაზე გადასვლამდე წინა გაკვეთილის თემაზე ვისაუბროთ, რაც მოსწავლეს წინა გაკვეთილზე მიღებული ცოდნის განმტკიცებაში დაეხმარება;
- ხაზგასმით გამოვყოთ ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი;
- მასალის ახსნის პროცესში დავეხმარებოთ მოსწავლეს კითხვებით;
- საშინაო დავალების შესასრულებლად მივცეთ მას მკაფიო და გამოკვეთილი მითითებები;
- მოსწავლეს დავალების შესრულებამდე ვკითხოთ, თუ როგორ გეგმავს ამ დავალების შესრულებას;
- მივცეთ მას ისეთი დავალება, რომლის შესრულებასაც შეძლებს;

- გავზარდოთ დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო;
- შევამციროთ დავალების ან ტესტის მოცულობა;
- განვსაზღვროთ საშინაო დავალების უმთავრესი საკითხები და შესრულების ეტაპები;
- თუ ვხედავთ, რომ მოსწავლისათვის დავალება ძალიან რთულია, შევცვალოთ დავალება;
- დავსვათ მოსწავლე ისეთ ადგილას, სადაც ყურადღება ნაკლებად გაეფანტება;
- მოსწავლის სამუშაო არე გავათავისუფლოთ ზედმეტი ნივთებისაგან;
- მივცეთ მას მოძრაობის, ზოგჯერ კი საკლასო ოთახში გადაადგილების საშუალება;
- შევანაცვლოთ მუშაობისა და შესვენების ინტერვალები;
- მივცეთ მას მოკლე, საკითხთან პირდაპირ დაკავშირებული მითითებები;
- ვეცადოთ, ნაკლებად გამოვიყენოთ მეტაფორები და იდიომები, დავაკონკრეტოთ სათქმელი;
- გაკვეთილის დასაწყისშივე გავაცნოთ მოსწავლეს ის ახალი სიტყვები, რომლებიც ახალ მასალაში შეხვდება;
- ყოველთვის ვეცადოთ, ახალი მასალა თვალნათლივ დავეუკავშიროთ განვლილ მასალას;
- გამოვიყენოთ ნახალისებისა და დაჯილდოების მეთოდი;
- წავახალისოთ თანატოლების მიერ სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლის დახმარება, რომელიც არა უპირატესობის, არამედ თანამშრომლობის პრინციპს დაეფუძნება.





გაცოცხლებული ქართული თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმი

მიხეილ ზიჩი საქართველოში სიყვარულის დიდი ისტორიის – „ვეფხისტყაოსნის“ დასახატად ჩამოვიდა. სწორედ, აქედან დაიწყო „სიყვარულის სასახლის“ უკვე მითად ქცეული რეალობაც... აგრავინე ჯაფარიძე-დადიანის სილამაზით მოხიბლულმა უნგრელმა მხატვარმა ქართველ ქალბატონს სთხოვა, ნესტან-დარეჯანის სახის დახატვისას მისი მენატრე ყოფილიყო. ქალი დათანხმდა. იმ დროს, როდესაც მხატვარს ქალის სახე მოლბერტზე გადაჰქონდა, ის გერმანელ პრინცს, ოდენბურგს დაუნახავს. სტუმარს ქართველი ქალი ერთი ნახვით შეჰყვარებია. პრინცმა სიყვარულის დასამტკიცებლად აგრავინე ჯაფარიძე-დადიანს თბილისში სასახლე აუშენა. ქალი უცხოელი სატრფოს თავდადებას მოხიბლა და შეყვარებული წყვილი სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერად ცხოვრობდა იმ სასახლეში, რომელსაც დღესაც „სიყვარულის სასახლეს“ უწოდებენ.

თამუნა კაციტაძე

თბილისში, კარგარეთელის №6-ში მდებარე სასახლის ისტორია ალბათ არც ისე ბევრმა იცის. ასევე ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ „სიყვარულის სასახლეში“ დღეს ქართული თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმი და იქ დიდი ქართველი მოღვაწეების ისტორია ცოცხლდება.

ამ მუზეუმის ფონდებში დაცული ფოტოები თუ ხელნაწერები, ნახატები თუ ესკიზები, კოსტიუმები თუ

აქსესუარები ეკრანზე ცოცხლდება – ეს ქართული სამუზეუმო რეალობისთვის მართლაც ახალია. თუმცა ჯერ თავად მუზეუმზე მოგიყვებით.

1895 წელს აგებული ოდენბურგის სასახლე 1927 წელს მუზეუმად გადაკეთდა. მასში ქართული კინოს,

თეატრის, მუსიკის, ქორეოგრაფიისა და სახვითი ხელოვნების უნიკალური ნიმუშებია დაცული. ასეთი მუზეუმი არათუ საქართველოში, ამიერკავკასიაშიც ერთადერთია.

„ორი წლის წინ, როდესაც მუზეუმში ახალი ადმინისტრაცია მოვიდა, ის ორი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: ერთი, რომ შენობას ფიზიკური განადგურება ემუქრებოდა და მეორე – მუზეუმის შესახებ არ არსებობდა ინფორმაცია. ამიტომ, მიზნად დავისახეთ მისი აბსოლუტურად შეცვლა – არა მარტო ტექნიკური კუთხით, რაც გულისხმობს შენობის აღდგენას, ფონდების



გაჯანსაღებასა და სამუზეუმე პირობების შექმნას. გვინდოდა, დამოკიდებულება შეგვეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმს აქვს საცავები, მჭიდროდ დახურული კარები, ჩვენი აზრით, ის საზოგადოებისთვის ბოლომდე გახსნილი უნდა იყოს, რადგან ის, რაც აქ არის დაცული, ხალხის საკუთრებაა. ჩვენი სურვილია, ნებისმიერ დამთვალიერებელს, განსაკუთრებით, ახალგაზრდობას მიუწვდებოდეს ხელი ამ სიმდიდრეზე. წარსულის ფასეულობები, რომლებზეც მომავალი თაობა უნდა აღიზარდოს, მათ მხოლოდ და მხოლოდ მუზეუმში შეიძლება ნახონ. სწორედ მუზეუმია არა უბრალოდ ნივთების, არამედ ტრადიციებისა და ფასეულობების შემნახველი და გადამრჩენი ადგილი“;

– ამბობს მუზეუმის დირექტორი **გიორგი კალანდია**.

ქართული კინოს, მუსიკის, თეატრისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდში, სოლომონ მეორის 1806 წლით დათარიღებულ გრაგნილთან ერთად, მრავალი შემოქმედის პირადი არქივია დაცული. თაროებზე შემონახობილ ასობით საქალაქო ცნობილი ადამიანების ფოტოები, პირადი წერილები, მემუარები და ზოგჯერ მათი სამედიცინო ცნობებიც კი ინახება. აქ არის გიორგი ერისთავის ხელნაწერი პიესა „ვეფხისტყაოსანი“, თენგიზ აბულაძისადმი გამოგზავნილი ფელინის წერილი, 1861 წლით დათარიღებული პირველი იტალიური ოპერის პროგრამები და კიდევ ვინ მოთვლის, ამ ფონდში რამდენი გახმაურებული თუ გაუხმაურებელი ისტორია ინახება.

მუზეუმის ბიბლიოთეკაში დამთვალიერებელი ნახავს უძველეს

ბიბლიასა და ყურანს, ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ერთობლივი თარგმანის – „მეფე ლირის“ პირველ გამოცემას და სხვა რარიტეტებს. როგორც თანამშრომლები გვიხსნიან, მსურველს შეუძლია სამკითხველო დარბაზში ნებისმიერ დროს წაიკითხოს იქ დაცული წიგნები. თურმე არც ერთ ბიბლიოთეკაში არ არის იმდენი ლიტერატურა თეატრზე, კინოზე, ქორეოგრაფიაზე, რამდენიც ამ მუზეუმშია.

ფოტო-ფონდი ინახავს როინიშვილის დროინდელ თბილისის ხედებს, პირველი ქართული მხატვრული ფილმის, „ქრისტინეს“ გადაღებიდან დაწყებული, თითქმის ყველა ქართული ფილმის გადაღების პროცესის ამსახველ ფოტოებს. ამ მუზეუმმა შემოგვინახა 1937 წელში რეპრესირებული რეჟისორების სპექტაკლების მინის ნეგატივებიც.

ქართული კინოს, მუსიკის, თეატრისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის უძვირფასესი განძია ანტიკური ნიღაბი, რომელიც ვანის გათხრების დროს არის აღმოჩენილი. იგი ვახტანგ ჭაბუკიანის, ნინო სუხიშვილის, მედეა ჯაფარიძის, ნინო ანანიაშვილის და სხვა ცნობილი მსახიობებისა თუ მუსიკოსების კოსტიუმების გვერდით ინახება.

„ჩვენი სურვილი და მიზანია, მუზეუმით მომავალი თაობა, ახალგაზრდობა დაინტერესდეს. ამიტომ, გადავწყვიტეთ, მოსწავლეებს მუზეუმში დაცული ექსპონატები არა უბრალოდ ვაჩვენოთ და მათზე ინფორმაცია ლექციების სახით მივაწოდოთ, არამედ ისინი გავაცოცხლოთ, ავაშრობოთ და ფილმის სახით წარმოვუდგინოთ. პირველი პროექტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რუსთაველის ფონდის დახმარებით განვახორციელეთ. მუზეუმში

მოსულ მოსწავლეებს საგამოფენო დარბაზის აუდიტორიაში ვაჩვენებთ ფილმებს. ასევე ვათვალიერებინებთ იმ საგანძურს, რომელიც ჩვენს მუზეუმშია დაცული“;


– გვიხსნის მუზეუმის დირექტორი, რომელიც თავად არის რამდენიმე ფილმის ავტორი.

ამჟამად მუზეუმის დამაარსებლის, დავით არსენიშვილის ბიოგრაფიული ფილმი მზადდება, რომელიც ამავდროულად, მუზეუმის შექმნის ისტორიასაც გვაცნობს.

სიახლეები, რომლებიც მოსწავლეებსა და მასწავლებლებზეა გათვლილი, ამით არ მთავრდება. როგორც მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გვითხრა, ამჟამად კიდევ რამდენიმე პროექტზე მუშაობენ.

მომავალ წელს იგეგმება ახალი პროექტის, „მუზეუმის ზღაპრის“ ამოქმედება. მუზეუმში მოსული მოსწავლეები „სიყვარულის სასახლის“ დათვალიერებას მინისქვეშა სართულებიდან დაიწყებენ. მათ გიდი მოუყვება იმ ცხოვრების წესზე, იმ ტრადიციებზე, რომლებითაც მაშინდელი ეპოქა გამოირჩეოდა. დათვალიერების დროს ის ბავშვებს შემოქმედთა თავისებურებებსაც აუხსნის, მაგალითად, მოუყვება იმის შესახებ, თუ რა მანერით ხატავდა გუდიაშვილი, უმთავრესად რას ხატავდა ახვლედიანი, რა საიდუმლოება ჰქონდა ოცხელს და ა.შ. შემდეგ ბავშვებს შეიყვანენ საგამოფენო დარბაზში, სადაც ამ მხატვრების ნამუშევრები იქნება მოთავსებული, მაგრამ წარწერების გარეშე. ავტორების სახელები ცალკე იქნება





უკრაინული სკოლა

თბილისში

„ყველას საქართველოს სიყვარული გვაერთიანებს. ჩვენი ამოცანაა, ამ ქვეყანას სრულფასოვანი მოქალაქეები გავუზარდოთ,“ – ამბობს თბილისის 41-ე უკრაინული საჯარო სკოლის დირექტორი ანა მატვეევა. სკოლა უკრაინის პირველი პრეზიდენტის, მიხეილ გრუშევსკის სახელს ატარებს, რომელმაც მე-19 საუკუნის ბოლოს განათლება თბილისის პირველ კლასიკურ გინაზიაში მიიღო.

ბელა ჩეკურიშვილი

უკრაინული სკოლა თბილისში 1999 წელს გაიხსნა უკრაინული დიასპორის ინიციატივით. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების სურვილს მხარი საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებმა დაუჭირეს. თავიდან სკოლას 13 მოსწავლე ჰყავდა. დღეს კი აქ 200 მოსწავლე სწავლობს. უკრაინის პრემიერ-მინისტრმა სკოლაში სტუმრობისას აღნიშნა,


რომ ეს ის ადგილია, სადაც მომავალი დიპლომატები იზრდებიან.

მიხეილ გრუშევსკის სახელობის 41-ე საჯარო სკოლის დირექტორი ანა მატვეევა: „10 წლის მანძილზე ორი გამოშვება გვქონდა, შედეგები კი ასეთია: გასულ წელს 36 მოსწავლიდან 34-მა უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა, წელს კი

100%-იანი ჩარიცხვა გვაქვს თბილისისა და უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებში. შეიძლება ამ წარმატებისთვის ვერ მიგვეღწია, პროფესიონალები რომ არ შეგვეკრიბა. ეს გზა იოლი არ იყო. პირველ რიგში, სკოლის მიზნები და ამოცანები უნდა განგვესაზღვრა. სკოლის ამოცანას მშობლიური ენის აღორძინება წარმოადგენდა, მაგრამ მივხვდით, რომ მოსწავლეთა მომავლისათვის სახელმწიფო ენის სწავლება აუცილებელი იყო. 2000 წელს, ანუ

მეორე წელსვე დავიწყეთ ქართული ენის სწავლება. სკოლის კონტინგენტი შერეული ოჯახების შვილებისგან, ორენოვანი ბავშვებისგან შედგება. დროთა განმავლობაში სასწავლო პროცესს ინგლისურიც დაეუმატეთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა რუსული ენაც იციან. ისინი სახლში ამ ენაზეც საუბრობენ. ასე რომ, სკოლაში ოთხი ენა ისმის. მოსწავლეთა უმრავლესობა ქართულ გვარს ატარებს, დიდ ნაწილს დედა ჰყავს უკრაინელი, თუმცა ჩვენთან ათი ეროვნების წარმომადგენლები სწავლობენ“.

გავლის შემდეგ კი სერტიფიცირებისთვის ემზადებთან. 10 მასწავლებელი უკრაინულენოვანია, 13-თვის ქართული მშობლიური ენაა. ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი ეკა დანელია უკრაინის ჩერნიგოვის აკადემიის კურსდამთავრებულია. ის სოხუმიდან გემით წაიყვანეს უკრაინაში, როდესაც 16 წლის იყო და როგორც მისი კოლეგები აღნიშნავენ, ახლა საუკეთესო სპეციალისტია. ეკატერინა სმაგლი სკოლაში უკრაინულ ენას ასწავლის. ის საქართველოში 7 წლის ასაკიდან ცხოვრობს. მას ქართველი მეუღლე ჰყავს და საქართველო თავის სამშობლოდ მიაჩნია. მისი აზრით, მთავარი პრობლემა სახელმძღვანელოებია, რომლებიც უკრაინიდან ჩამოდის და უკრაინული სკოლებისათვის არის შედგენილი.



სკოლაში 23 პედაგოგია. მათი უმრავლესობა უკრაინიდან ჩამოვიდა და საქართველოში დაოჯახდა. ჩვენი ქვეყანა მათთვის მეორე სამშობლოა. ისინი აქტიურად ჩაებნენ განათლების სისტემის რეფორმაში, ტრენინგების გავლის შემდეგ კი სერტიფიცირებისთვის ემზადებთან.


ეკატერინა სმაგლი: „ჩვენი ამ სახელმძღვანელოების ადაპტირება და დამუშავება გვიწევს, მაგრამ პროგრამა მაინც რთულია. საჭიროა ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც უცხოეთში მცხოვრები უკრაინელი მოსწავლეებისთვის იქნება განკუთვნილი, იმ ქვეყნის ენობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. უკრაინელმა პროფესორმა ოლგა ხარაშკოვსკაიამ, თავის დროზე, ასეთი სახელმძღვანელო შეადგინა პოლონეთსა და რუმინეთში მცხოვრები უკრაინელებისათვის. მსგავსი სახელმძღვანელოს შექმნა ჩვენთვისაც კარგი იქნებოდა.“

უკრაინული სკოლები მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც არის. კანადაში, სადაც უკრაინული დიასპორა 2 მილიონზე მეტია, რამდენიმე სახელმწიფო სკოლა ფუნქციონირებს. მხოლოდ ტორონტოში 6 სკოლაა. უკრაინული სკოლა გახსნილია რიგაშიც. თბილისის სკოლა თანამშრომლობს ყველა ასეთ სკოლასთან ავსტრალიაში, თურქეთში, კანადაში, ლატვიაში.

ჩვენს სკოლაში დადიან არა მხოლოდ უკრაინელი, არამედ სხვადასხვა ეროვნების ბავშვები, რომლებთანაც ანბანიდან არის საჭირო მუშაობის დაწყება. მოსწავლეებს, სკოლის გარდა, უკრაინულ ენაზე სალაპარაკო გარემო ნაკლებად აქვთ. ისინი ლექსიკური მარაგის შევსებას ცდილობენ ინტერნეტით, საკაბელო ტელეარხებით. ძალიან კარგი იქნებოდა ქართულ-უკრაინული

სკოლაში 23 პედაგოგია. მათი უმრავლესობა უკრაინიდან ჩამოვიდა და საქართველოში დაოჯახდა. ჩვენი ქვეყანა მათთვის მეორე სამშობლოა. ისინი აქტიურად ჩაებნენ განათლების სისტემის რეფორმაში, ტრენინგების





ლექსიკონის გამოშვება. ეს ჩვენი ძალებით, სამოყვარულო დონეზე გავაკეთეთ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სლავისტიკის კათედრის პროფესორს ოთარ ბაქანიძეს კი უკვე მრავალი წელია, გამზადებული აქვს ქართულ-უკრაინული ლექსიკონი, 8 ათასი სიტყვით. ამგვარი ლექსიკონის გამოცემა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩვენი სკოლის, არამედ ზოგადად, ქართულ-უკრაინული ურთიერთობისთვის. ჩვენს სკოლაში მოდიან ზრდასრული ადამიანებიც, რომლებიც გვთხოვენ, დავეხმაროთ უკრაინული ენის შესწავლაში, რადგან უკრაინაში აპირებენ წასვლას სამუშაოდ თუ საცხოვრებლად. ბევრი მათგანი ერთ წელიწადში ისე ითვისებს ენას, რომ იქ გამოცდებ-საც აბარებს“.

ქართული და უკრაინული ენების სწავლებისას გაჩენილ პრობლემებს სკოლა ადაპტირებული კლასების შექმნით აგვარებს. ბევრია უცხოე-

თიდან ჩამოსული მოსწავლე, რომელმაც ქართული ენა არ იცის. როგორც ქართული ენის მასწავლებელი თამარ გიგაური გვისხნის, ასეთ მოსწავლეებს ფაკულტატურად ასწავლიან სალაპარაკო ენას და ისინი ეტაპობრივად გადადიან პროგრამაზე. თბილისის სკოლამ ამგვარი გამოცდილება ავსტრალიისა და კანადის სკოლებიდან გადმოიღო.

თამარ გიგაური: „ქართული ენის პროგრამა აბსოლუტურად შეესაბამება საჯარო სკოლების ეროვნულ პროგრამას. ჩვენი მოსწავლეები ისევე იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ლიტერატურულ ღონისძიებაში, როგორც თბილისის სხვა სკოლების ბავშვები. მივიღეთ მონაწილეობა აკაკი წერეთლის კვირეულში, სკოლა „ოლიმპის“ ინიციატივით გამართულ მიხეილ ჯავახიშვილის კონკურსში, სასკოლო ოლიმპიადაში და ა.შ“.

სკოლა მუდმივად მონაწილეობს საერთაშორისო კონკურსებში.

ინგლისურ ენაზე ჩატარებულ კავკასიის ეკოტურნირში უკრაინული სკოლის მოსწავლეებმა მე-2 ადგილი დაიკავეს. სკოლის სამოყვარულო თეატრი „სონიაშნიკი“, ქართულად „მზესუმზირა“, უკრაინაშიც ცნობილია. ამ ქვეყნის მკვიდრმა ქართველმა პოეტმა რაულ ჩილაჩავამ დიასპორების ფესტივალზე აღნიშნა, სცენაზე უკრაინული ენა ქართული ტემპერამენტით ყლერდაო.

უკრაინული სკოლა თბილისის 98-ე, 56-ე და 57-ე სკოლებთან ერთად სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს ხშირად მართავს. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა კი მას პირველ გიმნაზიასთან აქვს, სადაც მიხაილ გრუშევსკის მუზეუმია მოწყობილი.

თბილისის 41-ე ქართულ-უკრაინული საჯარო სკოლა კიევ-მოგელანსკის აკადემიის წევრია.



მოსწავლეები წიგნებს უნდა დაკუბრუნონ

ცოტა ხნის წინ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლიდან წერილი მიიღო. ის, ძირითადად, წიგნისადმი მოზარდი თაობის გულგრილ დამოკიდებულებას ეხებოდა. დიდი ხანია, 23 აპრილი იუნესკომ წიგნის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის რუსული ენის პედაგოგმა, ლალი აბაშიძემ კი გადაწყვიტა, რომ ამ დღეს ყოველწლიურად მოეწყო ღონისძიებები, რათა მოსწავლეებში წიგნიერების დონე აემაღლებინა. პირველი ღონისძიება „უნდა ავმალდე წიგნით“ წელს, 23 აპრილს მოეწყო. გამომცემლობებმა, მწერლებმა, მთარგმნელებმა, უბრალო მოქალაქეებმა სკოლის ბიბლიოთეკას სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ლიტერატურა აჩუქეს – როგორც მხატვრული, ისე ენციკლოპედიური. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა 200-ზე მეტი დასახელების წიგნით გამდიდრდა. მომავალ აპრილს დაგეგმილია ღონისძიება „მე, დედა და მამა ბიბლიოთეკის მკითხველები ვართ“, რომელიც ბავშვების წიგნიერების დონის ამაღლებაში მშობლების ჩართულობას გულისხმობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა საკუთარი ბიუჯეტიდან ეხმარება სოციალურად დაუცველ ბავშვებს და მათ ყოველწლიურად ჩუქნის სახელმძღვანელოებს.

თამარ შველიძე



სკოლაში სტუმრობისას პირველად სკოლის ბიბლიოთეკა დავათვალიერეთ – ნაჩუქარი წიგნების უმრავლესობა მოსწავლეებს გაეტანათ. ბიბლიოთეკის შესასვლელშივე დეკურსელის ციტატა შევნიშნეთ: „წიგნი არის ჭურჭელი, რომელიც ჩვენ გვაესებს, მაგრამ თვითონ არ იცლება“. როგორც ბავშვებმა აღნიშნეს, მას შემდეგ, რაც ახალ წიგნებს ეზიარნენ, მიხვდნენ, რომ ეს „სავსე ჭურჭელი“ მათ ოჯახებში მნიშვნელოვანი ნივთია.


ლალი აბაშიძე, დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი, ღონისძიების ინიციატორი:

– დღეს ბავშვი წიგნს აღარ კითხულობს, რაც, ალბათ, კომპიუტერის ფართოდ დანერგვამ განაპირობა. თუმცა კომპიუტერსაც აქვს დადებითი მხარე: ადრე საჭირო მასალის მოსაძიებლად დიდი დრო მჭირდებოდა, ახლა კი, ინტერნეტის მეშვეობით, ნებისმიერი ინფორმაციის მოძიება მოკლე დროში შემოიძლია. მეორე მხრივ, ამ ყველაფერმა ბავშვი წიგნს დააშორა. ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკას საკმაოდ მწირი ლიტერატურა ჰქონდა. ადრე კატალონიში, სერვანტესის გარდაცვალების დღის აღსანიშნავად, მამაკაცები ქალებს ვარდებს ჩუქნიდნენ, მანდილოსნები კი საპასუხოდ – წიგნებს. იუნესკოს მიერ ეს დღე წიგნის საერთაშორისო დღედაა გამოცხა-

დებული და გადაწყვიტე, სწორედ ამ დღეს ჩამეტარებინა ღონისძიება „უნდა ავმალდე წიგნით“. მწერლებს, ორგანიზაციებს, გამომცემლებს მივმართეთ თხოვნით, მობრძანებულიყვნენ და თან თითო წიგნი ერუქებინათ ჩვენი ბიბლიოთეკისთვის. ჩვენს ინიციატივას ბევრი გამოეხმაურა. საჩხერის რაიონიდან გვესტუმრა ქალის საჯარო სკოლის დირექტორი არჩილ აბაშიძე ბავშვებთან ერთად და წიგნებით დაგვასაჩუქრა. ასევე, ჩვენი რაიონის №2 საჯარო სკოლამ და ბოდბის სკოლა-ინტერნატმაც გვაჩუქა წიგნები. ამ ღონისძიების შედეგად 200-ზე მეტი ახალი წიგნი შეემატა ჩვენს ბიბლიოთეკას. მოგესხენებათ, საქმეს მხოლოდ ლიტერატურის შეძენა არ შევლის. მთავარია შედეგი, ანუ წიგნებით ბავშვების დაინტერესება. მეცხრე კლასის დამრიგებელი ვარ და კლასში ბავშვებს ახალი წიგნების სია გამოვუყარე, რათა მათში ინტერესი გამეჩინა.

რა მისცა სკოლას ამ ღონისძიებამ? რამდენად ამაღლდა მოსწავლეებში წიგნიერების დონე?

– ტყუილს ნამდვილად ვერ გეტყვით: 100%-იან შედეგზე ვერ გავდივით, თუმცა ახალი წიგნებით ბევრი ბავშვი დაინტერესდა. იცით რა, 5 ბავშვიც რომ დაინტერესდეს, ეს უკვე შედე-



ლალი აბაშიძე

გია. ნელან მოგახსენეთ, რომ ბიბლიოთეკას მწირი ლიტერატურა ჰქონდა, თუმცა ბავშვები არც იმ წიგნებს კითხულობდნენ, რაც ბიბლიოთეკის ფონდში იყო. სხვათა შორის, 23 აპრილს ჩვენი სკოლის მოსწავლეებმაც წამოიღეს სახლიდან წიგნები და ბიბლიოთეკას აჩუქეს. ღონისძიებას შედეგი წამდვილად ჰქონდა. ოღონდ ამ ყველაფერმა სისტემატური ხასიათი უნდა მიიღოს – თუ ერთჯერადი იქნება, არაფერი გამოვა.

როგორ ახერხებთ ბავშვების წიგნით დაინტერესებას?

– საკმაოდ საინტერესო მიდგომები გვაქვს, მაგალითად, ე.წ. „შუქნიშნის“ პრინციპი: წითელი – შეჩერდი, წაიკითხე, ყვითელი – მოემზადე და მწვანე – გასწი! ანუ ჯერ წაიკითხოთ წიგნი, მერე გავიღრმავოთ წაკითხული და ბოლოს ცოდნა სხვასაც გადავცეთ.

მომავალ 23 აპრილს თუ აპირებთ ახალი ღონისძიების ჩატარებას და რა ფორმით?

– ეს ღონისძიება ყოველ 23 აპრილს ჩატარდება. მომავალ წელს მას ჩავატარებთ ასეთი სახელწოდებით: „მე, დედა და მამა ბიბლიოთეკის მკითხველები ვართ“. ეს კითხვის პროცესში მშობლებისა და თითოეული მოსწავლის ჩართვას გულისხმობს.

პროექტს სისტემატური ხასიათი ექნება და ის სხვადასხვა ფორმატით გაიმართება. თუ ამ პროცესში ყველა ჩავერთვებით, შედეგიც მეტი იქნება. ჯერ ყველა მოსწავლე ვერ ჩავრთე წიგნის კითხვის პროცესში, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ისინი ერთმანეთს მიბაძავენ და თანდათან უფრო მეტ ბავშვს გაუჩნდება ინტერესი.

მაია ლაპიაშვილი, დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორი:
– სკოლაში 2007 წლიდან ვმუშაობ. ბიბლიოთეკის მონესრიგება თავიდანვე პრიორიტეტად დავისახე. იგი მეოთხე სართულზე, მოსწავლეებისთვის საკმაოდ ხელმიწვდომელ ადგილას მდებარეობდა და მეორე სართულზე გადმოვიტანე. შემდეგ ქალბატონი ლალი აბაშიძე შემოვიდა ინიციატივით, შეგვეძინა ახალი წიგნები, რათა ბავშვები წიგნისკენ მოგვებრუნებინა და მათთვის კითხვის მოტივაცია აგვემაღლებინა.

თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ის, რომ ბავშვები წიგნებს მოსწყდნენ?

– კომპიუტერიზაციამ. თან ბევრმა ოჯახმა წიგნთან ურთიერთობის კულტურა დაკარგა. ჩვენ ვანარმოებთ ყოველწლიურ სტატისტიკას: რამდენი მომხმარებელი ჰყავს წიგნს ჩვენს სკოლაში. წელს 625 მოსწავლიდან 145 აქტიური მკითხველი გვყავს, რაც პროგრესია. შარშან მათი რიცხვი 68 იყო. ბავშვების მოტივაცია ახალი წიგნების შემოსვლამ აამაღლა. განათლების სამინისტრომაც გვარჩუქა მხატვრული ლიტერატურა და ენციკლოპედიები. ამ პერიოდში ბავშვები გააქტიურდნენ, მაგრამ ინტერესმა მერე ისევ მიიძინა. ეს ნიშნავს, რომ წიგნებს ერთი და იგივე ბავშვები კითხულობენ. ამჟამად ვგეგმავთ ოჯახების გააქტიურებას და მათ ჩართვას საბიბლიოთეკო ღონისძიებებში. დანებებითი კლასის მოსწავლეებისთვის გამოვყოფთ ენციკლოპედიებს, რომლებსაც მათ სახლებში გავატანთ. როცა წიგნებს დაგვიბრუნებენ, მოსწავლეებს გავატანთ კითხვარებს, რომლებსაც მშობლებთან ერთად შეავსებენ. მაღალ კლასებშიც ვაპირებთ ამავე ღონისძიების ჩატარებას,

ოღონდ სკოლის ფარგლებში და არა ოჯახში.

რამდენად ხშირად გააქვთ ბავშვებს წიგნები განახლებული ბიბლიოთეკიდან?

– სხვადასხვა სიხშირით. როცა რაიმე კონკურსს ვაცხადებთ, მაშინ უფრო ხშირად გააქვთ წიგნები. ახლა ჩავატარებთ აკაკი წერეთლის კვირეული და ამ ავტორის თითქმის ყველა წიგნი გატანილი იყო. ასეთი ღონისძიებები საჭიროა თუნდაც იმისათვის, რომ მოსწავლეებს წიგნის კითხვისკენ ვუბიძგოთ. სისტემატური მკითხველი შეიძლება სულ 50 ბავშვი იყოს, დანარჩენი „იძულებითი“ მკითხველია, მაგრამ ისინი ვერც გრძნობენ, რომ ასეა – წიგნების კითხვას მათ სხვადასხვა ღონისძიებით ვაიძულებთ.



მაია ლაპიაშვილი

რაიონის სხვა სკოლებმა თუ გაიზიარეს თქვენი ინიციატივა წიგნიერების დონის ამაღლებასთან დაკავშირებით?

– ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. თუმცა ჩავატარებთ კვლევა – რამდენად წიგნიერი თაობაა ჩვენს რაიონში. მონაცემების მოსაგროვებლად ბავშვები კითხვარებით ესტუმრნენ თანატოლებს სხვა სკოლებში. მიგხვდით, რომ ამ პროცესში იქაც მხოლოდ ის აქტიური მოსწავლეები ჩაერთვნენ, რომლებიც წიგნებს ისედაც კითხულობენ. ალბათ უფრო მასშტაბური ღონისძიებების დაგეგმვაა საჭირო, რათა პასიური მოსწავლეები წიგნებს დაუბრუნოთ.



სერტიფიკატი უმაღლესი ქულაბით – ნინო ქავშიშვილი

ბავშვობაში მასწავლებლობაზე არ უოცნებია. სკოლაში მუშაობა არც უნივერსიტეტის გერმანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გადაუნყვეტია. თუმცა, დღეს, პედაგოგობის შვიდწლიანი გამოცდილების შემდეგ დარწმუნებულია, რომ საკუთარ საქმეს მიაგნო. ნინო ქევზიშვილი 21-ე საჯარო სკოლის წარმატებული მასწავლებელია. სასერტიფიკაციო გამოცდებზე გასვლა მან პირველივე წელს გადაწყვიტა და შედეგად გამორჩეული აჩვენა – უნარებში 70-დან 56 ქულა, გერმანულში კი 120-დან 116 ქულა. მიაჩნია, რომ სკოლა ისეთი ორგანიზაციაა, რომელსაც სიახლეები და წინსვლაზე ორიენტირება სჭირდება. ამიტომ, ზოგადად, რეფორმების მომხრეა. ნინოს საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე პროცესებზე, სასერტიფიკაციო გამოცდებზე ვესაუბრეთ და „მასწავლებლის“ მკითხველისთვის საკუთარი შეხედულებების გაზიარება ვთხოვეთ.

მანია რაზმაძე




– უნივერსიტეტში გერმანისტიკას ვსწავლობდი, პროფესიით პედაგოგი არ ვარ. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში ჩავაბარე. რამდენიმე არასტაბილური სამსახური მქონდა, რაც შეიძლება ენის სპეციალისტს ჰქონდეს: თარგმანზე მუშაობა, თარჯიმნობა. სრულიად შემთხვევით გაჩნდა შემოთავაზება სკოლიდან. სწავლა უკვე დაწყებული იყო, დამირეკეს და საათები შემომთავაზეს, თანაც მეორე დღიდანვე. მაშინ, შვიდი წლის წინ, 21-ე სკოლას მე-6 ქართულ-გერმანული გიმნაზია ერქვა. ბევრი არ მიფიქრია, ისე დაეთანხმდი. ცოტა საათი მქონდა და დიდად არ ვიყავი დატვირთული. სკოლაში რომ შემოვედი და პედაგოგებს გავეცანი, სულ ვამბობდი, რომ ცოტა ხნით ვაპირებდი აქ დარჩენას. გამოცდილი მასწავლებლები მეუბნებოდნენ, ასე ნუ ამბობ, სკოლამ „შესრუტვა“ იცისო. ასეც მოხდა. ნელ-ნელა ის გვერდითა სამსახურები მეორეხარისხოვანი გახდა ჩემთვის. თუ რამე მაქვს სათარგმნი, ამას „ოფიციალურ სტატუსს“ აღარ ვანიჭებ. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს თავს მასწავლებლად აღვიქვამ. ადრე რომ მესმოდა, მასწავლებლობას ვერ შეიძლება, რაღაც თუ არ გაქვს თანდაყოლილი, ვერ ვხვდებოდი, რას გულისხმობდნენ. ალბათ მართლაც არის რაღაც ასეთი. უცხო თვალთა რომ შეხედო ამ გარემოს, ძნელია

აქ მუშაობა, მაგრამ თუ ამისგან სიამოვნებას იღებ, ესე იგი, უკვე მოწონდება. მიხარია, რომ საკუთარ თავში ეს აღმოვაჩინე.

სასერტიფიკაციო გამოცდებზე გასვლა ჩემთვის იმას ნიშნავდა, რომ მასწავლებლად თავს საბოლოოდ ვიმკვიდრებ.

სასერტიფიკაციო გამოცდები წელს ნებაყოფლობითი იყო. რატომ გადაწყვიტეთ, პირველივე წელს მოგესინჯათ საკუთარი ძალები?

– თავიდან ამ გამოცდების შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა. როდესაც სასწავლო წელი დაიწყო და სკოლაში მოვედით, განცხადება დაგვხვდა, რომელიც სასერტიფიკაციო გამოცდის შესახებ იუწყებოდა. ითქვა, რომ ის ნებაყოფლობითი იქნებოდა. სიმართლე გითხრათ, არ მიფიქრია, ჩამებარებინა. სკოლაშიც არ ყოფილა ერთსულოვნება. გამოითქვა აზრი, ჯერ შევხედოთო. თავიდან ნამდვილად იყო გაურკვეველობა. ეს, ჩემი აზრით, არასაკმარისმა ინფორმაციამ გამოიწვია. კონკრეტული, დაწვრილებითი ინფორმაცია არ მოდიოდა. შემდეგ გამოიკვეთა, რომ ოთხ წელიწადში გამოცდა სავალდებულო იქნებოდა. მერე გავიგეთ, რომ ჩატარდებოდა ტრენინგები, რომლებსაც სახელმწიფო დააფინანსებდა.



ჩემთვის ვფიქრობდი: რატომაც არა, ისეთი დაუძლეველი რა უნდა იყოს, ვერ შევძლო-მეთქი. ზოგადად, ადამიანების იმ კატეგორიას მივეკუთვნები, სიახლეები რომ უყვართ. საკუთარი თავის გამოცდის შესაძლებლობაც არანაკლებ საინტერესოა და ეს ერთ-ერთი ფაქტორი იყო გადაწყვეტილების მიღებისას. გარდა ამისა, პრაგმატული მიზეზიც არსებობდა – მაინც ჩასაბარებელია და ბარემ მალე გავთავისუფლდები ამ გამოცდისგან-მეთქი.

რეგისტრაციის დამთავრებამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, კათედრის რამდენიმე წევრმა გადაწყვეტილება რომ მივიღეთ. რეგისტრაცია სასწავლო წლის ბოლოს გავიარეთ. ეს ის პერიოდი ნებისმიერი პედაგოგისთვის, როცა სკოლის გარდა არაფრისთვის გცალია.

გამოცდებამდე სამი კვირა იყო დარჩენილი და გადაწყვიტე, ეს დრო მთლიანად უნარებში მოსამზადებლად გამოიყენებინა. თამამი გადაწყვეტილება იყო უარის თქმა გერმანული ენის ტრენინგებზე, მაგრამ ამის დრო არ მრჩებოდა. სტუდენტობის შემდეგ ასე არ მიმეცადინია. ძალიან ვნერვიულობდი. ბოლო მომენტამდე არ ვიყავი დარწმუნებული, რომ შესაბამისად მომზადებული გავდიოდი გამოცდებზე. უნარებში 56 ქულა მივიღე, გერმანულში კი, მიუხედავად იმისა, რომ ვაუჩერი არ გამომიყენებია და ტრენინგი არ გამივლია, 116. ალბათ ისიც დამეხმარა, რომ ენებში მეთოდის ნაწილიც ბარდებოდა. უნარებში მეცადინეობა აქაც გამომადგა. უფრო თამამად დავწერე გაკვეთილის დაგეგმვის, წარმართვის შესახებ.

ის, რაც უნარებშია მოცემული, ეს ყველაფერი ჩვეულებრივი სასკოლო ცხოვრებაა, გარკვეული თეორიებით გამყარებული. სხვა საკითხია, რამდენად აუცილებელია ამ თეორიების საფუძვლიანად ცოდნა, მაგრამ საგამოცდო საკითხებში ყველაფერი მაინც პრაქტიკაზე იყო ორიენტირებული, რაც სწორად მიმაჩნია.

უნარების პროგრამა ძალიან დიდი იყო. ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება არ არის. ბევრი ერთმანეთისგან განსხვავებული საკითხი იყო. ღია დავალებებს ვგულისხმობ, სადაც წერას გთხოვენ. სექტორიდან ყველაზე ბოლო გამოვედი. ათზე მეტი ღია დავალება, 5-საათიანი გამოცდა. ძალიან ძნელია, 5 საათი გაატარო საგამოცდო რეჟიმში. თითქმის თავაულებლად ვიმუშავე, რომ მომესწრო. ვფიქრობ, გამომცდელებს ისეთივე წარმოდგენა შეექმნებათ გამოსაცდელზე, ცოტა ნაკლები საკითხი და ნაკლები დრო რომ იყოს. ამ ფორმით გამოცდის ჩაბარება, ვფიქრობ, ყველას არ შეუძლია. ვიცი, რომ შედარებით ასაკოვანმა მასწავლებლებმა ეს, უბრალოდ, ფიზიკურად ვერ შეძლეს.

საკითხების სირთულის თვალსაზრისით, გამოცდა ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო – არც მარტივი და არც ძალიან რთული.

მიგაჩნიათ, რომ ეს გამოცდა პედაგოგისთვის საჭიროა? რა მოგცათ ამ გამოცდამ?

– საჭირო ნამდვილად არის, ერთმნიშვნელოვნად. მე, როგორც პედაგოგს, თავდაჯერებულობა მომემატა. ვცდილობ, უფრო მრავალმხრივად მივუდგე გაკვეთილს, არ ავირჩიო მარტივი ვარიანტი, უფრო მეტად დავიხარჯო. საკუთარ თავს მეტი მოთხოვნა წაუყენე. ეს ძალიან სუბიექტური მომენტიცაა.

მიმაჩნია, რომ შიში, რომელიც ამ გამოცდების მიმართ არსებობს, არაინფორმირებულობის ბრალია. კარგი იქნებოდა, დანვრილებითი ინფორმაცია იყოს თუნდაც საგნობრივი გამოცდის ირგვლივ. რა თქმა უნდა, შესაძლებელია თავად მოიძიო ინფორმაცია, ინტერნეტში იმუშაო, მაგრამ კონკრეტული პროგრამების მითითება უკეთესი იქნება. არის მოცემული სახელები, ვთქვათ, პიაჟე და თეორიის სახელწოდება. ამის შესახებ უამრავი ინფორმაციის მოძიება შეიძლება. მეტი კონკრეტიზაცია და მოტივაციაზე ზრუნვაა

საჭირო. ეს გამოცდები ხომ პროფესიული წინსვლისთვის ტარდება. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი მასწავლებელი, ვინც მათ ჩააბარებს, თავს უკეთესად იგრძნობს.

უნარების სწავლა ყველას დასჭირდება, თუ პედაგოგიური ფაკულტეტი ახალი დამთავრებული არა აქვს. სასურველია მასწავლებლებისთვის იმის მინიშნება, რომ უნარები, ძირითადად, ის არის, რასაც ისინი მუშაობისას ისედაც იყენებენ. უბრალოდ, დამატებით რამდენიმე გვარს და თეორიას თუ გაეცნობიან, ეს მათ პრაქტიკულ გამოცდილებას განუმტკიცებთ და თავისთავად საინტერესო იქნება, საბოლოოდ კი გაკვეთილის ხარისხზე აისახება.

განათლების სფეროში არაერთი რეფორმა მიმდინარეობს. როგორ აფასებთ ამ პროცესს?

– სასკოლო რეფორმების მიზნები იმდენად დადებითია, რომ არა მგონია, მათ ვინმე ეწინააღმდეგებოდეს. მათი განხორციელების გზებს რაც შეეხება, საჭიროა აზრთა მუდმივი გაცვლა-გამოცვლა, დაზუსტება. ბევრი კოლეგისგან მომისმენია და მეც არაერთხელ მიფიქრია, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლის აზრი მეტად არის გასათვალისწინებელი. ხშირად ბევრ თეორეტიკოსზე მეტის თქმა შეუძლია საშუალო დონის პრაქტიკოს მასწავლებელს. იმას არ ვამბობ, რომ ყველაფერს შეუცდომლად იტყვის, მაგრამ რაც სკოლაში რეალურად ხდება, სხვა სიბრტყიდან ნამდვილად არ ჩანს.

ასი მასწავლებელი რომ გამოჰკითხოთ, უკლებლივ ყველა გეტყვით, რომ ცვლილებები და წინსვლა საჭიროა. ახლა ისეთი ბავშვები არიან, მე რომ მიტარებდნენ, ამათ ისეთ გაკვეთილს ვერ ჩაუტარებ. ძალიან ინფორმირებულები, დაინტერესებულები და მოტივირებულები არიან. თუ ვერ შეძელი, ვერ დააინტერესე, კომუნიკაცია არ შედგება. გარემო ცვლილებებს ითხოვს.





მერი ბირკვილიძე

შემოქმედებითი აზროვნება მოსწავლეებში

შემოქმედებითი აზროვნებისადმი, როგორც ფენომენისადმი, ინტერესი XX საუკუნის სამოციან წლებში გაჩნდა ანგლო-ამერიკულ ფსიქოლოგიაში. მას შემდეგ გრძელდება კამათი იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება ამ ცნებაში, რა მნიშვნელობა აქვს მას პიროვნებისათვის და რა უწყობს ხელს მის განვითარებას.

ზოგადად, ადამიანის აზროვნება არსებული პრობლემების გადაჭრისკენ არის მიმართული, რაც აუცილებელია საზოგადოებაში მისი არსებობისათვის. შემოქმედებითი აზროვნება კი პიროვნების შინაგანი განწყობით არის განპირობებული და თავად პოულობს განხორციელების გზებს.

შემოქმედებისათვის აუცილებელია, რომ აზროვნება თავისუფალი იყოს სტერეოტიპების ზეგავლენისაგან. იგი გულისხმობს რისკზე წასვლის, წინააღმდეგობის გადალახვის, შინაგანი მოტივაციის, გარშემოყოფთა აზრისადმი წინააღმდეგობის განევის უნარებს.

შემოქმედებითი აზროვნების კვლევისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ აზროვნების პროცესი და პროდუქტი, არამედ თავად პიროვნება, რადგან სწორედ ის ახორციელებს შემოქმედებით აქტს და ქმნის რალაც ახალს. ამგვარად, შემოქმედებითობა შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: შემოქმედებითია აზროვნების ისეთი ფორმა, რომელიც მიმართულია ახლის ძიებისკენ, შექმნისკენ და ხორციელდება შინაგანი სტიმულაციის საფუძველზე.


ერთ-ერთი საკითხი, რომელიც დღემდე საკამათოდ რჩება, არის ის, კრეატიულობა ყველა ადამიანს ახასიათებს, თუ იგი მხოლოდ გამორჩეულთა ხვედრია. ზოგიერთი

მკვლევარის მტკიცებით, ტერმინი „კრეატიული“ ძალიან იშვიათ უნარებს მიესადაგება, სხვები კი მას განიხილავენ, როგორც ზოგად უნარს, რომელიც ყველა ჯანმრთელ ადამიანს აქვს. შინაგანი იმპულსი, რომელიც ბიძგს აძლევს შემოქმედებით პროცესს, მართლაც ყველას აღენიშნება. ადამიანი ახლის შექმნისკენაა მიმართული, თუმცა არსებობს ხარისხობრივი განსხვავება.

კრეატიულობის გენეზისში დიდ როლს ასრულებს ოჯახური გარემო და საგანმანათლებლო სისტემა. ბოლო წლებში სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების შედეგებით ანალიზმა ნათლად აჩვენა საგანმანათლებლო სისტემის გავლენა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, საინტერესოდ ჩავთვალეთ ქართველ მოსწავლეებში ამ უნარის კვლევა. კვლევაში მონაწილეობდნენ თბილისის როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო საჯარო სკოლების მოსწავლეები. ჩვენი ჰიპოტეზა მდგომარეობდა იმაში, რომ სპეციალურად ორგანიზებული სასკოლო გარემო (ინტერაქტიური მეთოდებით სწავლება და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი პროგრამები) გავლენას ახდენდა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე.

კვლევამ საინტერესო სურათი მოგვცა: კერძოდ, აშშ-სა და საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგების





ანალიზმა მნიშვნელოვანი სხვაობა გვიჩვენა. როგორც აღმოჩნდა, ამერიკელ ბავშვებს ბევრად მაღალი მონაცემები აქვთ ვერბალურ შემოქმედებითობაში, ვიდრე მათ ქართველ თანატოლებს, თუმცა ქართველები მათივე ასაკის (უმცროსი სასკოლო ასაკი) ამერიკელებს ხატოვან კრეატიულობაში აღემატებიან. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც შემოქმედებითი აზროვნების გაკვეთილებს ითვისებდნენ, საბოლოოდ, უფრო მაღალ მაჩვენებლებს იღებდნენ, ვიდრე ისინი, რომლებსაც ეს პროგრამა არ გაუვლიათ (პროგრამის ეფექტურობა დამტკიცდა ე.წ. მაფორმირებელი ექსპერიმენტის საშუალებებითაც).

შემოქმედებითი აზროვნებისადმი ინტერესი თანამედროვე მეცნიერებებში საკმაოდ დიდია. ნაწილობრივ ეს სოციალური შეკვეთით აიხსნება, ნაწილობრივ კი – ახალ პედაგოგიურ მიდგომებზე გადასვლით. დღეს, როცა დამახსოვრების უნარი განათლებულობის გარანტს აღარ წარმოადგენს, აუცილებელია შემოქმედებითი, თანამშრომლობითი უნარების განვითარება. მათ ფორმირებას ხელს უწყობს როგორც ადეკვატური მაკროგარემო (კულტურა, ეთნოსი), ასევე მიკროგარემო (ოჯახი, სკოლა, თანატოლთა წრე). ძალიან მნიშვნელოვანია დადებითი შემოქმედებითი ქცევის ნიმუში, მასთან პიროვნული იდენტიფიკაცია, რათა შემოქმედებითობა ნამდვილ, სიღრმისეულ თვისებად ჩამოყალიბდეს.

საგანმანათლებლო სისტემა განსაკუთრებულ როლს ასრულებს კრეატიულობის განვითარებაში. მოსწავლე არ არის ცარიელი ჭურჭელი, რომელიც ცოდნით უნდა გაივსოს. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პრობლემებზე ფოკუსირება სტიმულს აძლევს მოსწავლის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას და მას შემოქმედებითი აზროვნებისთვის განაწყოებს. პრობლემის დასმა, ჰიპოთეზების შემუშავება, მათი გადამოწმება, სწორი გადაწყვეტილების პოვნა და ამ ცოდნის გათავისება მნიშვნელოვანია შემოქმედებითობის განვითარებისათვის.

ამ შემთხვევაში, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნა მტკიცება, ემოცია – დადებითი და შესაბამისად, დამახსოვრებაც უკეთ ხდება.

სწავლების პროგრამების ანალიზის შედეგად, მკვლევარებმა – ტორენსმა, როზმა და ლინმა განსაზღვრეს, თუ რა უწყობს ხელს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას: სწავლების პროგრამა, რომლის საფუძველს წარმოადგენს შემოქმედებითი გადაწყვეტის პროცედურა (გონებრივი იერიში), სწავლების პროგრამა, რომელიც მოიცავს რამდენიმე დისციპლინას (დრამატული კითხვა, შემოქმედებითი კვლევა და ზოგადი სემანტიკა), კომპლექსური პროგრამა კონვერგენტული და დივერგენტული აზროვნების სავარჯიშოებით (აქვეა მასტიმულირებელი მასალის განსხვავებული ტექნიკით მიწოდების საშუალებები: სურათზე გამოსახული სხვადასხვა ისტორიული მოვლენა, მოსასმენი მასალა), ხელოვნების სხვადასხვა დარგების სწავლება, კრიტიკული აზროვნების ტრენინგები, ადმინისტრაციული რეორგანიზაციის პროგრამა, კლასში სპეციალური კლიმატის შექმნის პროგრამა, ცვლილებების შეტანა მოსწავლის და მასწავლებლის ურთიერთობებში, მოტივაციის პროგრამა.

ტრადიციული ინფორმაციული განათლება პრობლემური სწავლების პრინციპებზე ორიენტირებული სწავლებით უნდა შეიცვალოს. ჩვენი სკოლის მოსწავლე, ხშირ შემთხვევაში, გარკვეული ბაზისური ცოდნის მქონე პიროვნებაა, მაგრამ მას არა აქვს ამ ცოდნის გარდაქმნის უნარი. ეს კი მის შემდგომ თვითრეალიზაციას აფერხებს.

შემოქმედებითობის გენეზისში დიდ როლს ასრულებს სოციალური გარემო. გამოიყოფა ოჯახური ურთიერთობის ის პარამეტრები, რომლებიც ხელს უწყობს, ან აფერხებს კრეატიულობის განვითარებას: ჰარმონიული/დისჰარმონიული ურთიერთობა მშობლებს შორის, შვილებსა და მშობლებს შორის, მშობლის შემოქმედებითი/არაშემოქმედებითი პიროვნება, როგორც მიზაძვისა და იდენტიფიკაციის ობიექტი, ოჯახის

წევრების ინტელექტუალური ინტერესების ერთობა, მშობლის მოლოდინი შვილისადმი და ა.შ.

შემოქმედებითი აზროვნების განსავითარებლად საჭიროა ბავშვის შემოქმედებითი ქცევის განმტკიცება და მისთვის მისაბაძი ნიმუშების ჩვენება, ასევე მასთან ურთიერთობისას დემოკრატიული პრინციპებით ხელმძღვანელობა. ბავშვებს არ უნდა ეშინოდეთ საკუთარი, თუნდაც მცდარი აზრის გამოთქმის. მათი შეხედულებები დიდი სიფრთხილით, ტაქტიანად უნდა შევაფასოთ, რათა მათ თავმოყვარეობა არ შევუღალხოთ და ტრამვა არ მივაყენოთ. პედაგოგის ხელოვნება შემოქმედებითობის განვითარებაშიც უნდა ვლინდებოდეს, ამისთვის კი თავად ის უნდა იყოს შემოქმედებითი. მან უნდა შეძლოს შემოქმედებითად მიუდგეს საქმეს, დაკისრებულ მოვალეობას.

ზოგადად, სიახლეები ბავშვს ცნობისმოყვარეობას უჩენს. მოულოდნელი ასოციაციები, უჩვეულო იდეები, ჰიპოთეზები, კამათი – ეს ყველაფერი ათვლის წერტილია, საიდანაც შემოქმედებითობა ვითარდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თამაშის როლი შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში. გამოკვლევები ადასტურებს, რომ თამაშის პროცესში, არარეგლამენტირებულ და დემოკრატიულ გარემოში, პატარები მაქსიმალურად ავლენენ კრეატიულობას.

როგორც აღვნიშნეთ, გარემო დიდ როლს ასრულებს შემოქმედებითობის განვითარებაში. თუ ბავშვის მიერ გამოთქმულ არასტანდარტულ აზრს უფროსების უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, მას თვითგამოხატვის სურვილი ეკარგება. ამ შემთხვევაში, მისი შემოქმედებითი უნარი მხოლოდ პოტენციის სახით რჩება. იშვიათად შევხვდებით ისეთ ბავშვს, რომელიც შემოქმედებითობას არასასურველი გარემოს ზეგავლენის მიუხედავად ინარჩუნებს. ამიტომაც ოჯახური ფაქტორის როლი, სასკოლო გარემოს სწორი ორგანიზება შემოქმედებითობის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.





მანია რაზმაძე

ამ საიტზე იხილავთ როგორც განათლების სისტემაში არსებული სიახლეების შესახებ ინფორმაციას, ასევე ჟურნალ „მასწავლებლის“ თითქმის ყველა ნომერს ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. პროექტს „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ ახორციელებს.

როგორც პროექტის ხელმძღვანელმა, **დავით ჩაჩხიანმა** გვითხრა, საიტს უამრავი მომხმარებელი ჰყავს და ის პოპულარობით სარგებლობს.

დავით ჩაჩხიანი: „იდეა ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, შალვა ტაბატაძეს ეკუთვნის. ჩვენ უკვე რვა წელია, ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლეს კომისარიატთან ვთანამშრომლობთ და სწორედ მათი დაფინანსებით დავინწყეთ „მასწავლებლის“ თარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, ჟურნალის ბეჭდვა და უფასოდ დარიგება. მას ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ყველა აზერბაიჯანულ და

სომხურ სკოლას გადავცემდით (ამ რეგიონებში 125 აზერბაიჯანული და 110 სომხური სკოლაა). ყოველ 5 მასწავლებელზე ჟურნალის ერთი ნომერი იყო გათვლილი.

თარგმანზე საქართველოში ცნობილი თარგმანები, პროფესიონალები მუშაობდნენ. მას სომხურად ზოია მხითარიანი, აზერბაიჯანულად კი გისრამ მაჰმედოვა თარგმნიდა. ჟურნალები რესურს-ცენტრებში ჩაგვქონდა. მათ ჩატანას დირექტორების შეკრებას ვამთხვევდით.

ამჟამად ჟურნალი აღარ იბეჭდება. ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით ნათარგმნი „მასწავლებელი“ ჩვენს საიტზე განთავსებული. ამ საიტზე ნებისმიერი ცნობა განათლების სისტემის თაობაზე, „მასწავლებლის“ ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, სამ ენაზეა წარმოდგენილი. მომხმარებელს შეუძლია სასურველ ენაზე ნაიკითხოს მასალები. საიტზე განთავსებულია ყველა ის მასალა, რაც აზერბაიჯანულად და სომხურად

ითარგმნა როგორც ჩვენს მიერ, ისე სამინისტროს ძალისხმევით.

საიტის პოპულარობას ისიც ადასტურებს, რომ ყოველდღიურად, სულ ცოტა, 10-15 ზარი შემოდის. სხვადასხვა კითხვითა და პრობლემით მოგვმართავენ. ჩვენ ერთგვარი შუამავლები ვართ სამინისტროსა და მასწავლებლებს შორის.

საიტის პრეზენტაცია თითქმის ყველგან გავაკეთეთ. ლეპტოპით ჩავდიოდით, ადგილზე ვრთავდით ინტერნეტს და მასწავლებლებს მის შესახებ ინფორმაციას ვაწვდიდით, თან გამოყენების წესს ვუხსნიდით. საიტზე უამრავი საინტერესო მასალა დევს, რაც სამინისტრომ გადმოგვცა. ერთი წლის წინ ზოგიერთ სკოლაში ინტერნეტი ჯერ არ იყო და სამინისტროს გეგმის მიხედვით, 2-3 თვეში ელოდნენ მის შეყვანას. ასე რომ, დღეს ამ სკოლების უმრავლესობას საშუალება აქვს, ჩვენი საიტის მომხმარებელი იყოს“.



ზეიქინეთ შურნალი მასწავლებელი

თბილისსა და საქართველოს რეგიონებში

მოიქითხეთ თქვენი შურნალი „ელვა-სერვისის“
და პრესის გავრცელების ადგილებში!

გამოიწერეთ შურნალი „მასწავლებელი“ თბილისსა
და საქართველოს რეგიონებში!

ჟურნალ „მასწავლებელზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად მიმართეთ „ელვა-სერვისის“ და მიიღეთ თქვენი „მასწავლებელი“ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე ყოველ ორ თვეში ერთხელ!



დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

„ელვა-სერვისი“: ტელ: 38-26-73 ან 28-26-74.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52

ტელ: (+995 32) 95 11 86, ფაქსი: (+995 32) 95 58 36

ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ერთხელ პარიზის ერთ-ერთ კაფეში საღვადორ
დალი აქებდა თავის სურათს:
– სეზანს რომ შეექმნა ასეთი ტილო, ის მსოფლიოში
საყოველთაოდ ცნობილი გახდებოდა.
– კი მაგრამ, ის ისედაც ცნობილია, – წარმოთქვა
ვილაცამ.

– თქვენ ასე გგონიათ? გარსონ, მოდით აქ! თქვენ
იცნობთ ბატონ სეზანს?
– არა ბატონო.
– სწორედ ამას გეუბნებოდით, ბატონებო!...

